The New ECONOMIST

DOI suffix: 10.36962/NEC61022021

N2, 2021, VOL 16, ISSUE 2

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

Economy is Everything!

ISSN 2667-9752 (ONLINE)
ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფერია!

ახალი ეკონომისტი

The Magazine "The New Economist"
HAS BEEN REVIEWED:
In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.
ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;

- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"
რეფერირებულია:
სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".
იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა** და **რისერჩ გეიტსის** ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge

The New ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N2(61), 2021, Vol. 16, Issue 2.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Professor of Georgian Technical University;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Kutaisi University); NATIA TURNAVA (Minister of Economy and Sustainable Development of Georgia); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Risponsible Secretary); DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of the School of Business, Computing and Social Sciences of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University); MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Sukhumi State University); IVANE JAGODNISHVILI (Professro of Georgian Technical University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE (Ilia State University, Dean of the Faculty Business, Technology and Education); MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2 (61), 2021, ტ. 16, გამოც.2

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელგერდ ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმფიფო უნივერსიტეტი); სიმონ გელაშვილი; რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნავა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ნამიგ ისაზადე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ლაშა მგელაძე; ელგუჯა მექვაბიშვილი; დავით ნარმანია (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ვახტანგ სართანია; ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); ლაშა ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ეკატერინე შაკიაშვილი; თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენგაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; ვასილ ხიზანიშვილი (თელავის უნივერსიტეტი); დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ივანე ჯაგოდნიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი); მიხეილ ჯიგუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2021წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 10 ლარი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

INTERWIEV

Interview with the Director of the Rural Development Agency under the Ministry of Environment Protection and Agricultute of Georgia **Mr. Ilia Tamarashvili** ---------- 7

SCIENCE

GIORGI ABASHISHVILI
Benefits and challenges of applying e-learning in the Georgian higher education system ---------- 12

SHOTA VESHAPIDZE, GIA ZOIDZE
Institutional Evolution of Higher Education in Georgia ---------- 33

KRISTINA JGANJGAVA
The world pandemic- experiment developing deglobalisation ---------- 39

GIORGI ABASHISHVILI, SALOME LIPARTELIANI
Georgia's Transit Potential – Country's Competitive Advantage ---------- 42

NATIA TERTERASHVILI
Early effects of the COVID-19 pandemic on the real estate market in Georgia ---------- 58

MARIAM GALDAVA
Influence of Basic Actors in Globalization in Developing and Post-Soviet Countries on the Example of Georgia ---------- 66

GVANTSA CHKHEIDZE, IRAKLI MEKVEVRISHVILI
The Geopolitical Dimension of the Conflicts in Abkhazia and the Tskhinvali Region ---------- 72

TSIALA MELADZE
Polling stations - the main cornerstone of elections ---------- 76

NEW BOOCKS

Basic paradigms of institutional economics ---------- 79

Review of Irakli Jangavadze's textbook: "Fundamentals of Innovative Economy" ---------- 82

CONGLATURATION

Highly educated and talented Professor, Alexandre Kvashilava has turned 91 ---------- 79

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინტერვიუ

ინტერვიუ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, ბატონ **ილია თამარაშვილთან** ---------- 7

მეცნიერება

გიორგი აბაშიშვილი
საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ელექტრონული სწავლების გამოყენების უპირატესობები და გამონვევები ----------12

შოთა ვეშაპიძე, გია ზოიძე
საქართველოს უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ევოლუცია----------33

ქრისტინა ჯღანჯღავა
მსოფლიო პანდემია - დეგლობალიზაციის შესაძლო განვითარების ექსპერიმენტი ----------39

გიორგი აბაშიშვილი, სალომე ლიპარტელიანი
საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი - ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა -------42

ნათია ტერტერაშვილი
COVID_19 პანდემიის ნაადრევი ეფექტები უძრავი ქონების ბაზარზე საქართველოში -------58

მარიამ გალდავა
გლობალიაზციის ძირითადი აქტორების გავლენა განვითარებად და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველოს მაგალითზე ----------66

გვანცა ჩხეიძე, ირაკლი მექვევრიშვილი
აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გეოპოლიტიკური განზომილება----------72

ციალა მელაძე
საარჩევნო უბნები - არჩევნების მთავარი ქვაკუთხედი ----------76

ახალი წიგნები

ინსტიტუციონალური ეკონომიკის ძირითადი პარადიგმები ----------79

რეცენზია ირაკლი ჯანგავაძის სახელმძღვანელოზე:
„ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები“----------83

მილოცვა

მრავალმხრივი უნარისა და ნიჭის მფლობელი, პროფესორი - ალექსანდრე კვაშილავა 91 წლისაა! ----------84

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინტერვიუ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, ბატონ ილია თამარაშვილთან

*ყველასთვის ცნობილია, რომ სოფლის განვითარების სააგენტო ბევრ საინტერესო და საჭირო პროექტებს ახორციელებს. ამის შესახებ ბევრი ინფორმაცია დევს სააგენტოს ვებგვერდზე, ბევრიც შუქდება პრესის საშუალებით, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებს (მ.შ. მეც) დეტალებში მიადევნოს თვალ-ყური სააგენტოს საქმიანობას, არადა ეს საჭიროა და ხშირად, უმეტესწილად, სოფლის განვითარებისთვის ძალიან დიდი შესაძლებლობაა. ვფიქრობთ, სასურველია, რომ მსგავსი ინფორმაცია უფრო მეტად იყოს ცნობილი ს ზოგადოების ფართო მასებისთვის, მ. შ. აკადემიური წრისათვის. თემის აქტუალურობიდან და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, ბატონ **ილია თამარაშვილთან.***

- ბატონო ილია, გთხოვთ, მოკლედ წარმოგვიდგინოთ თქვენი სააგენტო. როდის შეიქმნა და რა იყო მისი შექმნის მიზანი?

სოფლის განვითარების სააგენტო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებაა, რომელიც ახორციელებს პროგრამებსა და პროექტებს არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დარგის ხელშეწყობისთვის, არამედ გარემოს დაცვისა და სოფლის განვითარების მიმართულებით. სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების მიზნით სააგენტო 2012 წლიდან საქმიანობს, თუმცა ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდას და მოსახლეობის საჭიროებებზე დაფუძნებული, ევ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

როპული ტიპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს განახლება. სწორედ ამიტომ გასულ წელს განხორციელებული რებრენდინგის შედეგად ჩამოყალიბდა სოფლის განვითარების სააგენტო. ჩვენი მისიაა, საჭირო რესურსების ყველაზე ეფექტურად და სწორად მიწოდებით, ფერმერთა და სოფლად მაცხოვრებელთა კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა. ფერმერებისათვის ჩვენ ვართ გზამკვლევი წარმატებული სოფლისკენ.

- როგორია თქვენი სააგენტოს სტატისტიკა მისი არსებობის მანძილზე? კერძოდ, რამდენი პროექტია განხორციელებული, რამდენია ინვესტიციების მთლიანი მოცულობა, რამდენი ადამიანი დასაქმდა, თუ გაქვთ დაახლოებითი მონაცემები მაინც?

სოფლის განვითარების სააგენტო, აგრარული დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ახორციელებს მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა კომპონენტის მხარდასაჭერად. ეს გულისხმობს, როგორც ფერმერთა და აგრობიზნესით დაინტერესებულ პირთა პირდაპირ, საგრანტო დახმარებას, ასევე, ხელს უწყობს სტრატეგიული მიმართულებების მხარდაჭერას სისტემური პროგრამების განხორციელების გზით.

2013 წლიდან, ახალი მიდგომების შედეგად, სოფლის მეურნეობაში ჩართულ მეწარმეებსა თუ ფერმერებს გაეზარდათ იაფ ფულად სახსრებზე ხელმისაწვდომობა, რამაც უფრო მიმზიდველი გახადა დარგში ინვესტირება.

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით მიმდინარე საკრედიტო პორტფელი 1,3 მლრდ ლარს აღემატება, 2013 წლიდან დღემდე გაცემულია 3 მლრდ ლარზე მეტი აგროსესხი, რაც 22-ჯერ აღემატება 2012 წელს სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებულ საკრედიტო პორტფელს (57 მილიონ ლარს). სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების ფარგლებში, შექმნილია/გადაიარაღებულია და ფუნქციონირებს 1000-ზე მეტი საწარმო.

ჩვენს მიერ სასოფლო-სამეურნეო დარგის სტრატეგიული მიმართულებების მხარდაჭერით, დღეისათვის:

• მთელი ქვეყნის მასშტაბით, გაშენებულია 13,604 ჰექტარი ბაღი, მათ შორის, ვაშლის, ნუშის, კაკლის, ლურჯი მოცვის, თხილის, ზეთის ხილის და ა.შ.

• მეცხოველეობის განვითარებისთვის თანადაფინანსებულია 13,298 ბენეფიციარი.

• სამაცივრე და შემნახველი მეურნეობის განვითარებისთვის თანადაფინანსებულია 1,705 ბენეფიციარი.

• გადამამუშავებელი საწარმოების მიმართულებით თანადაფინანსებულია 1,100 ბენეფიციარი.

• პროგრამის „ქართული ჩაი“ ფარგლებში რეაბილიტირებული ფართობი შეადგენს 1,600 ჰექტარზე მეტს.

- პანდემიამდე როგორი იყო საშუალო წლიური სტატისტიკა იგივე მიმართულებით და როგორია გასული - 2020 წლის სტატისტიკა?

2020 წელს პანდემიასთან და მის გავლენებთან ბრძოლის პარალელურად, ფერმერების მხარდასაჭერად გატარდა კომპლექსური ღონისძიებები, შემუშავდა სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“. ანტიკრიზისული გეგმა მოიცავდა როგორც ფერმერების პირდაპირ დახმარებას, ასევე ხელს უწყობდა სტრატეგიული მიმართულებების მხარდაჭერას. პირდაპირი დახმარების პროგრამებმა ფერმერებს პირველადი პროდუქციის წარმოების ხარჯები მნიშვნელოვნად შეუმცირა. გაგრძელდა ყველა იმ პროგრამისა, თუ პროექტის განხორციელება, რომელიც სახელმწიფომ აგრარული დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განვითრების ხელშეწყობისთვის შეიმუშავა. არსებული ვითარების გათვალისწინებით, რამდენიმე მიმდინარე პროექტში ცვლილებები შევიდა, რამაც ისინი უფრო მოქნილი გახადა.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის პროექტების/პროგრამების განხორციელებით შედეგად:

• იმ ბენეფიციარების რაოდენობამ, ვინც ანტიკრიზისული პროექტებით/პროგრამებით ისარგებლა, შეადგინა 432 ათასზე მეტი ბენეფიციარი, მათ ჯამურად 76.1 მლნ ლარის მოცულობის სარგებელი მიიღეს;

• სოფლის მეურნეობაში განხორციელდება 152.9 მლნ ლარის ინვესტიცია;

• ფერმერებმა/სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეებმა, მიიღეს 32.5 ათას ტონაზე მეტი მოცულობის აგროდიზელის ფასდაკლების ბარათები;

• 18,000 ჰა-ზე მეტ ფართობზე განხორციელდა 161 მლნ ლარზე მეტი მოსავლის დაზღვევა.

- როგორია მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემები და პროგნოზი წლის ბოლოსთვის?

პირველადი პროდუქციის მხარდაჭერის მიმართულებით გრძელდება მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, აღსანიშნავია, რომ „დანერგე მომავლის" ფარგლებში გაშენებულ ბაღებში მიღებული მოსავლის რეალიზაციით ფერმერებმა შემოსავალი უკვე მიიღეს. გაჩნდა საექსპორტო შესაძლებლობები, რაც განპირობებულია პროგრამის ფარგლებში გაშენებულ ბაღებში მიღებული მოსავლის მზარდი რაოდენობით. ასევე, აღსანიშნავია, რომ ეტაპობრივად იქმნება კარგი სანედლეულო ბაზა ადგილობრივი გადამამუშავებელი მრეწველობისათვის. თუმცა, კვლავ აქტიურად გრძელდება პროგრამა, მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით უპრეცენდენტოდ მაღალია მოთხოვნა, წლის მეორე ნახევარში განაცხადების მიღება განახლდება და ამ რაოდენობის ზრდა კვლავ არის მოსალოდნელი.

სახელმწიფოს მხარდაჭერით, მხოლოდ ჩვენი საგრანტოს მეშვეობით, უკვე ასზე მეტი შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოა შექმნილი. ამ მიმართულებით წელს თანადაფინანსების 50-ზე მეტი ხელშეკრულება გაფორმდა.

კვლავ აქტიურად გრძელდება არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების მხარდაჭერა. ამ კუთხით აღსანიშნავია, **„სოფლის განვითარების პროგრამა"**, რომელსაც სოფლის განვითარების სააგენტო ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით **„სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის"** ფარგლებში ახორციელებს. პროგრამა, რომლის მიზანია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა, ქედას, ხულოს, ბორჯომის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ხორციელდება. მიმდინარე წელს აღნიშნულ პროგრამას ახალი მიზნობრივი კომპონენტი - **მწვანე გრანტები** დაემატა.

მიმდინარე წლის შემოდგომისათვის დაგეგმილია განხორციელდეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული **სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის პროგრამა,** რომლის ბიუჯეტი მიმდინარე წელს 50 მლნ ლარი იქნება.

- ახლა ცოტა დეტალებში შევიდეთ და დავაკონკრეტოთ, რა სახის დახმარებებია სოფლის მეურნეობისთვის თქვენი სააგენტოს მეშვეობით?

როგორც ავღნიშნე, პირდაპირი, საგრანტო დახმარების პარალელურად, ხელს ვუწყობთ მნიშვნელოვან მიმართულებებს სისტემური პროგრამების განხორციელების გზით. აღსანიშნავია, რომ საგრანტო მხარდაჭერის პროგრამებმა ფერმერებს პირველადი პროდუქციის წარმოების ხარჯები მნიშვნელოვნად შეუმცირა. სისტემატიურად მიმდინარეობს აუთვისებელ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სხვადასხვა კულტურის გაშენება, გავრანებული პლანტაციების რეაბილიტაცია, ჩნდება შესაძლებლობა, მოხდეს გარკვეულ კულტურებში იმპორტის ჩანაცვლება და ჩნდება ახალი საექსპორტო შესაძლებლობები.

ჩვენი სააგენტოს პროგრამების მეშვეობით შესაძლებელია შეიქმნას თანამედროვე მეურნეობები თუ საწარმოები, რომელთა წარმოებული პროდუქციაც კუნკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ბაზარზე.

კოოპერაციული საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო **კოოპერატივების მხარდაჭერა** წარმოადგენს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. მათი მხარდაჭერის მიზნით ხორციელდება სახელმწიფო პროგრამები.

სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა კომპონენტის მხარდაჭერის ფარგლებში, როგორც პირველადი პროდუქციის, ასევე გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის შექმნის პარალელურად, სოფლის განვითარების სააგენტო ტექნიკურ დახმარებას უწევს ქართული აგრარული პროდუქციის მწარმოებლებს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების მიმართულებით.

- კერძოდ, რას გულისხმობს თითოეული დახმარება ფერმერისთვის, სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის შემქმნელებზე? უფრო გასაგები რომ იყოს, უფრო ჩავუღრმავდეთ თითოეულ მიმართულებას. ანუ, ინფორმაციულთან ერთად პრაქტიკულიც გავხადოთ ჩვენი საუბარი.

სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერა ფერმერებს ბიზნესის წამოწყებასა და მის განვითარებაში ეხმარება, შეღავათიანი აგროკრედიტისა და საგრანტო კომპონენტის კომბინაცია, ქმნის რეალურ შესაძლებლობას, როგორც პირველადი, ასევე გადამამუშავებელი მიმართულებით წარმოების განვითარებისათვის. მაგალითად, ფერმერს აქვს შესაძლებლობა თანხის ნაწილი მიიღოს გრანტის სახით, ხოლო დანარჩენი ნაწილი შეღავათიანი აგროკრედიტის საშუალებით. საგრანტო თანადაფინანსების მისაღებად პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მოგვმართავს სააგენტოს, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის მისაღებად კი მისთვის სასურველ საფინანსო ინსტიტუტს.

- რა მოეთხოვება დახმარების მისაღებად ბენეფიციარს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში?

სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს, ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს და იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროექტითა თუ პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. იურიდიული პირის დამფუძნებელი ასევე შესაძლოა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეც, რაც ქმნის დარგში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას.

რაც შეეხება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს", სესხების გაცემას ახორციელებენ პარტნიორი საფინანსო ინსტიტუტები, დადგენილი პირობების შესაბამისად.ხოლო პროგრამების ვადები და პირობები დადგენილია თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე - rda.gov.ge.

- როგორი სახის დახმარებას მიიღებს გადამამუშავებელი წარმოების მსურველი პირი (ალბათ იურიდიული)? მაგალითად, სახელმწიფო აფინანსებს საპროცენტო განაკვეთის დიდ ნაწილს 1,5 მლნ ლარამდე კრედიტის შემთხვევაში. უფრო ზუსტად რომ გვითხრათ რა მიზნობრიობის უნდა იყოს კრედიტი, და რამდენ %-ს რამდენი წლის განმავლობაში დაფარავს სახელმწიფო?

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით სარგებლობა შეუძლია როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირს. პროგრამის ფარგლებში საგენტოს მიერ არა უმეტეს 48 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება ხდება მსესხებლის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-მდე ოდენობით, რაც შეეხება სესხის მიზნობრიობას პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებებისთვის, კაპიტალური ხარჯებისათვის, სესხი გაიცემა ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების, მოდერნიზაციის და არსებულ საწარმოებში სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად. როგორც გადამამუშავებელი, ასევე პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ინფრასტრუქტურული საწარმოების მიმართულებით.

- შეღავათიანი კრედიტებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, ხომ?

"შეღავათიანი აგროკრედიტის" პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით საფინანსო ინსტიტუტებისგან გაიცემა, როგორც შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის, ასევე აგროლიზინგი.

- შეღავათიან კრედიტებთან ერთად არის გარკვეული გრანტებიც, რომელიც პროექტის ღირებულების საკმაოდ სოლიდურ ნაწილს წარმოადგენს. ეს რა შემთხვევაში ხდება ზოგადად და სოფლის მეურნეობის რომელი მიმართულებები ხვდება ამ კატეგორიაში, იქნებ დაგვიკონკრეტოთ?

როგორც უკვე ავღნიშნე, საგრანტო თანადაფინანსება გაიცემა სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა კომპონენტში, ეს იქნება პირველადი წარმოება, ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღების გაშენება, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება, ტექნიკური დახმარება, რაც მოიცავს უვნებლობისა და ხარისხის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვაში ხელშეწყობას. მხარს ვუჭერთ ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მიმართულებით, რაც მოიცავს დარგობრივ ცოდნაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, და აგრარული მიმართულებით კონსულტაციებს, რაც ხორციელდება სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონული სამსახურებისა და მუნიციპალური ცენტრების მეშვეობით. აღსანიშნავია, სოფლის განვითარების პროგრამა, რომელიც 8 მიზნობრივ მუნიციპალიტეტში ხორციელდება და სოფლად არასასოფლო-სამეურნეო, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას უჭერს მხარს.

- რომელი დარგებია აღიარებული ყველაზე პრიორიტეტულად საქართველოს სოფლის მეურნეობაში დღეისათვის? პრიორიტეტის მიხედვით რომ დაგვისახელოთ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირველადი პროდუქციის წარმოების მიმართულებით რეგიონებში გავრცელებული კულტურები ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ზოგადად თუ ვისაუბრებთ უნდა ავღნიშნოთ, რომ ყველაზე გავრცელებული კულტურებია კაკალი, ნუში, ვაშლი, ვაზი, ლურჯი მოცვი და სხვა.

- სად შეუძლია დაინტერესებულ პირს ამომწურავი ინფორმაციის მიღება?

სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებისა და პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - rda.gov.ge, აქტიურ რეჟიმში მოქმედებს საინფორმაციო სამსახური - 1501, ხელმისაწვდომია ონლაინ ჩატის მომსახურება, სიახლეები ვრცელდება სოციალური ქსელის საშუალებითაც. ამავდროულად, ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია მთელი ქვეყნის მასშტაბით, სოფლის განვითარების სააგენტოს 9 რეგიონული სამსახურისა და 45 საინფორმაციო-საკონსულტაციო მუნიციპალური ცენტრის საშუალებით. დისტანციური სერვისების მიწოდების პარალელურად სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონული სამსახურების თანამშრომლები ფერმერებს უწყვეტად უწევენ, როგორც საინფორმაციო, ასევე, დისტანციურ და საველე კონსულტაციებს.

- თქვენ თვითონ რას დაამატებდით, რა მნიშვნელოვანი მომენტი გამოვტოვეთ?

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, სოფლის მეურნეობის მდგრადი და გრძელვადიანი განვითარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა დაზღვევის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის, ხელმისაწვდომობაა. სახელმწიფოს ხელშეწყობით, ფერმერები მოსავალს მოსალოდნელი სტიქიისგან, სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხლისა და ციტრუსს საშემოდგომო ყინვისგან აზღვევენ. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, ხოლო მარცვლეული კულტურის შემთხვევაში 30 ჰა; თითოეული დამზღვევი 70% -იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50%-ს. ამასთან, დამზღვევს შესაძლებელია დაზღვეული ჰქონდეს, როგორც მარცვლეული კულტურა, ისე სხვა კულტურები ერთდროულად.

- დიდი მადლობა ბატონო ილია, ამდენი დრო რომ დაგვითმეთ და ამომწურავი პასუხები გაეცით ჩვენს შეკითხვებს.

- თქვენც დიდი მადლობა.

ინტერვიუ ჩაიწერა
ჟურნალის განყოფილების ხელმძღვანელმა
იური ძარჩავამ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

BENEFITS AND CHALLENGES OF APPLYING E-LEARNING IN THE GEORGIAN HIGHER EDUCATION SYSTEM



Giorgi Abashishvili,
PhD in Business Administration,
Chancellor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)
E.mail: giorgi.abashishvili@gmail.com
Cell:(+995 599) 089988

DOI suffix: 10.36962/NEC6102202112

ABSTRACT

E-learning has an increasingly important role within the ever-growing tertiary education system in many developed countries. While the research on e-learning is still relatively a novel discipline, with even a universally accepted definition being absent, there are numerous indications pointing to its increasing importance. For example, in the US alone, some 35% of university students take at least one online degree, while the ratio has been steadily increasing in the recent years.

There are numerous underlying factors which support the intensification of e-learning. Most countries cannot keep up with the increasing demand for tertiary education by merely expanding their traditional universities – be it because of high needed fixed investments, or because or elevated costs of engaging the relatively scarce teaching staff. In the same time, the ICT revolution – as well as the ongoing COVID outbreak – both facilitate and require shifts to a delocalized contact between students and the teaching staff. In sum, this provides many developing countries with a mechanism of provision of tertiary education to large masses of prospective students without having to invest in physical infrastructure.

However, this is not a process without challenges. Regulation in many countries is only yet to cope with these technology and demography-induced shifts in education. Some academic fields are not yet appropriate for distance learning. Cheating and plagiarism could be widespread if not tackled with appropriate strategies and technological solutions. This document examines these elements by providing an overview of the experiences in some of the countries where the e-learning system already took deep roots.

Georgia has much to gain if it includes e-learning in its tertiary education system. Georgia at this moment is, seemingly, one of the few relatively developed countries which still do not have a fully-fledged and accredited e-learning platform within its tertiary education system. However, as World Bank data show, some 64% of Georgia's high school graduates successfully enroll to a university, which is approx. 10 percentage points lower than OECD average, or as much as 25-30 percentage points lower than some of the world's top education performers, such as Finland, the Netherlands or South Korea. While this gap needs to be bridged if Georgia is to tap the potential of the ongoing technological revolution, introduction of e-learning to its system may be of significant help, while it would not incur large additional costs. Indeed, numerous international examples show that in many countries, the number of students enrolled to universities soared following the introduction of e-learning, while the quality of education has not declined. In terms of increasing the base of potential enrollments, in Georgia's case it is important to underline that e-learning may also be a mean of reaching out and connecting with members of the numerous Georgian diaspora. Also, setting up an e-learning platform also helps the universities to engage top lecturers in many educational domains at relatively low cost, meaning that more students may be given a higher quality education.

COVID-19 outbreak is a case in point. The ongoing pandemics outbreak has shown, among other, that true business continuity for many education institutions, at all education levels, could have only been reached by employing adequate e-learning procedures. This means that those who have already instituted some forms of e-learning had fewer difficulties in overcoming the operative issues, while continuing to deliver education.

Keywords: *Higher education, E-lerning.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ელექტრონული სწავლების გამოყენების უპირატესობები და გამოწვევები

გიორგი აბაშიშვილი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კანცლერი
ელ.ფოსტა: giorgi.abashishvili@gmail.com
მობ:(+995 599) 089988

ანოტაცია

ელექტრონულ სწავლებას სულ უფრო მნიშვნლოვანი როლი ენიჭება განვითარებული ქვეყნების მუდმივად მზარდი უმაღლესი განათლების სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სწავლების კვლევები შედარებით ახალი მიმართულებაა და მისი საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს, მისი მნიშვნელობის ზრდის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს. მაგალითად, მხოლოდ აშშ-ში, უნივერსიტეტის სტუდენტთა დაახლოებით 35%, სულ მცირე, ერთ ონლაინ აკადემიურ ხარისხს მაინც იღებს, თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი სტაბილურად იზრდება.

მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფაქტორები არსებობს, რომლებიც ხელს უწყობენ ელექტრონული სწავლების ინტენსივობის ზრდას. ქვეყნების უმრავლესობა მხოლოდ ტრადიციული უნივერსიტეტების გაფართოებით უმაღლეს განათლებაზე მზარდ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს - დიდი მოცულობის ინვესტიციების საჭიროებისა, თუ შედარებით მწირი კვალიფიციური კადრების მოზიდვის ხარჯების გამო. ამავდროულად, "საინფორმაციო-ტექნოლოგიური რევოლუცია", ისევე როგორც მიმდინარე კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელება, სტუდენტებისა და მასწავლებლების დელოკალიზაციას უწყობს ხელს. მთლიანობაში, ეს, ბევრ განვითარებად ქვეყანას უზრუნველყოფს მექანიზმით, რომლითაც შესაძლებელი ხდება უამრავი პერსპექტიული სტუდენტისათვის უმაღლესი განვითარების მიწოდება, ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში დამატებითი ინვესტირების გარეშე.

თუმცა ამ პროცესს გარკვეული გამოწვევებიც ახლავს. ბევრ ქვეყანაში მოქმედი რეგულაციები ჯერ კიდევ ვერ უმკლავდება განათლების სისტემაში დემოგრაფიული და ტექნოლოგიური მიზეზებით გამოწვეულ ცვლილებებს. შესაბამისი სტრატეგიისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს პლაგიატს და გაყალბებას. დოკუმენტში განხილულია ეს ელემენტები, იმ ქვეყნების მაგალითზე, სადაც ელექტრონულ სწავლებას უკვე ღრმა ფესვები აქვს. ეს დოკუმენტი ზემოაღნიშნული იდეების ერთგვარი შეჯამებაა. ამასთან, აღწერილია რამდენიმე ქვეყნის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, პოლონეთის და სამხრეთ კორეის მაგალითები, სადაც ელექტრონულ სწავლებას საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ელექტრონული სწავლების ჩართვა ქვეყნისათვის საკმაოდ მომგებიანი იქნება. დღეისათვის, როგორც ჩანს, საქართველო, იმ მცირერიცხოვან, შედარებით განვითარებულ ქვეყნებს შორისაა, რომლებსაც უმაღლესი განათლების სისტემაში ჯერ კიდევ არ აქვს სრულყოფილი და აკრედიტებული ელექტრონული სწავლების პლატფორმა. თუმცაღა, მსოფლიო ბანკის მონაცემები ცხადყოფს, რომ აბიტურიენტთა 64% წარმატებით ირიცხება უმაღლეს სასწავლებლებში, რაც 10%-ით ნაკლებია ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მაჩვენებელი და 25-30%-ით ნაკლები ვიდრე განათლების ხარისხის კუთხით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში - ფინეთში, ჰოლანდიაში და სამხრეთ კორეაში. ვინაიდან ეს წყვეტა (gap) შესავსებია, თუ საქართველოს სურს მიმდინარე ტექნოლოგიური რევოლუციის პოტენციალის გამოყენება, ელექტრონული საცვლების დანერგვა, საგრნობლად დაეხმარება მას. ამასთან, დიდ ფინანსურ ხარჯებს არ გამოიწვევს. მრავალი საერთაშორისო მაგალითი აჩვენებს, რომ ელექტრონული სწავლების შემოღების შემდეგ, უნივერსიტეტებში სტუდენტთა მეტი რაოდენობა ჩაირიცხა, ხოლო განათლების ხარისხი არ გაუარესებულა. პოტენციური ჩარიცხვის ზრდის თვალსაზრისით, საქართველოს შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული სწავლება შესაძლოა გახდეს მრავალრიცხოვან ქართულ დიასპორასთან კავშირის საშუალება. ამასთან, ელექტრონული სწავლების პლატფორმის აწყობა, უნივერსიტეტებს, შედარებით ნაკლები დანახარჯებით, საუკეთესო ლექტორების მოზიდვაში დაეხმარება. ეს

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კი, იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი სტუდენტი შეძლებს უკეთესი განათლების მიღებას. კორონაროვირუსის (COVID-19) აფეთქება ნიშანდობლივი მაგალითია. ვირუსით გამოწვეულმა ცვლილებებმა, ნათლად აჩვენა, რომ „ნამდვილი ბიზნესის უწყვეტობა" საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, განათლების ყველა დონე ზე, მხოლოდ ელექტრონული სწავლების შესაბამისი პროცედურების გამოყენებით არის შესაძლებელი. მათ, ვისაც რაიმე ფორმით, უკვე დანერგილი ჰქონდათ ელექტრონული სწავლება, სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად ნაკლები სირთულის გადალახვა მოუწიათ.

საკვანძო სიტყვები: *უმაღლესი განათლება, ელექტრონული სწავლება.*

შესავალი

უმაღლესი განათლება ხშირად განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა. მისი გავლენა ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაზე კარგად არის დასაბუთებული ლიტერატურაში (XXX), რაც ფართოდ არის ცნობილი. უმაღლესი განათლება ზრდის ადამიანურ რესურს, აუმჯობესებს სამუშაო პროცესებს და უმრავლეს ქვეყანაში განიხილება როგორც „კაპიტალი". ეს არის მაღალკვალიფიციური კადრების სანდო წყარო, რომელიც საჭიროა ინოვაციური პროფესიული ამოცანების შესასრულებლად. შესაბამისად, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკის წარმადობის ზრდას, ისევე როგორც, უფრო დინამიური შრომითი ბაზრის შექმნას.

უკანასკნელ პერიოდში, ზოგიერთ ქვეყანაში გაიზარდა უმაღლესი განათლების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. მაგალითად, ევროკავშირის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები (ბაკალავრის ხარისხიდან დაწყებული, მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიმღებთა ჩათვლით), მოსახლეობის დაახლოებით 4% შეადგენენ, ანუ დაახლოებით 17 მლნ. ადამიანს. ეს რიცხვი თანდათან იზრდება. „Eurostat"-ის მაჩვენებლებით, 2013 წლიდან 2017 წლამდე, აღნიშნული მონაცემი 0.14 %-ით გაიზარდა, ანუ თითქმის 800000 ადამიანით. მიმდინარე მე 4-ე ინდუსტრიული რევოლუციის ფარგლებში, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების და გლობალიზაციის პროცესის გათვალისწინებით, ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება.

უმაღლესი განათლების გავრცელებასთან ერთად, ელექტრონული სწავლების როლიც იზრდება. მეთოდოლოგიური საკითხებიდან გამომდინარე, როგორიცაა მაგალითად, ელექტრონული სწავლების საყოველთაოდ მიღებული განმარტებისა და მოცულობითი სტატისტიკური მონაცემების სიმცირე (რომლებიც მრავალ ქვეყანას და ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს), უკანსკნელი 15-20 წლის განმავლობაში ელექტრონილი სწავლებით მოსარგებლე სტუდენტთა რაოდენობა, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, სწრაფად იზრდება. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD 2005) თანახმად, ინტერნეტზე დამოკიდებული და სრულად ელექტრონულ სწავლებებში სტუდენტების ჩართულობის მასშტაბები მნიშვნელონად ნაკლები იყო საერთო რაოდენობის 5%-ზე. თუმცა, ზოგიერთ დაწესებულებებში, დისტანციური დასწრების ერთ კურსზე მაინც ჩართული სტუდენტების რაოდენობა, ტიპიურად ძალზედ მაღალი იყო და საერთო რაოდენობის 30%-დან 50%-ს აღწევდა. როგორც უსაზღვრო (თავისუფალი) უმაღლესი განათლების ობსერვატორია (OBHE2006) აღნიშნავს, 2004 წელს გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტების მხოლოდ 9% არ გააჩნდა ინსტიტუტის ფარგლებში ონლაინ სწავლების სტრატეგია, 2002 წელს ეს მაჩვენებელი აღნიშნულის მხოლოდ ნახევარი იყო.

უკანასკნელ პერიოდში ელექრონული სწავლების გავრცელება

განვითარებული ქვეყნების ბოლოდროინდელი მაგალითები ცხადყოფს, რომ ელექტრონული სწავლების წილი, მთლიანი უმაღლეს განათლების სფეროში, სწრაფად იზრდება. მაგალითად, ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA 2013) მიერ, წევრი 249 უნივერსიტეტის მაგალითზე, ჩატარებული ანალიზის მიხედვით, პრაქტიკულად, ყველა უმაღლესი სასწავლებელი ელექტრონულ სასწავლო პლატფორმას, მინიმალური დოზით მაინც, იყენებს. უნივერსიტეტების დაახლოებით 91% სწავლების შერეულ სისტემას მიმართავს. ანუ უდიდესმა უმრავლესობამ, ტრადიციულ სასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების ელემენტები შეიტანა. უმაღლესი სასწავლებლების 40%-ზე მეტმა თავისი სტუდენტების მეოთხედი ჩართო ელექტრონული სწავლების პროცესში, უნივერსიტეტების 30%-მა კი, სტუდენტთა 75%-ზე მეტი. აშშ-ის განათლების დეპარტამენტის განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, 2018 წელს სტუდენტთა რაოდენობამ, რომლებმაც სრულად ან ნაწილობრივ მი-

იღეს ონლაინ განათლება, 34% მიაღწია, თითქმის 4%-ით მეტი ვიდრე 2016 წელს. მხოლოდ აშშ-ში, ამჟამად უმაღლესი განათლების სასწავლებლების დაახლოებით 7 მლნ. სტუდენტია დისტანციურ სწავლებაში ჩართული, მათი რიცხვი სტაბილურად იზრდება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რაც აშშ-ის უმაღლესი განათლების უდიდეს სეგმენტს წარმოადგენს. 2016-2018 წლებში სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც რამდენიმე ონლაინ კურსით მაინც ისარგებლეს, 4.1%-ით გაიზარდა. ზრდის ტენდენცია კერძო უნივერსიტეტებშიც შესამჩნევია. არაკომერციული ინსტიტუტების სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც სულ მცირე ერთი ონლაინ კურსით მაინც ისარგებლეს 3.5%-ით ხოლო კომერციულ ინსტიტუტებში 1.4%-ით გაიზარდა. ეროვნული განათლების თვალსაზრისით, უცხოელი სტუდენტების დაახლოებით 35%-მა ერთი ონლაინ სასწავლო კურსი მაინც გაიარა, ხოლო 6%-მა სრულად ონლაინ პროგრამებით ისარგებლა. იხილეთ დანართი 1, რომელშიც მოცემულია აშშ-ის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სია, რომლებიც სტუდენტებს ნაწილობრივ ან სრულად ონლაინ ხარისხის სასწავლო პროგრამებს სთავაზობენ. მართალია, აღნიშნული კონკრეტულად აშშ-ში არსებულ ვითარებას გამოხატავს, თუმცა, ეს ტენდენცია სხვა განვითარებული ქვეყნებისთვისაც დამახასიათებელია (იხ. დიაგრამა 1-2.).

ელექტრონული სწავლების განმარტება

იმ დროს, როდესაც ელექტრონული სწავლების მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება, ტერმინი „ელექტრონული სწავლების“ საყოველთაოდ აღიარებული და მისაღები განმარტების გარშემო ჯერ კიდევ ფართო დებატები მიმდინარეობს. ევროპული კომისია (European Commission 2001) ონლაინ სწავლებას აღწერს, როგორც ახალი მულტიმედია ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენებას სწავლის ხარისხის ასამაღლებლად, როგორც ინფრასტრუქტურასა და მომსახურებებზე წვდომის გასაადვილებლად, აგრეთვე დისტანციური ურთიერთობით და თანამშრომლობით. აბადიმ (Abbad 2009) განსაზღვრა ონლაინ სწავლება, როგორც ნებისმიერი სწავლება, რომელიც ხორციელდება ელექტრონულად. მალცის (Maltz 2005) მიხედვით, ტერმინი „ელექტრონული სწავლება“ გულისხმობს ფართოდ გავრცელებულ, ონლაინ-დისტანციურ და ასევე ჰიბრიდულ სწავლებას. ონ-

დიაგრამა 1. შეერთებული შტატების უმაღლესი განათლების დაწესებულებების მიერ ელექტრონული სწავლების კურსების გამოყენებაში ჩართულობის ხარიხი



წყარო: განათლების დეპარტამენტის სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დიაგრამა 2. ელექტრონული სწავლების გამოყენება აშშ-ის უმაღლესი გაანთლებაში, განათლების დონისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სახეობების მიხედვით, 2018



წყარო: განათლების დეპარტამენტის სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

ლაინ სწავლება, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD 2005) მიხედვით, არის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების სხვადასხვა პროცესში, რათა ხელი შეუწყოს და გააძლიეროს სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში. განმარტება ასევე მოიცავს ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორც ტრადიციული სასწავლო პროცესის შემავსებელს, ონლაინ სწავლებას ან ორი მოდელის კომბინაციას. ელექტრონული სწავლების კომპონენტების დანერგვა მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის ამაღლებას და მისი ეფექტურობის ზრდას. ამ კვლევაში, ჩვენ ვირჩევთ გუინეის (Guiney 2014) განმარტებას, რომლის მიხედვითაც, „ელექტრონული სწავლება", ეს არის სწავლება, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის ინტერნეტის და მობილური მოწყობილობების გამოყენებას, მათი, შედარებით სიმარტივის და მოქნილობის გამო, სხვადასხვა ფორმით გამოყენების მიზნით.

ელექტრონული სწავლების სახეობები

ასინქრონული ელექტრონული სწავლება ეს, წყვეტილ რეჟიმში მიმდინარე სასწავლო პროცესია, რომლის დროსაც სტუდენტებს და პედაგოგებს ერთდროულად ონლაინ კავშირი არ აქვთ. ამგვარი ელექტრონული სწავლების დროს შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის, ბლოგების, ფორუმების, ელექტრონული წიგნების, CD და DVD დისკების გამოყენება და სხვა. მოსწავლეებს, მათთვის სასურველ ნებისმიერ დროს, შეუძლიათ დოკუმენტების ჩამოტვირთვა, პედაგოგებთან და სხვა სტუდენტებთან მიმოწერა. ბევრი სტუდენტი უპირატესობას ასინქრონულ ელექტრონულ სწავლებას ანიჭებს, ვინაიდან შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი დღის განრიგის ცვლილების გარეშე, მისთვის სასურველი დროის მონაკვეთში, გაიაროს ონლაინ სწავლება.

ჰიბრიდული ელექტრნული სწავლება (ასევე ცნობილია როგორც შერეული კურსები) არის სასწავლო გარემო, რომელიც პირად და ონლაინ ინტერაქციას ითვალისწინებს. როგორც წესი, ჰიბრიდული კურსები სემესტრის განმავლობაში რამდენიმე პირისპირ შეხვედრას და სესიებს შორის ვირტუალურ/ონლაინ სივრცეში ურთერთობას გულისხმობს.

ელექტრონული სწავლების უპირატესობები და ნაკლოვანებები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ელექტრონული სწავლების დანერგვას ბევრი უპირატესობა აქვს და შესაძლებელია სწავლის პროცესი საგრძნობლად გააუმჯობესოს. არსებული ლიტერატურა ელექტრონული სწავლების მთელ რიგ პოზიტიურ მხარეებზე მიუთითებს. აღნიშნული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, შეგვიძლია დავახარისხოთ ელექტრონული სწავლების უპირატესობები შემდეგი თანამიმდევრობით:

დიაგრამა 3. ელექტრონული სწავების სახეობები



1. **მოქნილობა** - სმედლის (Smedley 2010) თანახმად, უმაღლეს სასწავლებლებში ელექტრონული საწვლების დანერგვა სასწავლებლებს, პედაგოგებსა და მსმენელებს შორის ინფორმაციის გაცვლის მოქნილობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

2. **ეფექტურობა** - არკორფული და აბაიდო (Arkorful and Abaidoo 2014) თვლიან, რომ ცოდნის გადაცემის ეფექტურობა გაუმჯობესებულია დიდი რაოდენობის ინფორმაციის ხელმისაწვდომობით. ელექტრონული სწავლების გარემო უფრო ტოლერანტულია. ყველა მომხმარებელს, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, რასის და ადგილმდებარეობის მიუხედავად, საინფორმაციო წყაროებზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობა ეძლევა (Khan, 2005). სანდლერ-სმიტი და ბრაუნი (Sadler-Smith (2000) and Brown et al 2001) მიიჩნევენ, რომ ელექტრონული სწავლების დანერგვა და განხორციელება საშუალებას აძლევს შშმ პირებს ნებისმიერი ადგილიდან განაგრძონ განათების მიღება.

3. **გამარტივებული ინტერაქცია** - ვაგნერმა და სხვებმა (Wagner et al 2008) დაასკვნეს, რომ ელექტრონული სწავლება პედაგოგებსა და მსმენელებს შორის კომუნიკაციისა და იდეებს გაცვლის კუთხით არსებული ბარიერების შემცირებას უწყობს ხელა. ავტორები თვლიან, რომ ელექტრონული სწავლების პლატფორმებში მონაწილეობა პედაგოგებსა და მსმენელებს შორის კომუნიკაციას აადვილებს. ზრდის მათ მოტივაციას და ხელს უწყობს მათი ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სწავლას. ელექტრონული სწავლების გარემო სტუდენტებს დამოუკიდებლობაში ეხმარებათ, იმ მიზეზით, რომ პედაგოგები ცოდნის ერთადერთ წყაროს აღარ წარმოადგენენ. ისინი თვითონ ხდებიან საკუთარი თავის მრჩევლები და გზამკვლევები (Alsalem, 2004). ჩჟანი და სხვები (Zhang et al 2006) ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ელექტრონული სწავლება გაცილებით უფრო მოქნილია რაც, ლექციებზე დასწრების მიზნით, გამგზავრების საჭიროებას ამცირებს. ელექტრონული სწავლებისას, ჩჟანის (Zhang et al 2006) მიხედვით, ინტერაქტიული ვიდეო საშუალებით, სტუდენტებს შეუძლიათ თვალი ადევნონ აუდიტორიაში მიმდინარე ყველა აქტივობას და იმდენჯერ მოუსმინონ ლექტორებს რამდენჯერაც მათ სურთ. ბრაუნის (Brown et al 2008) და იუდაილის (Judahil et al 2007) მიხედვით, პედაგოგებს სტუდენტებთან ურთიერთობის სხვადასხვა საშუალება და დაუყოვნებლივი უკუკავშირის შესაძლებლობა ეძლევათ.

4. **ხარჯების ეფექტურობა** - არკორფული და აბაიდო (Arkorful and Abaidoo 2014) მიიჩნევენ, რომ ელექტრონული სწავლება გაცილებით ეკონომიურია, ვინაიდან სტუდენტებს და პედაგოგებს მოგზაურობა არ უწევთ. ეს აგრეთვე ფინანსურად მომგებიანია, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა სტუდენტების მაქსიმალურად დიდმა რაოდენობამ მიიღოს განათლება ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაფართოების გარეშე.

5. **პედაგოგიური შემადგენლობის დეფიციტის პრობლემის მოგვარება** - ელექტრონული სწავლება პედაგოგების მოგზაურობის საჭიროებას ამცი-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

რებს. დისტანციურ პლატფორმაში მონაწილეობის გამო, პერსონალის მოგზაურობა და გადაადგილება აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტები, რომლებსაც რომელიმე კონკრეტულ სფეროში პედაგოგები ესაჭიროებათ, მარტივად შეძლებენ ამ გამოწვევასთან გამკლავებას თანამშრომლების დაუსწრებლად გამოყენებით.

6. **კმაყოფილების დონის ამაღლება და სტრესის შემცირება** - არკორფურის და აბაიდოს (Arkorful and Abaidoo 2014) ნაშრომების მიმოხილვის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ელექტრონულმა სწავლებამ შესაძლოა მსმენელთა კმაყოფილების ხარისხი გაზარდოს. მათ, საკუთარი ტემპის მიხედვით, შეუძლიათ თვითგანვითარება. განსაკუთრებით ასინქრონული ელექტრონული სწავლების შემთხვევაში.

თუმცაღა, ელექტრონულმა სწავლებამ შესაძლოა სასწავლო პროცესში გარკვეული შეფერხებები გამოიწვიოს. არსებული ლიტერატურა აღნიშნული შეფერხებების მიმოხილვის შესაძლებლობას იძლევა, რომელთა დაყოფა რამდენიმე ჯგუფად შეიძლება:

1. **პერსონალური კომუნიკაციის არარსებობა და სტუდენტების იზოლაცია-** ელექტრონული სწავლება, როგორც განთლების მიღების მეთოდი, სტუდენტებს დისტანციაზე, მარტოობაში ამყოფებს. ისინი ინტერაქციის და ურთიერთობების ნაკლებობას განიცდიან. ამგვარი ეფექტის თავიდან ასაცილებლად, შთაგონების წყარო და დროის მართვის კარგი უნარია საჭირო. განმარტებების და ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, შესაძლოა ელექტრონული სწავლება ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს ვიდრე სწავლის ტრადიციული მეთოდი. სწავლის პროცესი გაცილებით უფრო მარტივია პედაგოგებთან პირისპირ შეხვედრების დროს;

2. **სტუდენტების მხრიდან პოტენციურად შეზღუდული უკუკავშირი -** ტრადიციული სასწავლო პროცესის დროს, პედაგოგებს საშუალება აქვთ დაუყოვნებლივ, პირადად გასცენ პასუხი სტუენტებს. სწავლის პროცესში გარკვეული სირთულეების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტებს მარტივად შეუძლიათ ამის გადაჭრა, როგორც ლექციის მიმდინარეობისას, ასევე სამუშაო საათების დროს. პერსონალური გამოხმაურება სტუდენტებზე დადებითად მოქმედებს ვინაიდან ამდიდრებს და ამარტივებს სწავლის პროცესს. ეს ყველაფერი კი, მათი მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს;

3. **ფოკუსირება უფრო მეტად თეორიაზე და არა პრაქტიკაზე** - პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ელექტრონული სწავლების პროვაიდერების დიდი უმრავლესობა, მეტწილად, თეორიული ცოდნის და არა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე აკეთებს აქცენტს. ამის მიზეზი გასაგებია - ვირტუალურ სივრცეში თეორიული ლექციის ჩატარება გაცილებით უფრო მარტივია ვიდრე პრაქტიკული მეცადინეობის;

4. გაყალბების და პლაგიატის პრევენცია - ვინაიდან ელექტრონული სწავლების შემთხვევაში, შესაძლებელია საგამოცდო ტესტები სხვის მიერ იქნეს შევსებული, გაყალბების პრევენცია ძალზედ რთულია თუ არა შეუძლებელი. ელექტრონულმა სწავლებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს მეკობრეობასა და პლაგიატს, რომელიც შეიძლება განაპირობოს კოპირების (copy and paste) სიმარტივემ. თუმცაღა, ისეთი ნეგატიური მოვლენა როგორიცაა გაყალბება შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული სწორი სასწავლო სტრატეგიის და ტექნოლოგიების მეშვეობით. სასწავლო სტრატეგია შესაძლოა ითვალსიწინებდეს ესეების დაწერას ან სუბიექტურ შეკითხვებს, ისე რომ სტუდენტებმა პირადად გასცენ პასუხი. ტექნოლოგიების ნაწილში კი, შესაძლებელია ისეთი ბრაუზერის გამოყენება, როგორიცაა „Respondus' LockDown Browser". ეს არის სპეციალური ბრაუზერი, რომლითაც რეგულირდება საგამოცდო პროცესი, ანუ სტუდენტის კომპიუტერი. ბრაუზერი ბლოკავს მესიჯებს, ეკრანის კოპირებას, კოპირებას, მაუსის მარჯვენა ღილაკს და სხვა.

5. **გარკვეული აკადემიური დარგების ელექტრონულ სწავლებასთან შეუსაბამობა** - არკორფული და აბაიდო (Arkorful and Abaidoo 2014) მიიჩნევენ, რომ ყველა დისციპლინა ტექნიკურად ვერ ექვედემდებარება ელექტრონულ სწავლებას. წმინდა სამეცნიერო დარგები, რომლებიც პრაქტიკულ მეცადინეობებსაც მოიცავს, ელექტრონული სწავლების მეშვეობით, სათანადოდ (მაღალ დონეზე) ვერ ისწავლება. მათი აზრით, სწავლების ეს ფორმა სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის უფრო მიზანშეწონილია. ისეთი სფეროები, როგორებიცაა სამედიცინო და ფარმაცევტიკა, დიდი დოზით პრაქტიკული ნაწილის არსებობას მოითხოვს. ვერც ერი რაოდენობის ონლაინ ლექცია ვერ შეუცვლის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს აუტოფსიას[1] და ინჟინერს საწარმოში ჩატარებულ პრაქტიკულ მეცადინეობას.

1 აუტოფსია - გვამის გაკვეთა დიაგნოსტიკური ან სამეცნიერო მიზნით.

ტექსტური ნაწილი 1. როგორ ხდება დისტანციური სწავლების დროს ხარისხის მართვა და შენარჩუნება.

ქვეყნების უმრავლესობას, რომლებშიც ელექტრონული სწავლება რეგულირდება, აკრედიტაციის პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს, რის კონტროლსაც ეროვნული საგანმანათლებლო ინსტიტუტები ახორციელებენ. ეს საკვანძო საკითხია სწავლის დონის კონტროლისთვის. თვითონ უმაღლესი სასწავლებლები ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმას მიმართავენ, რაც მთლიანობაში სწავლის ხარისხის შენარჩუნებას ემსახურება. კირკპატრიკის (Kirkpatrick 2005) მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა ძირითადად მიმართულია:

– **სასწავლო გეგმა და სწავლება:** აკადემიური სტანდარტებისა და კვალიფიკაციის განსაზღვრა, პროგრამების შემუშავების დროს სტანდარტების დადგენა, ეფექტიანობის შეფასების მექანიზმების შექმნა, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიის შექმნა, ხარისხის კონტროლის მექანიზმის შექმნა ონლაინ ლექციების მონიტორინგის მიზნით და ა.შ;

– **კოლექტივის მხარდაჭერა:** სასწავლო პროცესში ჩართული ყველა თანამშრომლის გადამზადება, სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და დახვეწა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და ა.შ;

– **სტუდენტების მხარდაჭერა:** სასწავლო პროცესის სტანდარტების შექმნა, სამუშაო პროცედურების, მათ შორის სასწავლო მასალების განახლების რეგულირება, სტუდენტებისთვის დავალებების განსაზღვრა და სხვა;

– **სტუდენტების შედეგები:** სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სტუდენტების მიღწევების მონიტორინგის მექანიზმების შექმნა, სწავლის პერიოდში მათი შედეგების მუდმივი მონიტორინგის მექანიზმების, გარე ინდიკატორების ან სტანდარტების განსაზღვრა და ა.შ.

უმაღლეს განათლებაში ელექტრონულ სწავლებას ახასიათებს ე.წ. ხარისხის სტანდარტები (რუბრიკები), რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებს უდგენს განვითარების, კურსების შემუშავების და შეფასების გარკვეულ კრიტერიუმებს. ეს სტანდარტები გამოიყენება ელექტრონული სწავლების შეფასებისთვის. ერკენი (Ekren 2017) აცხადებს, რომ რამდენიმე საკნაოდ ცნობილი მაგალითი არსებობს:

– მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ხარისხის სტანდარტები;

– ილინოისის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ხარისხის ონლაინ კურსი;

– ონლაინ კურსის შეფასების პროექტი - მონტერეის ტექნოლოგიების და განათლების ინსტიტუტი;

– სამხრეთ მისისიპის უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავებული ონლაინ კურსის განვითარების სახელმძღვანელო;

– მიჩიგანის ონლაინ კოლეჯების მიერ შემუშავებული ონლაინ კურსის განვითარებს სახელმძღვანელო;

– კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „ჩიკო"-ს ხარისხის სტანდარტები (Chico Rubric);

– დასავლეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ონლაინ კურსების შეფასების მეთოდოლოგია;

– კანადის ალბერტას ონლაინ კამპუსის (E-campus Alberta) ელექტრონული სწავლების რუბრიკა.

ელექტრონული სწავლების ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

ელექტრონულ სწავლებას ექნება მნიშვნელოვანი პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. აღნიშნული ეფექტების პირველი ჯგუფი მოიცავს უშუალო გავლენას მშპ-ს ფორმირებაზე, რომელსაც მოჰყვება ელექტრონული სწავლების შემოღების შედეგად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დამატებითი ღირებულების შექმნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტრონული სწავლების პლატფორმების შემოღებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიძლება მოყვეს ფინანსური და ეკონომიკური გავლენა, როგორც სასწავლო დაწესებულებებზე, ასევე ზოგადად ეკონომიკის ორივე მხარეზე - შემოსავლებზეც და ხარჯებზეც. ელექტრონული სწავლების პროცესის უფრო მაღალი მოქნილობა ნიშნავს მეტი სტუდენტის წვდომას განათლებაზე და შესაბამისად მეტ პოტენციურ ღირებულებასა და შემოსავალს. ეს გავლენა შეიძლება იყოს შედარებით მნიშვნელოვანი. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები ზოგადად მწირია, ზოგადი ინდიკატორები ელექტრონული სწავლების განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალზე მიუთითებენ. მაგალითად, აშშ–ის სასწავლო სტატისტიკის თანახმად - რომლებიც მაღალი მოცულობით და დეტალირებით არის წარმოდგენილი, სტუდენტთა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დაახლოებით 35% სხვადასხვა ფორმით მონაწილეობს ინლაინ სწავლებებში და 2016 წელთან შედარებით ზრდა 5%-ს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ გარდა ამისა, მხოლოდ აშშ–ში ელექტრონულ კურსებზე ჩარიცხვის რაოდენობის 1%-იანმა ზრდამ, შესაძლოა, სულ მცირე 0,35 პ.პ გაზარდოს სტუდენტების საერთო რაოდენობა. ეს დონე შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს იმ ქვეყნებში, სადაც ელექტრონული სწავლება ჯერ კიდევ არ არის განვითარებული და სადაც, აშშ-სგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არსებობს დიდი აუთვისებელი პოტენციალი. შემოსავლის ზრდის გარდა, ელექტრონულ სწავლებას სხვა პირდაპირი გავლენებიც გააჩნია. უფრო მრავალი სტუდენტის წვდომა გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიურ აპარატურას და პროგრამულ პროდუქტებზე ხარჯების ზრდას, რაც ამ შემთხვევაში შედარებით მცირე ეფექტის მქონეა.

ხარჯების მხარეს რაც შეეხება, სწავლების პროცესის ელექტრონულად ჩატარება გულისხმობს ხარჯების მეტ ეფექტურობას. კერძოდ, ტრადიციულ განათლებაში გასათვალისწინებელია, როგორც ოპერატიული ხარჯების ფართო სპექტრი სტუდენტებისთვის და პედაგოგებისთვის, ასევე მნიშვნელოვანია კაპიტალური ხარჯები. წმინდა ფინანსური დანახარჯების გარდა, ტრადიციული განათლება, მისი მდებარეობასთან დაკავშირებული მასიური კონცენტრაციით, მრავალ ქალაქში არის მასიური CO2- ის ემისიის, სატრანსპორტო საცობების და შეფერხებების მიზეზი. ამ დროს, ელექტრონული სწავლების პლატფორმების დანერგვა ამცირებს ხარჯებსა და საჭირო ინვესტიციებს, ასევე, დაუსწრებლად პედაგოგების სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა (ზრდის უფრო მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგებთან წვდომას). ზოგიერთი ფიზიკური ინფრასტრუქტურა ელექტრონული სწავლების პლატფორმების სრულფასოვანი მიღების შემდეგაც აუცილებელი რჩება. თუმცა ეს მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება ერთეულ სტუდენტზე გათვლით, ვიდრე სრულად ტრადიციული სწავლებისას - რაც განაპირობებს მასშტაბურ ეკონომიურ ეფექტს. ერთ სტუდენტზე შეფარდებით შემოსავლის პოტენციური ზრდისა და უფრო მაღალი ეფექტურობის ერთობლიობა გულისხმობს უფრო მაღალ პოტენციურ წმინდა შემოსავალს უმაღლესი დაწესებულებებისთვის, რაც სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის მნიშვნელოვან სახსრებს გამოათავისუფლებს. ეს ასევე ნიშნავს, რომ ელექტრონული სწავლების მასობრივმა დანერგვამ შესაძლოა, ასევე გამოათავისუფლოს გარკვეული საჯარო რესურსი სხვა საქმიანობისთვის. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის OECD (2014) თანახმად, წევრ ქვეყნებში არსებული საჯარო განათლების დაწესებულებები საშუალოდ ერთ სტუდენტზე 13,958 აშშ დოლარს ხარჯავენ უმაღლესი განათლებისთვის. დაწყებული 8000 აშშ დოლარიდან ლატვიაში, ესტონეთსა და სლოვაკეთში და დამთავრებული 26,000 აშშ დოლარით აშშ-ში. ამ თანხების უმეტესი ნაწილი ხმარდება ძირითად სერვისებს, რომლებიც, სხვათა შორის, მოიცავს საჯარო ან სუბსიდირებულ კერძო ხარჯებს სწავლების პროცესის ორგანიზაციულ მომსახურებაზე, წიგნებსა და სხვა სასწავლო მასალებზე. ამასთან, ელექტრონული სწავლების პლატფორმებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ამ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის დაზოგვას, უფრო ხელმისაწვდომი სასწავლო მასალების მიწოდებით. იგულისხმება, რომ ელექტრონული სწავლების შემოღება ეხმარება ქვეყნებს უმაღლესი განათლების მაძიებელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდაში იმ დონემდე, რომელიც მათთვის მიუღწეველი იქნებოდა მხოლოდ ტრადიციული განათლების მეთოდებით. მეტი სტუდენტის და პედაგოგის ჩართულობა ელექტრონული სწავლების პროცესში, ასევე გულისხმობს, არაპირდაპირ შედეგებს. ელექტრონული სწავლების დანერგვა შეიძლება დაეხმაროს ქვეყანას გაზარდოს უმაღლესი განათლების მქონე პირების წილი მთლიან მოსახლეობაში, რაც ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. მეტიც, დისტანციური სწავლების გარემოში მუშაობა სტუდენტებს ეხმარება გაზარდონ მათი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ტექნოლოგიების სათანადო გამოყენებამ შეიძლება გააუმჯობესოს სტუდენტის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისადმი და მე 4-ე სამრეწველო რევოლუციის პირობებში მას ადაპტაციაში დაეხმაროს.

1. ელექტრონული სწავლების სისტემების დანერგვისა და გამოყენების საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულ თავში განხილულია ევროპის სამ ქვეყანაში ელექტრონული სწავლების მაგალითები. პირველი ასეთი მაგალითია პოლონეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა განვითარებადი ეკონომიკით და განათლების სისტემით. პოლონეთში ახლაც გრძელდება უმაღლესი განათლების

სისტემაში ელექტრონული სწავლების დანერგვის პროცესი. კვლევის ამ ნაწილში განხილულია ქ. კრაკოვის პაპი იოანე პავლე II სახელობის უნივერსიტეტი, რომელმაც უკანასკნელ წლებში ელექტრონული სწავლების პლატფორმების დანერგვის კუთხით, დიდ წარმატებას მიაღწია. ასევე განხილულია ელექტრონული სწავლების უფრო ხანგრძლივი ტრადიციების მქონე ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, სამხრეთ კორეის და თურქეთის მაგალითები. პირველ მაგალითზე განვიხილავთ თუ როგორ ხდება ელექტრონული სწავლების პლატფორმის დანერგვა საკმაოდ დეცენტრალიზებული განათლების სისტემაში. უკანასკნელი მაგალითი გვიჩვენებს ჰაგენის უნივერსიტეტის წარმატებულ შემთხვევას. ეს არის გერმანიის ყველაზე დიდი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მხოლოდ ონლაინ სწავლებაზეა ორიენტირებული (იხ. დიაგრამა 4.).

ელექტრონული სწავლებით გენერირებული დამატებითი ღირებულების უფრო ზუსტი შეფასება უმაღლესი განათლების პირობებში, ისევე როგორც მისი წვლილი მშპ-ში, ამჟამად არ არის ზუსტად შეფასებული მონაცემებზე არასაკმარისი წვდომის გამო. ამასთან, არსებობს რამდენიმე ნიშანი, რომელიც მიუთითებს ამ წვლილის საკმაოდ მაღალ და მზარდ მნიშვნელობაზე.

რაც შეეხება ამ სექტორის მიერ წარმოქმნილი დამატებული ღირებულების შეფასებას, ზოგიერთ ადრეულ ნაშრომში მითითებულია, რომ იგი შედარებით მასშტაბური და სწრაფად მზარდია. მაგალითად, „Global Market Insights"-ის ანალიზმა (2019) დაადგინა, რომ გლობალური ელექტრონული სწავლების საბაზრო მოცულობამ 2018 წელს 190 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ ანალიზით ვარაუდობენ, რომ 2025 წლისთვის ეს მონაცემები 300 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზრდება, რაც ყოველწლიურ 8%-იან ზრდის ტემპს ნიშნავს. კვლევის თანახმად, ზრდა მოიცავს ყველა გაყიდვას, რომელიც დაკავშირებულია სწავლის მართვის სისტემების დანერგვასთან, როგორიცაა თავსებადობის უზრუნველყოფა, დისტანციური შეფასება, კომპიუტერული ტრეინინგი, პროგრამების მიწოდება და ერთობლივი სწავლებები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხა მოიცავს ელექტრონული სწავლების გაყიდვებს, როგორც კორპორატიულ სექტორში, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთაგან ეს უკანასკნელი დაახლოებით 50% -ს შეადგენს. და ბოლოს, აქ არ ხდება პროცესის მთლიანი ეკონომიკური ეფექტების ასახვა დამატებული ღირებულებასა - ან/და მშპ - ში, მაგრამ ეს არსებული ტენდენციის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს.

რაც შეეხება მშპ-ს, ცნობილია, რომ უმაღლესი განათლების დონის ამაღლება დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. უდაოდ, მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლებისადმი ფართო წვდომის უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია გრძელვადიანი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან, რადგან ეს 1) ამდიდრებს ადამიანურ კაპიტალს, სამუშაო ძალის ზოგადი უნარების და კვალიფიკაციის ამაღლების გზით; 2) ხელს უწყობს ინოვაციას, რაც აუმჯობესებს ეკონომიკის შესაძლებლობებს ახალი ტექნოლოგიების განვითარების ან დანერგვისათვის; 3) ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებას. მაგალითად, ვალერო და ვან რინინის (Valero and Van Reenen 2019) თანახმად, რეგიონში უნივერსიტეტების რაოდენობის 10% იანი ზრდა იწვევს ამ რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე მშპ 0.4% -ით ზრდას. ბარრო (Barro 1997) ამტკიცებს, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენლის უმაღლეს დაწესებულებებში დამა-

დიაგრამა 4. ელექტონული სწავლების ეკონომიკური ზეგავლენა



წყარო: ავტორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ტებით ერთი წელი ასოცირდება მშპ – ის ზრდის 1.2%-ტთან. გემელი (Gemmel1996) მიიჩნევს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში, უმაღლესი განათლების კაპიტალის 1%-იანი ზრდა ასოცირდება მშპ-ის ზრდის ტემპის 1.1 პროცენტული პუნქტის ზრდასთან. ბასანინი და სკარპეტა (Bassanini and Scarpetta2001) მიიჩნევენ, რომ ადამიანური რესურსის 1%-იანი ზრდა მშპ-ს 0,57 %-იან ზრდას უკავშირდება. ვინაიდან ლიტერატურაში ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული პასუხი კითხვაზე, არის თუ არა განათლების ხარჯები, პირდაპირ მიზნობრივად დაკავშირებული ეკონომიკურ შედეგებთან, ამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო ნაკლებადაა ცნობილი. კვლევის ეს საგანი ჯერ კიდევ შედარებით, ახალია და შემდგომი განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. თუმცა, ზოგიერთმა ადრეულმა კვლევამ უკვე, შეიძლება გარკვეულ წილად, შუქი მოჰფინოს ამ საკითხებს. მაგალითად, აგიომიგრიანიკისის (Agiomirgianikis. Al2017) მატრიცული მათემატიკური ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა, რომ საბერძნეთის ღია უნივერსიტეტის ხარჯები ქვეყნის მშპ-სთან პირდაპირი დამოკიდებულება 1,6 ტოლი მყარი კოეფიციენტით ხასიათდება, რაც ითვალისწინებს პირდაპირ, ირიბ და წარმოებულ ეფექტებს.

პოლონეთის მაგალითი

პოლონეთში ელექტრონული სწავლება15 წლის წინ დაინერგა. დორსკას (Dorska2016) მოსაზრებით, ელექტრონული სწავლება, შეცვლილი სასწავლო გარემოს პირობებში, სტუდენტებსა და პედაგოგებს სწავლების და ურთიერთობის სხვადასხვა შესაძლებლობებს სთავაზობს, რასაც აქტიურად უჭერს მხარს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო. დორსკა აღნიშნავს, რომ პირველი საკანონმდებლო ნორმა, რომელმაც უნივერსიტეტებს დისტანციური სწავლების განხორციელების ნება დართო, 2005 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში იქნა შეტანილი. აღნიშნული კანონის თანახმად, განათლების სამინისტრო განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა ჯგუფებში/კლასებში, სადაც დისტანციური სწავლების ტექნოლოგიები და მეთოდები გამოიყენება, მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო წვდომით და შესაბამისი ხანგძლივობის სასწავლო დროით, როგორც დასწრებულ ასევე დაუსწრებელ ფაკულტეტებზე.

პოლონეთის უმაღლესი განათლების სამინისტრომ 2007 წელს შემოიღო უნივერსიტეტებში ელექტრონული სწავლების წესები და მათი სტანდარტიზება მოახდინა, ხოლო 2011 წელს შესწორება იქნა შეტანილი. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგანმანათლებლო გაერთიანების ქსელის „Eurydice“-ის თანახმად, პოლონეთში ფაკულტეტები და კურსები დისტანციური სწავლების ტექნოლოგიით და მეთოდით შეიძლება გაიმართოს, თუ ლექციების საერთო საათების რაოდენობა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საათების 50%-ს არ აღემატება. ამასთან, უმაღლესი სასწავლებლები უდნა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. პედაგოგები შესაბამის გადამზადებას გადიან დისტანციური სასწავლო კურსების გამართვის მიზნით. გადამზადების პროცესი უმაღლესი განათლების დაწესებულების მუდმივი ზედამხედველობის პირობებში მიმდინარეობს;

2. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და პროგრამებზე წვდომა სტუდენტებისა და პედაგოგების, როგორც სინქრონულ, ასევე ასინქრონულ ინტერაქციას უზრუნველყოფს;

3. სალექციო და სასწავლო მასალები წარმოდგენილია ელექტონულ ფორმატში;

4. სტუდენტებს აქვთ წვდომა პირისპირ ლექციებზე, სასწავლო მეთოდოლოგიურ სესიებზე აკადემიურ და სხვა შემადგენლობასთან, რომელიც ახორციელებს სწავლებას, როგორც უმაღლესი სასწავლებლის ცენტრალურ კამპუსში ასევე ფილიალებში;

5. სტუდენტების სასწავლო შედეგები სწავლების პროგრესის დინამიკა მუდმივი მონიტორინგის საშუალებით კონტროლდება. გამოცდები (ან შეფასების სხვა ფორმები) კურსის ბოლოს, უმაღლესი სასწავლებლის მთავარ კამპუსში ან ფილიალებში ტარდება;

6. სტუდენტებმა ასეთ კურსებში მონაწილეობისათვის შესაბამის გადამზადებას გადიან.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) უკანასკნელი კვლევის (2019) თანახმად, ელექტრონული ონლაინ განათლების მიღება პოლონეთში შესღუდულია, თუმცა აშკარა ზრდა აღინიშნება. 2012 წლისათვის ზრდასრულთა რიცხვი, ვინც დისტანციური სახის სწავლებით ისარგებლა, პოლონეთში უფრო მაღალი იყო (43,7%) ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სხვა წევრ ქვეყნებში. ამჟამად შექმნილია ნაციონალური პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს უმ-

აღლეს სასწავლებლებს თავისუფალი და ფართოდ ხელმისაწვდომი სასწავლო კურსები გამართონ. აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფო თანადაფინანსებას ელექტრონული განათლების ერთ-ერთი სახეობის ჩამოყალიბებისა და დანერგვის მიზნით: 1) სტუდენტებისათვის რეკომენდირებულია სასწავლო კურსები, რომლებიც სასწავლო პროცესის დამატებით ელემენტად განიხილება: 2) ყველასათვის ხელმისაწვდომი კურსები.

ტექსტური ნაწილი1:
ელექტრონული სწავლების გამოყენება პაპი იოანე პავლე II უნივერსიტეტში ქ. კრაკოვში

დორსკას (Dorska2016) თანახმად, პაპი იოანე პავლე II უნივერსიტეტი პოლონეთის რეგულაციების გათვალისწინებით, ელექტრონული სწავლების სისტემაში 2009/10 აკადემიური წლიდან მონაწილეობს. უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, სასწავლო საათების რაოდენობა ელექტრონული სწავლების დროს შეზღუდულია საერთო საათების 40%-მდე, რაც კანონით დაწესებულ ზღვარზე ნაკლებია. სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებს უნივერსიტეტი შემდეგი სახით ითვალისწინებს:

1. პედაგოგიური კოლექტივი გადამზადებულია დისტანციური სასწავლო კურსების გამართვისათის - ლექციები პირველად იმართება უნივერსიტეტის პლატფორმის გამოყენებით. ყოველი სემესტრის დასაწყისში, ლექტორები შესაბამის გადამზადებას გადიან ელექტრონული კურსების შექმნის პრინციპებთან, კურსის სათანადოდ ჩატარებასთან, მონაწილეთა პროგრესისა და მთლიანად სასწავლო პროცესის მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. უნივერსიტეტი ტექნიკურად უზრუნველყოფს სტუდენტებისა და ლექტორების, როგორც სინქრონული,ასევე ასინქრონული ინტერაქციის საშუალებას - 2015 წლიდან უნივერსიტეტი ეყრდნობა „Moodle"-ის პლატფორმას (Moodle platform - Modular Object-Oriented Dynamic Learning Environment). „Moodle" არის საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემა დისტანციური სწავლების პროცესის სამართავად. მას აქვს მარტივი და ეფექტური ინტერფეისი ინტერნეტ ბრაუზერებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს კურსის სასწავლო მასალებზე მარტივ წვდომას და გამოყენებას. მომხმარებელს შეუძლია დამატებითი პროგრამების ჩამოტვირთვის გარეშე ისარგებლოს სისტემის/პლატფორმის ყველა ფუნქციით. პროგრამა აღჭურვილია მოდულებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამშრომლობას სტუდენტებსა და ლექტორებს შორის სინქრონული და სინქრონული დონეების გამოყენებით.

3. სასწავლო და სალექციო მასალების ელექტრონული ფორმატით მიწოდება - „Moodle" პლატფორმაზე სრულად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ავტორიზებული სასწავლო მასალა, ანუ კურსში მონაწილე სტუდენტებისათვის სრული სასწავლო მასალაზე წვდომა თავისუფალია

4. სტუდენტებს აქვთ პირისპირ სწავლების შესაძლებლობა - უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონული სწავლების პლათფორმას, როგორც ტრადიციული სწავლების გამდიდრების დამატებით საშუალებას. ვინაიდან ლექციების 60% უშუალოდ უნივესრიტეტში მიმდინარეობს. ამასთან, კონსულტაციების და გამოცდების უმეტესობა, სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის პირადი კომუნიკაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის შენობაში იმართება.

5. სტუდენტების აკადემიური წინსვლის პროცესის მუდმივი მონიტორინგი, ცოდნის და უნარების გამოვლენა, სემესტრული და წლიური გამოცდების ჩათვლით - „Moodle"-ის პლატფორმის გამოყენებით, პედაგოგებს შეუძლიათ თვალი ადევნონ სტუდენტების განვითარებას და ტესტებით შეამოწმონ მათ მიერ ათვისებული/მასალა ან ცოდნის დონე. ლექტორები აკონტროლებენ სტუდენტების ციდნის დონეს მრავლ პასუხიანი ტესტების მეშვეობით. პედაგოგებს შეუძლიათ შეაფასონ სტუდენტის მუშაობა, მისი პლატფორმასთან თანამშრომლობის სტატსისტიკით. ლექტორებს ასევე შეუძლიათ შეზღუდონ სასწავლო მასალაზე წვდომის დრო ან შეზღუდონ სპეციფიური გვერდის დათვალიერების რაოდენობა. ამასთან, ყველა საბოლოო გამოცდა უშუალოდ უნივესრსიტეტის შენობაში ტარდება.

6. პედაგოგების აქტიურობის მონიტორინგი - უნივერსიტეტი ამოწმებს მოცემული სასწავლო კურსის პროგრამული მოთხოვნებისა და შესაბამისი აქტიურობის შესაბამისობას. პროგრამული მასალის დიდაქტიკური ბაზა ფასდება (ე.წ. სილაბუსის ადაპტაცია მოთხოვნებთან, მიზნებსა და სასწავლო მეთოდებთან. ასევე, სასწავლო მასალების შინაარსის კონტროლი). სწავლების მიზნების და სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგები ექვემდებარება ზედმიწევნით კონტროლს, უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გაერთიანებული სამეფოს მაგალითი

დიდი ბრიტანეთის განათლების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ კვლევაში (2018) ხაზგასმულია, რომ დისტანციური სწავლების გამოყენება წარმატებით არის დამკვიდრებული ამ ქვეყანაში. შერეული სწავლების მეთოდი დაახლოებით 50 წლის განმავლობაში გამოიყენება. თავდაპირველად, კომუნიკაცია ფოსტის მეშვეობით ხორციელდებოდა. 1980-იანი წლების ტექნოლოგიური მიღწევების შემდეგ კი, კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმებზე გადავიდა. 2000-იანი წლებში ინტერნეტის შემოსვლამ ელექტრონული სწავლის ხელმისაწვდომობა დიდ ბრიტანეთში მკვეთრად გაზარდა. 2010-იან წლებში აღინიშნა ე.წ. მასობრივი ღია ონლაინ სწავლებების კურსების (MOOC) პლატფორმების გამოყენების სწრაფი გავრდელება, ხოლო შემდგომმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის მსვლელობისას ონლაინ ვიდეოს, ინტერაქტიული გრაფიკისა და იმიტაციური მოდელირების გამოყენებას.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკამ აღნიშნულ ტექნოლოგიურ ტენდენციებზე შედარებით სწრაფად მოახდინა რეაგირება. 1989 წელს მთავრობამ დაარსა საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ეროვნული საბჭო, რომელიც მხარს უჭერს სკოლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებას. ამასთან, 1993 წელს მთავრობამ შექმნა ინფორმაციული სისტემების გაერთიანებული კომიტეტი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მხარდაჭერის მიზნით. ამასთან, 2000-იან წლებში მიღებულ იქნა მთელი რიგი სტრატეგიული და პოლიტიკური დოკუმენტები უმაღლესი განათლების სფეროში დისტანციური სწავლების შემდგომი მხარდაჭერის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების რეგულაციები უფრო ლიბერალური და დეცენტრალიზებულია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არიან ავტონომიური, დამოუკიდებელი ორგანიზაციები. მათ აქვთ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და იურიდიული უფლებამოსილებები, როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ სფეროებში. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ აქვთ შეზღუდვები ელექტრონული სწავლების მიწოდებასთან დაკავშირებით, რაც განაპირობებს მათ მოქნილობას, თავად განსაზღვრონ სასურველი მიდგომა რომელსაც შემდგომ განახორციელებენ.

დიდი ბრიტანეთის განათლების დეპარტამენტის კვლევის თანახმად (2018), მრავალ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას უკვე აქვს შემუშავებული ელექტრონული სწავლების პროგრამები. იმის გამო, რომ ბევრ დაწესებულებაში ელექტრონული სწავლების პლატფორმების გამოყენება უკვე უახლოვდება მათი შესაძლებლობების ზღვარს, ისინი ელექტრონული სწავლების გაფართოვებას მნიშვნელოვან პრიორიტეტად არ განიხილავენ. ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულება აცხადებს, რომ დაინტერესებულია ელექტრონული სწავლების პლატფორმების გაფართოებით, რათა უფრო ვრცელი გეოგრაფიული არეალი მოიცვას.

ტექსტური ნაწილი 2: დიდ ბრიტანეთში ელექტრონული სწავლების მიმოხილვა

გაერთიანებული სამეფოს განათლების დეპარტამენტის კვლევის თანახმად (2018), 215 დაწესებულება ახორციელებს ონლაინ ან შერეული სწავლების მომსახურების მიწოდებას. ამ რაოდენობიდან დაახლოებით 60%-ს წარმოადგენენ კერძო დაწესებულებები, ხოლო მნიშვნელოვნად ნაკლებად არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობა ელექტრონული სწავლების კურსებისათვის იყენებს„MOOC“ პლატფორმას.

ინგლისის 24 უნივერსიტეტი ელექტრონული სასწავლო კურსებისათვის იყენებს „Future Learn“ პლატფორმას, ხოლო რამოდენიმე ბრიტანული უნივერსიტეტი აშშ-სა და ევროპაში დაფუძნებულ „MOOC“ პლატფორმებთან თანამშრომლობს, რომლებიც დაფუძნებული და გავრცელებულია აშშ-სა და ევროპაში. მაგალითად ლონდონის იმპერიალ კოლეჯი (London Imperial College) და ოქსფორდის უნივერსიტეტი (Oxford University) იყენებენ „EdX“-პლატფორმას, ხოლო იმპერიალი კოლეჯი (Imperial College), ლიდსის უნივერსიტეტი (Leeds University) და მანჩესტერის უნივერსიტეტი (Manchester University) არიან ონლან სწავლების პლატფორმა Coursera-ს წევრები.

საგანმანათლებლო დაწესებულებები ყველაზე ხშირად ელექტრონული სწავლების კურსებს შემდეგ დისციპლინებში იყენებენ:

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა; ბიზნესის ადმინისტრირება; მართვა და მენეჯმენტი; მათემატიკის საფუძვლები; ინგლისური ენა; საინჟინრო დარგები; საინფორმაციო ტექნოლოგიები.

შეთავაზებული კურსები, უმეტეს წილად, საკმაოდ ხანმოკლე ხანგძლივობის არიან 3-დან 16 კვირამდე, სადაც კვირის განმავლობაში სწავლის ხანგძლივობა 3-6 საათს შეადგენს.

ღია უნივერსიტეტი (Open University) არის უმსხვილესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დიდ ბრიტანეთში, რომელიც ახორციელებს ონლაინ სწავლების პროგრამებს. სტუდენტების რაოდენობის თვალსაზრისითაც, თითქმის 170 000 სტუდენტით, რომელთაგან 7 000 უცხოელია, ის ასევე არის უმსხვილესი უნივერსიტეტი ბრიტანეთში და ერთ – ერთი უდიდესი ევროპაში. იგი 1969 წელს გაიხსნა და მას არაერთხელ მიენიჭა ინგლისისა და აუელსის საუკეთესო უნივერსიტეტის წოდება (სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის კუთხით). ღია უნივერსიტეტის სისტემაში შედის 132 უნივერსიტეტი და კოლეჯი, რომელთაგან ყველაზე მეტად ცნობილია დიზაინის, ხელოვნების ისტორიის, ინგლისური ენის, დედამიწის და გარემოს დაცვითი მეცნიერებების, კომპიუტერული მეცნიერების, განვითარების კვლევების, სოციალური პოლიტიკის და სოციალური საქმიანობისა და სოციოლოგიის მიმართულებებით. მსოფლიო უნივერსიტეტის რეიტინგების ცენტრის 2018 წლის შეფასებით, იგი 36-ე ადგილზეა ბრიტანეთში და 498-ე ადგილზე მსოფლიოში.

გერმანიის მაგალითი

საერთაშორისო კვლევითი ჟურნალ „IDEAL"-ის (2015) მიერ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გერმანიის ყველა, 16 ფედერაციულ მიწას აქვს უფლებამოსილება თვითონ განსაზღვროს შესაბამისი სასწავლო სისტემა. ამის მიუხედავად, მათში მსგავსება უფრო მეტია ვიდრე განსხვავება. მაშასადამე, გერმანიის განათლების სისტემა არ არის ცენტრალიზებული: ყველა ფედერაციულ მიწას უფლება აქვს საკუთარ საზღვრებში, განათლების საკითხებზე თავად მიიღოს გადაწყვეტილებები. თითოეულ ფედერაციულ მიწას საკუთარი განათლების სამინისტრო აქვს. ასევე ადმინისტრაციული რეგულაციები, სწავლის ღირებულებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თაობაზე. ეროვნულ დონეზე ერთიანი პოლიტიკის შემუშავება კი ფედერაციაში შემავალი ერთეულების კოორდინაციით ხორციელდება. 16-დან 13 ფედერალურ მიწას, საკუთარ რეგულაციებში, შედარებით მოკლე ან ვრცელი, თუმცა მკაფიო განმარტება აქვს გაკეთებული დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით.

დისტანციური განათლების პროცესი ტრადიციულად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ხორციელდება და აკადემიური ხარისხის მინიჭებით სრულდება. დისტანციური სტუდენტების რაოდენობა 2000-იანი წლების დასაწყისიდან სტაბილურად იზრდება, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობს დისტანციური სწავლის მსურველთათვის უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფრო ხელსაყრელი/მარტივი რეგულაციები. „IDEAL"-ის (2015) განცხადებით, უნივერსიტეტების ამგვარი ძალისხმევა ძირითადად გამოწვეულია იმ მოტივაციით, რომ ელექტრონული სწავლება დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას უწყობს ხელს. სანამ გერმანიის უნივერსიტეტების უმრავლესობა ჯერ კიდევ ტრადიციულ განათლების სეგმენტზე არიან ფოკუსირებულნი, ზოგიერთმა მათგანმა უკვე შექმნა სპეციალური ცენტრები დისტანციური განათლების პროგრამებისთვის.

ტექსტური ნაწილი 3: ჰაგენის უნივერსიტეტის (University of Hagen) მაგალითი

ჰაგენის უნივერსიტეტი, რომელიც 1975 წელს დაარსდა ჩრდილოეთ რაინ - ვესტფალიაში მდებარეობს. ეს არის საზოგადოებრივი კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც, პირველ რიგში, დისტანციურ სწავლებაზეა ორიენტირებული. გერმანიის სტატისტიკის ფედერალური ოფისის თანახმად, იგი ქვეყნის უდიდესი უნივერსიტეტია - რადგან მან 2019/20 წლის ზამთრის სემესტრში 75 000-ზე მეტი სტუდენტი მიიზიდა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის თანახმად, მისი ხარისხის პროგრამები და უწყვეტი განათლების მიღების პირობები სტუდენტების უმრავლესობისათვის უმაღლესი განათლების მიღებას ხელმისაწვდომს ხდიან. უნივერსიტეტის ხუთი ფაკულტეტი ახორციელებს ფართო სპექტრის თეორიულ და გამოყენებით კვლევებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიის, მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერების, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების და სამართლის საგნების სფეროებში.

უნივერსიტეტის სწავლების კონცეფცია ემყარება შერეული სწავლების მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს როგორც ბეჭდურ, მულტიმედიურ და ონლაინ სასწავლო მასალებს, ასევე არჩევითი პერსონალური სემინარების და ღონისძიებების ჩატარებას. კურსის შინაარსი ხელმისაწვდომია მრავალი ფორმით. გარდა ბეჭდური და ონლაინ სასწავლო მასალებისა, სტუდენტები იყენებენ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ციფრულ მედიას, სარგებლობენ ჰაგენის უნივერსიტეტის სასწავლო პლატფორმა „Moodle"-ით. ისინი ესწრებიან სემინარებსა და პერსონალურ ღონისძიებებს ჰაგენის კამპუსში და სხვა ნებისმიერ რეგიონალურ და სასწავლო ცენტრში როგორც გერმანიაში ასევე საზღვარგარეთ. ჰაგენის ვირტუალური სტუდენტური გარემო საშუალებას აძლევს მათ, ონლაინ რეჟიმში, მარტივად მოაგვარონ ყველა ორგანიზაციული საკითხი.

სამხრეთ კორეის მაგალითი

სამხრეთ კორეა არის ქვეყანა, რომელიც ტრადიციულად, ტექნოლოგიების დახვეწასა და შექმნაზეა ორიენტირებული. მას აქვს ყველა პირობა ელექტრონული სწავლების მნიშვნელოვანი განვითარებისათვის. ეს არის მჭიდროდ დასახლებული და ურბანიზებული საზოგადოება მაღალ სიჩქარიან ინტერნეტზე წვდომით, განათლების მაღალი დონით და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაღალი მაჩვენებლით. დანიური სასწავლო ცენტრის „NUFFIC"- ის (2016) თანახმად, კორეის უდიდესი- ეროვნული ღია უნივერსიტეტი (The Korea National Open University) – 1970-იანი წლებიდან ტელევიზიის, რადიო (საგანმანათლებლო მაუწყებლობის სისტემა), კომპაქტ დისკებით, ინტერნეტის და ვიდეო-კასეტების საშუალებით ახორციელებს დისტანციურ სწავლებას.

კიბერ უნივერსიტეტები და ციფრული განათლების კოლეჯები, 1980-იან წლებში განხორციელებული რეფორმების შემდეგ უზრუნველყოფენ დისტანციურ განათლებას. მართალია, საწყის ეტაპზე, 5 კიბერ უნივერსიტეტი არსებობდა, 2009 წლიდან მათი რიცხვი გაიზარდა. ამის შემდეგ, ისინი, როგორც დისტანციური სწავლების უნივერსიტეტები, „უწყვეტი განათლების შესახებ" (Lifelong Education Act) კანონს აღარ ექვემდებარებიან. ამჟამად, მათი საქმიანობა განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის (Higher Education Act) პირობებით, როგორც დისტანციური სწავლების უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებები. ისინი სთავაზობენ 2-3 წლიან საშუალო განათლების (junior college programs) და საბაკალავრო პროგრამებს შესაბამისი ხარისხით.

თურქეთის მაგალითი

ახალგაზრდა მოსახლეობის გამო - თურქეთის მოსახლეობის საშუალო ასაკი 32 წელია, ხოლო გერმანიის - 46, ბრიტანეთის - 40 და აშშ-ის - 38, თურქეთში უმაღლეს განათლების პროგრამებში ჩარიცხულ სტუდენტთა ხვედრითი წილიც შედარებით მაღალია. 2018 წლის მდგომარეობით, თურქეთში თითქმის 7.5 მლნ სტუდენტია, რაც მთლიანი მოსახლეობის თითქმის 10%-ს შეესაბამება და ეს მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირის 27 ქვეყნის საშუალო 4%-ს.

არსებული დემოგრაფიული ვითარება საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, „ნაყოფიერ ნიადაგს" წარმოადგენს თურქეთში ელექტრონული სწავლების უმაღლესი განათლების სექტორის ზრდისთვის. როგორც ბოზქურთი (Bozkurt 2019) აცხადებს, თურქეთში განსაზღვრულია რეგულაციები დისტანციური სწავლებისთვის, ესენია - თავისუფალი დასწრების სისტემა, სადაც ჩარიცხვისთვის მინიმალური მოთხოვნებია დაწესებული და სწავლის მოქნილი შესაძლებლობებია და დისტანციური სწავლების სისტემა, რომელიც გვთავაზობს ნაწილობრივ მოქნილ სისტემას. დისტანციური მეთოდის თანახმად, სტუდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ წინასწარ განსაზღვრული ჩარიცხვის მოთხოვნებს და სწავლის საფასურის გადახდის პირობით, ესწრებიან ონლაინ კურსებს, რომლებიც ონლაინ სივრცეში, ონლაინ მასალების გამოყენებით ტარდება. მეტიც, ღია დასწრების სისტემით, განათლების მიღება ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ ორმხრივი რეჟიმით მომუშავე სახელმწიფო- ანადოლუს, ათათურქის და სტამბულის (Anadolu, Atatürk. Istanbul Universities) უნივერსიტეტები; იხ. ცხრილი 3), ხოლო დისტანციური სწავლება შესაძლებელია კერძო ან სახელმწიფო უნივერსიტეტებში. უნივერსიტეტების მიერ ღია დასწრებით სწავლა მხოლოდ პირველი 2 წლის შესაბამისი და ბაკალავრის ხარისხის მიღებას ითვალისწინებს, ძალიან შეზღუდულია სამაგისტრო და დაუშვებელია სადოქტორო პროგრამები (იხ. დიაგრამა 5.).

რეალურადაც, ბოზქურთი (Bozkurt 2019) აჩვენებს, რომ სტუდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა - 7,5 მლნ-დან 3,5 მლნ, რაც თითქმის 50%-ს შეადგენს, ჩართულია საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა დუალურ და ღია სწავლებებში.

ონლაინ განათლების 90% ხორციელდება ანადოლუს უნივერსიტეტის მეშვეობით, სადაც, თურქეთის ონლაინ განათლების მაძიებელთა 90% ჩარიცხული. ამ უნივერსიტეტში სტუდენტებს საშუალება აქვთ ა) ჩაირიცხონ სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემაში მიღებული მინიმალური ქულით. ბოზგურთი (Bozkurt 2019) მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი რაოდენობა ირიცხება სახელმწიფო

დიაგრამა 5. ჩარიცხვები თურქეთის უმაღლესი განათლების სისტემაში 2008 წ. (მწვანეა - დისტანციური განათლების სწავლება, ,ყვითელი ყველა სხვა)



წყარო: ბოზქურთი(2019)

საგამოცდო სისტემის მეშვეობით. ბ) გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ჩაირიცხონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად; გ) გადმოვიდნენ მომიჯნავე ფაკულტეტიდან; დ) მიიღონ მეორადი განათლება. ანადოლუს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 17 ფაკულტეტი (ბაკალავრიატი), აქედან სამში ღია დისტანციური სწავლება იმართება, სამში გამოიყენება აკადემიური სწავლება, ოთხში იმართება პროფესიულ-ტექნიკური კურსები, ცხრა უმაღლესის განათლების ფაკულტეტია (ხუთი მათგანი სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხის) და აქვს 30 კვლევითი ცენტრი. ბოზქურთის (Bozkurt 2019) ცნობით, უნივერსიტეტში დასაქმებულია 2,539 აკადემიური და 1,692 ადმინისტრაციული მუშაკი. სტუდენტების რაოდენობა 3,211,489 აღწევს, 39.577 კამპუსში და 3,170,622 დაუსწრებელი, დისტანციური სწავლების პროგრამებით. 1982 წლიდან, ანადოლუს უნივერსიტეტის ღია კურსდამთავრებული სტუდენტების საერთო რაოდენობა დაახლოებით 2.8 მილიონია.

დასკვნა

• მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების მიხედვით, უმაღლესი განათლების დაუფლების მსურველთა რიცხვი აღემატება განათლების არსებულ შესაძლებლობებს: აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გამოსავალია უმაღლეს სასწავლებლებში დისტანციური სწავლების სისტემის დანერგვა.

• დისტანციური განათლება ტრადიციული განათლების ყველა ფორმის ორგანიზაციული, მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფის სახეცვლილებაა, რომელიც ჩამოყალიბდა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დინამიური განვითარების შედეგად

• სტუდენტის აღჭურვა თანამედროვე ციფრული წიგნიერებით ქართული უმაღლესი განათლების სისტემის პოლიტიკის ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია და მის სამართლებრივ რეგულაციებშიც, თუმცა ჯერჯერობით არასრულყოფილად, აისახება (საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს უმაღლესი განათლების კანონი), აქედან გამომდინარე, დისტანციური განათლების საუნივერსიტეტო პოლიტიკად ქცევა და მისი პრაქტიკული განხორციელება საქართველოს უნივერსიტეტებისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს;

• დისტანციური განათლება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, თუმცა ამ სისტემამ სრულად არ უნდა ჩაანაცვლოს ტრადიციული სწავლების სისტემა. სწავლების ეფექტიანობა გაიზრდება თუ დისტანციური განათლება იქნება დამატებითი საშუალება. აღნიშნული პრინციპის დაცვის შედეგად ნებისმიერს შეეძლება ისწავლოს მისი სურვილის, დროის და შესაძლებლობის არსებობის მიხედვით. დისტანციური სწავლების საფუძველი უნდა იყოს ტრადიციული სწავლების აპრობირებული და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დახვეწილი ვერსია;

• დისტანციურ სწავლებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტერნეტი და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის თანაბარზომიერება (რაც საქართველოში ჯერჯერობით გარკვეულად პრობლემას წარმოადგენს) როდესაც სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს ექნებათ წვდომა სხვადასხვა რესურსებთან როგორებიცაა ელექტრონული ფოსტა, ვიდეოები, ფოტოები, საინფორმაციო დაფა, სხვადასხვა პროგრამული აპლიკაციები და სხვა საშუალებები.

• დისტანციური განათლების დანერგვა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან მოსახლეობა (და მათ შორის სტუდენტები) ხასიათდება ცვლილებებთან და სიახლეებთან ადაპტაციის სხვადასხვა უნარით;

• დისტანციური განათლების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჯგუფი პერიფერიები და რეგიონებია, სადაც ნაკლებია წვდომა ხარისხიან განათლებაზე და შედარებით ნაკლებია ძლიერი ტრენინგ ცენტრები და საქართველოს უნივერსიტეტებში განათლების მიღების მსურველი უცხოელი სტუდენტები;

• დისტანციური განათლების სისტემიდან მიღე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ბული დანაზოგი ძირითადად მიიღება განათლების ფიზიკურად არსებულ ქალაქში არსებულ საცხოვრებლის ხარჯების, სასწავლო მასალების ღირებულების, სატრანსპორტო, სასწავლო აუდიტორიების განათების, კონდიცირების, დასუფთავების, გათბობის და საიჯარო ხარჯების შემცირებით;

• დისტანციური განათლების უპირატესობა და ეფექტი Face-t–Face განათლებასთან შედარებით ვლინდება 1 სტუდენტზე მოსული საოპერაციო ხარჯების შემცირებით სტუდენტების რეგისტრაციის რაოდენობის ზრდის შედეგად

• დისტანციური განათლების სისტემის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს სტუდენტების და პროფესორ მასწავლებლების სატრანსპორტო ხარჯების დაზოგვა დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის შედეგად, რომელიც მიიღება მგზავრობის დროის (ღირებულებაში გამოხატული) დანაკარგების შემცირებიდან უნივერსიტეტში მგზავრობის დანახარჯის დაზოგვიდან;

• სტუდენტის საერთო დანაზოგი დისტანციური განათლების სისტემის დანერგვის შედეგად მიიღება მგზავრობის, საცხოვრებლის, და სასწავლო მასალებზე დანახარჯების დაზოგვის შედეგად;

• სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი უნივერსიტეტების სახელმწიფო სარგებელი დისტანციური განათლების სისტემის დანერგვის შედეგად წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაფინანსების ჯამურ ეფექტს, რომელიც გამოიხატება უნივერსიტეტების მიერ დისტანციური სწავლებიდან და გამოთავისუფლებული ინფრასტრუქტურის საშუალებით ტრადიციული განათლების მსურველებიდან დამატებით მოზიდული სტუდენტების სწავლის საფასურიდან მიღებულ საერთო შემოსავალში;

• განათლების სამინისტროს მიერ სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად უნდა მოხდეს წახალისება და მომავალში დასაქმებაში ხელშეწყობა სტუდენტებისათვის დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი ონლაინ კურსების გავლის (სერტიფიკატის აღების) შემთხვევაში ონ-ლაინ შეფასების სისტემის შემოღება და იმპლემენტაცია უნდა მოხდეს საზღვარგარეთის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით;

• უნდა განისაზღვროს წესი, რომელიც დაადგენს ლიმიტებს ონ-ლაინ სწავლების მსურველების რაოდენობაზე, იმისათვის რომ სწორად იქნეს გამოყენებული ინტერნეტის ქსელის შესაძლებლობები და არ მოხდეს ქსელის გადატვირთა და სასწავლო პროცესის შეფერხება და განხორციელდეს ტრადიციული (Face2face) სწავლების შენარჩუნება;

• დიდი უნივერსიტეტების სასწავლო პროცესში, რომლებსაც სტუდენტების დიდი რაოდენობის მოზიდვის ტექნიკური ბაზიდან და ცნობადობიდან გამომდინარე სწავლების ფორმების გამოყენების უფრო მეტი დივერსიფიცირების შესაძლებლობა აქვს, აუცილებლად უნდა იქნეს შენარჩუნებული ჰიბრიდული სწავლების პროცესი (ონ-ლაინ და ტრადიციულის შერეული);

• დისტანციური განათლების პოტენციური სარგებლის მიღების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს პოტენციური დამსაქმებელი კომპანიის მიერ მომავალში დასაქმებული სტუდენტისათვის სპეციალურად, დამსაქმებელი კომპანიების საჭიროებებზე მორგებული განათლების პროცესში (უნივერსიტეტში სპეციალურად ორგანიზებული ტრენინგი, სემინარი) ონ-ლაინ ფორმით ერთობლივი (სტუდენტი, ტრენერი, დამსაქმებელი კომპანიის წარმომადგენელი) მონაწილეობისათვის, სტუდენტის და დაინტერესებული პოტენციური დამსაქმებლის მიერ გადახდილი საფასურიდან მიღებული შემოსავლები;

• მიზანშეწონილია პერსპექტივაში ცნობილი უცხოური უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული საუკეთესო და საქართველოს დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი კურსების ნაკრების ონლაინ პლატფორმის(ჰაბის) შექმნა, რაც შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში n-campus (ფიზიკურ დასწრებით) სწავლის მიმართულებით მოზიდული ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის დამატებით აღნიშნული მოთხოვნადი ონლაინ კურსების შეთავაზებით უცხოურ უნივერსიტეტებში სწავლის არსებულზე დაბალ ფასად, უცხოურ უნივერსიტეტებთან ურთიერთ დაინტერესებით დადებული ხელშეკრულებით სასწავლო კურსების დისკონტირებულ (შემცირებულ) ფასზე შეთანხმების წინასწარ მიღწევით;

• დისტანციური სწავლების მხარდაჭერისა და უსდ-ების მოტივაციისათვის, შესაძლებლად მიგვაჩნია ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენა სახელმწიფოს მხრიდან, თანადაფინანსების პრინციპით, როდესაც უნივერსიტეტების მხრიდან სწავლება/სწავლის ახალი ფორმების დანერგვა, განიხილება, როგორც აქტივობა მათი მხრიდან. მსგავსი ტიპის მხარდაჭერა ეფუძნება ე.წ. "perfrmance based" დაფინანსების მოდელს, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთში;

• აკადემიური პროგრამების ფარგლებში ისეთი კომპონენტების შეთავაზებამ, რომელთა განხორციელება შესაძლებელია დისტანციურად, სხვადასხვა სახის სიკეთის მომტანი იქნება უსდ-თვის, კერძოდ:

• გამოათავისუფლებს გარკვეულ რესურსებს (აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) და გამოიწვევს ეკონომიას ჩვეულებრივ პროგრამებთან შედარებით (ტექნიკური პერსონალის ხელფასში, კო-

მუნალური და სხვა სახის სერვისების ანაზღაურებაში და ა.შ.), რაც შესაძლებლობას მისცემს უნივერსიტეტებს, ეს უკანასკნელნი გამოიყენოს სხვადასხვა ინოვაციური მიმართულებით დამატებითი სერვისების შექმნისათვის, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირების გაღრმავებისათვის, დამატებითი შემოსავლის მისაღებად და ა.შ;

• ონ-ლაინ პროდუქტების (ტრენინგ-მოდულები, აკადემიური პროგრამები და მათი კომპონენტები (ძირითადი (majr) თუ დამატებითი (minr) პროგრამები) შექმნით, უსდ-ები შესძლებენ მიზნობრივი ბაზრის გაფართოებას, როგორც გეოგრაფიული ნიშნით, ისე საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით, რაც მათთვის დამატებითი შემოსავლების გენერირების პირობა გახდება;

• ონ-ლაინ სწავლების მასშტაბების ზრდა მსოფლიოში, ასევე, შეიძლება საინტერესო იყოს საქართველოს უნივერსიტეტებისათვის. ისინი შეიძლება გახდნენ (დაინტერესების შემთხვევაში) ამერიკული თუ ევროპული უნივერსიტეტების ონ-ლაინ პროდუქტების: ერთი მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირების ცენტრები და მეორე მხრივ, საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებში მათი გადატანის და გავრცელების ჰაბები. ამ შემთხვევაში, მათი მხრიდან, ფაქტობრივად, არანაირი რესურსის ხარჯვა არ იქნება საჭირო, ხოლო შემოსავალი, საკმაოდ შესამჩნევი მოცულობის შეიძლება აღმოჩნდეს;

• თუ გავითვალისწინებთ საქართველოში სწავლით დაინტერესების მზარდ მაჩვენებელს, და ამას დაემატება ქვეყანაში ჯერჯერობით უსაფრთხო სიტუაცია CVID 19 ეპიდემიის გავრცელების მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში მიაღწევს დაახლოებით15,0-17,0 ათასს.

• ელექტრონული/დისტანციური სწავლების პოპულარობა საერთაშორისო მასშტაბით დღითიდღე მატულობს და სულ უფრო მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს დაინტერესებულ პირებს სწავლების ამ ფორმით ორგანიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. საქართველოში დისტანციური სწავლების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მთელი რიგი ნაბიჯებია გადასადგამი, რომელიც დაკავშირებულია ცვლილებებთან იმ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, რომელიც აწესრიგებს უმაღლესი განათლების სისტემას:

• მნიშვნელოვანია ცვლილებების განხორციელება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში, რათა ელექტრონული სწავლების კანონით განსაზღვრულ დეფინიციაში მოიხსნას დათქმა, რომელიც დაკავშირებულია სწავლების ამ ფორმით განხორციელების ტერიტორიულ შეზღუდვასთან. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სწავლების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მყოფი სტუდენტებისთვის. ზემოაღნიშნული შეზღუდვის მოხსნის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე თანაბარი მიდგომის დამკვიდრების მიზნით, ელექტრონული სწავლების დანერგვა დასაშვები გახდეს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზეც. ამასთან, მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ელექტრონული სწავლების ფორმით ორგანიზებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ნაწილში, კერძოდ, მოიხსნას შეზღუდვა რომელიც ითვალისწინებს ასეთი პროგრამების საქართველოს ტერიტორიაზე აკრედიტაციის პირობას.

• ინტერნაციონალიზაციის, სტუდენტების საერთაშორისო მობილობისა და საერთაშორისო პარტნიორობების გაღრმავების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს და დაინერგოს დისტანციურად მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მექანიზმები. შესაბამისად, მიზანშეწონილია ცვლილების განხორციელება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესში“.

• ელექტრონული/დისტანციური ფორმით განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავებულ იქნას აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორების/მტკიცებულებების ადაპტირება. ამასთან, მიზანშეწონილია მომზადდეს სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს უსდ-ებს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში უკეთ გაიაზრონ ელექტრონული/დისტანციური ფორმით ორგანიზებული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის გადამზადება ელექტრონული/დისტანციური სწავლების ფორმით ორგანიზებული პროგრამების შემოწმების თავისებურებების გათვალისწინებით.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

REFERENCES:

1. Abaidoo N, Arkorful V, (2014), "The role of e-learning, the advantages and disadvantages of its adoption in Higher Education", International journal of education and research, vol. 2, No. 12, pp. 397-410;

2. Abbad, M. M., Morris, D., & de Nahlik, C, 2009, "Looking under the Bonnet: Factors Affecting Student Adoption of E-Learning Systems in Jordan", The International Review of Research in Open and Distance Learning;

3. Alsalem A, 2004, Educational Technology and E-learning, Riyadh

4. Barro R, 1997, Determinants of economic growth: a cross country empirical study, MIT press, Cambridge (USA);

5. Bassanini A, Scarpetta S, Hemmings P, 2001, "Economic growth: the role of policies and institutions. Panel data evidence from OECD countries", OECD Economics Department Working Papers, No. 283;

6. Bozkurt A, 2019, "From Distance Education to Open and Distance Learning: A Holistic Evaluation of History, Definitions, and Theories", Handbook of Research on Learning in the Age of Transhumanism, pp. 252-273;

7. Brown D, Cromby J, Standen P, 2001, "The effective use of virtual environments in the education and rehabilitation of students with intellectual disabilities", British Journal of Educational Technology, 32(3), pp. 289-299;

8. Dublin L, 2003, "If you only look under the street lamps……Or nine e-Learning Myths", The e-Learning developers journal;

9. European Commission, 2001, The eLearning Action Plan: Designing tomorrow's education, http://www.elearningeuropa.info;

10. European university association, 2013, Annual report 2013, Brussels;

11. Gemmel N, 1996, "Evaluating the impacts of human capital stocks and accumulation on economic growth: some new evidence", Oxford bulleting of economics and statistics, vol. 58, pp. 9-28;;

12. Gorska D, 2016, "E-learning in higher education", The person and the challenges, vol.6, p. 35-43

13. Guiney P, 2015, E-learning in the workplace – an annotated bibliography, Auckland (New Zealand);

14. IDEAL, 2015, Distance education in European higher education: Germany case study, Oslo (Norway);;

15. JuhadiI N, Samah A, Sarah H, 2007, "Use of Technology, Job Characteristics and work outcomes: A case of Unitary Instructors", International Review of business Research papers, 3(2), vol. 184-203

16. Khan B, 2005, Managing E-learning: Design, Delivery, Implementation and Evaluation, Hershey (USA);

17. Kirkpatrick D, 2005, Accreditation and assuring quality in open and distance learning, Vancouver;

18. Maltz, L., Deblois, P. & The EDUCAUSE Current Issues Committee, 2005, "Top Ten IT Issues", EDUCAUSE Review, 40 (1), pp. 15-28;

19. NUFFIC, 2015, Education system in South Korea, The Hague;

20. OBHE, 2007, Online learning in Universities: Selected data from the 2006 Observatory survey, London;

21. OECD, 2005, E-learning in tertiary education, Paris;

22. Sadler-Smith E, 2000, "Modern learning methods: rhetoric and reality", Personnel Review, 29(4), pp. 474-490;

23. UK Department for education, 2018, Review of the online learning and artificial intelligence education market, London;

24. Valero A, Van Reenen J, 2019, "The economic impact of universities: Evidence from across the globe", Economics of Education Review, vol. 68(C), pp. 53-67;

25. Wagner N, Hassanein K, Head M, 2008, "Who is responsible for E-learning in Higher Education? A Stakeholders' Analysis", Educational Technology & Society, 11 (3), 26-36;

26. Zhang D, Zhou L, Briggs R. & Nunamaker J, 2006, "Instructional video in e-learning: Assessing the impact of interactive video on learning effectiveness", Information & Management, 43 (1), pp. 15-27;

27. Law of Georgia on General Education, 2005, Legislative Herald of Georgia.

28. Veshapidze, S., (2020). Religion and national values in Georgia. International Scientific Collection, Volume 3, pp. 33-36.

29. Veshapidze, S., Mchedlishvili, Z., (2020). From Ilia Chavchavadze's Economic Views: Competition, Private Property and International Trade. Ecoforum Journal 9 (2).

30. Veshapidze, S., (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. Sciences of Europe. VOL 4, No 13 (13)

31. Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., Pailodze, N., (2013). Realities of internationalization of higher education in Georgia. PRADEC Conference. Internationalisation in Higher Education: Evaluating concepts, challenges and strategies, 25-26 April, 2013 Proceedings Volume 2 | Issue 1 | August 2013 |pp.95-98]

დანართი 1: აშშ-ში ჩარიცხულ სტუდენთთა საერთო რაოდენობები დაწესებულებების მიხედვით

				2018	2017		2015	
დაესებულება	ჩარიცხული სტუდენტები 2018	სრულ დისტანციურ სწავლებაზე ჩარიცხულები 2018	არასრულად დისტანციურზე ჩარიცხულები	სულ დისტანციურ სწავლებაზე ჩარიცხულები	სულ დისტანციურ სწავლებაზე ჩარიცხულები	% ზრდა 2017-2018	სულ დისტანციურ სწავლებაზე ჩარიცხულები	% ზრდა 2015-2018
დასავლეთის გუბერნატორთა უნივერსიტეტი	121,437	121,437		121,437	98,627	23.1%	70,504	72.2%
სამხრეთ ნიუ ჰემფშირის უნივერსიტეტი	104,068	96,912	500	97,412	84,550	15.2%'	56,371	72.8%
ფენიწსის უნივერსიტეტი არიზონა	95,777	94,472	342	94,814	102,495	-7.5%	162,003	-41.5%
გრანდ კანიონის უნივერსიტეტი	90,253	70,295	10,704	80,999	75,154	7.8%	54,543	48.5%
თავისუფლების უნივერსიტეტი	79,152	64,006	7,106	71,112	67,312	5.6%	72,519	-1.9%
მერილენდის უნივერსიტეტის კოლეჯი	60,603	48,432	5,996	54,428	53,080		48,677	11.8%
ვალდენის უნივერსიტეტი	50,360	50,360		50,360	49,680	1.4%	52,799	-4.6%
ამერიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემა	46,088	46,088		46,088	46,420	-0.7%	52,361	-12.0%
ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტი	68,475	10,269	29,001	39,270	38,073	3.1%	33,034	18.9%
ივი ტექნიკური საზოგადოების კოლეჯი	72,006	15,010	23,627	38,637	36,640	5.5%'	34,103	13.3%
ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტი	57,942	11,785	25,978	37,763	34,281	10.2%	26,341	43.4%
არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტი-სკაიშონგი	38,540	37,000	3051	37,305	30,422	22.6%	19,094	95.4%
კაპელას უნივერსიტეტი	37,171	37,171		37,171	36,284	2.4%	34,365	8.2%
აშფორდის უნივერსიტეტი	34,710i	34,705	5	34,710	36,452	-4.8%'	42,046	-17.4%
ბრიგამის ახალგაზრდა უნივერსიტეტი-აიდაჰო	42,341	21,053	11,395	32,448	42,057	-22.8%	33,551	-3.3%
პურდუს ინივერსიტეტი დევენპორტი Global-Davenport	30,512	30,512	0	30,512	33,287	-8.3%	45,268	-32.6%
ბრწყინვალე კოლეჯში	30,008	30,008		30,008	34,022	-11.8%	43,123	-30.4%
ლონ სტარ კოლეჯის სისტემა	73,499	11,524	17,317	28,841	29,340	-1.7%'	21,811	32.2%
ჩემბერლენის უნივერსიტეტი-ილინოისი	27,629	25,033	1,317	26,350	25,757	2.3%	22,114	19.2%
ფლორიდის უნივერსიტეტი	52,218	4,766	21,513	26,279	30,795	-14.7%	28,838	-8.9%
კოლორადოს ტექნიკური უნივერსიტეტი-კოლორადოს სპ	26,184	25,038	886	25,924	25,093	3.3%	900	2780.4%
არლინგტონის ტეხასის უნივერსიტეტი	47,899	18,425	6,439	24,864	23,362	6.4%'	17,541	41.7%
არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტი-ტემპე	51,585	268	23,569	23,837	23,723	0.5%	22,809	4.5%
უნივერსიტეტი სამხრეთ ფლორიდაში - მთავარი კამპუსი	43,846	5,468	18,317	23,785	22,876	4.0%	20,993	13.3%
ჰიუსტონის სათემო კოლეჯში	57,200	8,384	13,186	21,570	20,344	6.0%	19,111	12.9%
კოლუმბიის სამხრეთ უნივერსიტეტი	21,104	21,104		21,104	20,818	1.4%'	20,823	1.3%
კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი-ნორთრიჯი	40,212	1,304	19,451	20,755	20,127	3.1%	16,130	28.7%
ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-მთავარი კამპუსი	61,170	2,284	18,037	20,321	16,439	23.6%	11,747	73.0%
ვალენსიის კოლეჯში	46,521	7,987	12,318	20,305	18,746	8.3%	17,216	17.9%
სრული აფრების უნივერსიტეტი	20,170	14,554	5,168	19,722	18,212	8.3%'	19,939	-1.1%
ტეხასის ტექნიკური უნივერსიტეტი	38,209	3,513	15,508	19,021	17,369	9.5%	14,826	28.3%
ჰიუსტონის უნივერსიტეტი	46,324	1,646	16,613	18,259	16,558	10.3%	12,961	40.9%
ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტი	38,241	3,902	13,820	17,722	15,821	12.0%	12,517	41.6%
ილინოისის უნივერსიტეტი ურბანა-შამპანიაში	49,702	4,767	12,503	17,270	14,551	18.7%'	10,720	61.1%
ფლორიდას სახელმწიფო უნივერსიტეტი	41,005	2,738	14,515	17,253	16,355	5.5%	12,858	34.2%
არიზონას უნივერსიტეტი	44,097	4,242	12,701		15,443	9.7%	9,660	75.4%
პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი	29,183	10,068	6,814	16,882	16,409	2.9%	16,501	2.3%
უნივერსიტეტის უნივერსიტეტი - ცინსნატის მთავარი კამპუ	37,886	6,280	10,520	16,800	15,358	9.4%'	13,992	20.1%
დეპრის უნივერსიტეტი-ილინოისი	17,364	15,837	941	16,778	16,119	4.1%	20,458	-18.0%
სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	35,303	646	15,788	16,434	14,170	16.0%	9,634	70.6%
სამხრეთ ნევადის კოლეჯი	34,169	6,621	9,291	15,912	15,368	3.5%	14,906	6.7%
აიოვას უნივერსიტეტი	31,656	3,022	12,073	15,095	9,363	61.2%'	12,784	18.1%
კენტის სახელმწიფო უნივერსიტეტი კენტში	28,122	3,953	11,117	15,070	14,235	5.9%	13,754	9.6%
კენესავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	35,420'	3,899	11,083	14,982	14,204	5.5%	10,056	49.0%
ალაბამის უნივერსიტეტი	38,390	3,786	11,148	14,934	11,697	27.7%	9,658	54.6%
მინესოტას – თვს სითის უნივერსიტეტი	50,734	1,095	13,571	14,666	13,689	7.1%'	10,037	46.1%
ჩრდილოეთ კაროლინას სახელმწიფო უნივერსიტეტი რაღ	35,479	2,986	11,555	14,541	14,199	2.4%	12,321	18.0%
პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი - მსოფლიო კა	14,458	14,458		14,458	14,301	1.1%	12,242	18.1%
ტეხასის უნივერსიტეტი რიო გრანდე ველი	28,644	2,434	11,935	14,369	12,741	12.8%	9,914	44.9%
კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი-ფულერტონი	40,280	2,161	12,133	14,294	13,957	2.4%'	11,148	28.2%
იუტას სახელმწიფო უნივერსიტეტი	27,932	4,905	8,947	13,852	13,148	5.4%	13,360	3.7%
აღმოსავლეთის კარიბჭე საზოგადოების კოლეჯი	13,940	12,576	1,1251	13,701	6,781	102.0%	1,091	1155.8%

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ემბრი-რიდლის აერონავტიკური უნივერსიტეტი - მთელს	14,168	12,201	1,483	13,684	13,820	-1.0%	12,857	6.4%
ორეგონის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30,986	6,565	6,917	13,482	12,725	5.9%'	10,148	32.9%
პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი-მთავარი კამპ	46,810	89	13,255	13,344	16,064	-16.9%	14,355	-7.0%
ჩრდილოეთ არიზონას უნივერსიტეტი	31,066	6,304	7,024	13,328	13,094	1.8%	11,769	13.2%
კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი-საკრამენტო	31,902	578	12,655	13,233	11,659	13.5%	7,511	76.2%
ოჰაიოს უნივერსიტეტი-მთავარი კამპუსი	28,480	7,975	5,0301	13,005	12,909	0.7%'	10,828	20.1%
ფლორიდის ატლანტიკური უნივერსიტეტი	29,772	3,170	9,807	12,977	13,332	-2.7%	10,433	24.4%
აღმოსავლეთ კაროლინის უნივერსიტეტი	28,718	6,812	6,148	12,960	12,348	5.0%	12,011	7.9%
ფორტ ჰეისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15,523	11,012	1,864	12,876	12,264	5.0%	10,950	17.6%
რუტერსის უნივერსიტეტი-ნიუ ბრანსვიკი	50,254	2,501	10,368	12,869	14,072	-8.5%'	10,652	20.8%
ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი	37,316	2,164	10,589	12,753	10,199	25.0%	7,901	61.4%
ოსტინის ტეხასის უნივერსიტეტი	51,832	154	12,546	12,700	11,329	12.1%	7,021	80.9%
ნევადა-ლას-ვეგასის უნივერსიტეტი	30,457	1,492	11,188	12,680	12,520	1.3%	10,319	22.9%
იუტას ველის უნივერსიტეტი	39,931	3,097	9,476	12,573	11,219	12.1%'	9,557	31.6%
ალაბამის უნივერსიტეტი ბირმინგემში	21,923	5,603	6,935	12,538	11,409	9.9%	8,659	44.8%
კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-გლობალური	12,476	12,476		12,476	12,381	0.8%	9,838	26.8%
ძველი დომინიონის უნივერსიტეტი	24,176	6,011	6,385	12,396	11,705	5.9%	9,343	32.7%
ჩრდილოეთ ვირჯინიის საზოგადოების კოლეჯში	50,929	5,373	6,948	12,321	13,110	-6.0%'	13,421	-8.2%
ბროუარის კოლეჯი	40,784	5,162	7,000	12,162	11,328	7.4%	10,923	11.3%
თარან კანთრი კოლეჯი	51,100	5,824	6,036	11,860	11,921	-0.5%	10,377	14.3%
ნებრასკა-ლინკოლნის უნივერსიტეტი	25,820	1,649	10,178	11,827	10,896	8.5%	7,911	49.5%
ციუაია ქანთრი კოლეჯი	23,440	5,150	6,6291	11,779	11,617	1.4%'	12,266	-4.0%
აუსტინ ქანთრი კოლეჯი	40,799	4,760	6,988	11,748	11,222	4.7%	9,896	18.7%
ფლორიდის სახელმწიფო კოლეჯი ჯექსონვილში	23,413	1,734	9,902	11,636	14,595	-20.3%	11,611	0.2%
ინდიანას უნივერსიტეტი-პურდოს უნივერსიტეტი-ინდიან	29,579	2,233	9,387	11,620	11,185	3.9%	9,807	18.5%
კუმბერლანდიის უნივერსიტეტი	13,472	6,473	5,046	11,519	8,214	40.2%'	4,752	142.4%
მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50,351	2,196	9,273	11,469	12,002	-4.4%	9,901	15.8%
იუტას უნივერსიტეტი	33,023	1,476	9,847	11,323	10,720	5.6%	8,598	31.7%
სემ ჰიუსტონის სახელმწიფო უნივერსიტეტი	21,213	3,489	7,776	11,265	10,547	6.8%	9,278	21.4%
ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი	26,152	8,722	2,521	11,243	9,822	14.5%'	8,119	38.5%
პორტლენდს საზოგადოების კოლეჯში	27,046	5,064	6,070	11,134	11,019	1.0%	10,849	2.6%
ვაშინგტონის ცენტრალური უნივერსიტეტი	12,342	3,180	7,872	11,052	4,770	131.7%	3,816	189.6%
სან-ფრანცისკოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	29,778	418	10,593	11,011	10,264	7.3%	6,557	67.9%
თომას ედისონის სახელმწიფო უნივერსიტეტი	10,934	10,836	98	10,934	11,945	-8.5%'	13,093	-16.5%
ვილინგტონის უნივერსიტეტი	14,786	7,750	3,123	10,873	8,839	23.0%	12,745	-14.7%
კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტი-ლონგ ბიგი	37,466	443	10,391	10,834	9,591	13.0%	6,084	78.1%
ტეხასის სახელმწიფო უნივერსიტეტი	38,644	1,376	9,406	10,782	8,513	26.7%	5,798	86.0%
ცენტრალური პიემონტის საზოგადოებრივი კოლეჯი	18,824	4,1391	6,617	10,756	10,649	1.0%'	10,177	5.7%
სან-ხოსეს სახელმწიფო უნივერსიტეტი	35,400	2,633	8,114	10,747	10,125	6.1%	6,426	67.2%
სან ჯაკინტოს საზოგადოებრივი კოლეჯი	32,137	3,529	7,207	1,736	9,493	13.1%	7,961	34.9%
რიო სალადოს კოლეჯში	18,304	10,146	537	10,683	10,737	-0.5%	12,092	-11.7%
Wake ტექნიკური საზოგადოების კოლეჯი	21,872	5,474	5,077	10,551	10,158	3.9%'		22.1%
სადაბლეკის კოლეჯში	19,421	5,475	5,064	10,539	9,675	8.9%	8,514	23.8%
ნორთცენტრალ უნივერსიტეტი	10,535	10,535		10,535	10,788	-2.3%	11,029	-4.5%
ლამარის უნივერსიტეტი	14,783	7,109	3,409	10,518	9,501	10.7%	9,120	15.3%
სტრაიერის უნივერსიტეტი-გლობალური რეგიონი	10,498	10,389	36	10,425	8,789	18.6%'	6,885	51.4%
კალიფორნიის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტ	26,598	100	10,261	10,361	9,216	12.4%	6,298	64.5%.

წყარო: გაერთიანებული უმაღლესი განათლების მონაცემთა სისტემა, განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრი.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

INSTITUTIONAL EVOLUTION OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA

Shota Veshapidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Associate professor, Georgia
E-mail: Shota46@yahoo.com

Gia Zoidze
Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi State Maritime Academy, Invitee Lector,
Georgia. E-mail: giazoidze@yahoo.com

DOI suffix: 10.36962/NEC6102202133

ABSTRACT

Education policy is an important direction of Georgia's security policy, of which higher education is an integral part. Institutions occupy an important place in its development. Regulatory norms, institutions, values, cultural patterns, forms of ownership are recognized directions for establishing progress in the education system, its arrangement and institutionalization.

In conditions when there is no orderly, social protection-oriented system, as well as any clearly defined priorities, all forms of discrimination in the labor system in the education system are excluded by the Georgian legislation. In this field, sufficient experience has been accumulated in public and private higher education institutions of Georgia. This approach was developed by the adoption of the Organic Law of Georgia on the Labor Code of Georgia.

Georgia needs the development of institutions that will enable us to effectively realize the potential of the higher education system. It is also important to implement long-term education reform, which is openly supported by the World Bank.

***Keywords**: Institute, Institutionalization, Education Policy, Higher Education, European Standard Education System.*

საქართველოს უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ევოლუცია

შოთა ვეშაპიძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

გია ზოიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, მოწვეული ლექტორი, საქართველო

ანოტაცია

განათლების პოლიტიკა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის შემადგენელი ნაწილია უმაღლესი განათლება. მის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

უჭირავს ინსტიტუტებს. მარეგულირებელი სამართლის ნორმები, დაწესებულებები, ფასეულობები, კულტურული ნიმუშები, საკუთრების ფორმები, განათლების სისტემაში პროგრესის დამკვიდრების, მისი მოწყობის და ინსტიტუციონალიზაციის აღიარებული მიმართულებაა.

ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს მოწესრიგებული, სოციალურ დაცულობაზე ორიენტირებული სისტემა, ასევე, რაიმე ნათლად გამოკვეთილი პრიორიტეტები, საქართველოს კანონმდებლობით გამოირიცხა დისკრიმინაციის ყველა ფორმა განათლების სისტემაში შრომით ურთიერთობებში. საქართველოს სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ამ მიმართულებით საკმაო გამოცდილება დაგროვდა. ეს მიდგომა განავითარა საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მიღებამ.

ამასთან, საქართველოს სჭირდება ინსტიტუტების განვითარება, რაც მოგვცემს უმაღლესი განათლების სისტემის პოტენციალის ეფექტიან რეალიზებას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, განათლების გრძელვადიანი რეფორმის განხორციელება, რასაც ღიად უჭერს მხარს მსოფლიო ბანკიც.

საკვანძო სიტყვები: *ინსტიტუტი, ინსტიტუციონალიზაცია, განათლების პოლიტიკა, უმაღლესი განათლება, ევროპული სტანდარტის განათლებისა სისტემა.*

შესავალი

განათლების პოლიტიკა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის შემადგენელი ნაწილია უმაღლესი განათლება. მთავარია, რომ საქართველოში შეიქმნას ევროპული სტანდარტის განათლებისა სისტემა. მისი პრინციპები მე-19 საუკუნეში საფუძვლიანად დაამუშავეს ილია ჭავჭავაძემ და ნიკო ნიკოლაძემ. ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს განათლების სისტემის ჰარმონიზებას ევროპულ განათლებასთან, მეცნიერებასთან, მისი მმართველობის წესებთან, ინსტიტუტებთან და პრინციპებთან.

საქართველოს უმაღლესი განათლების განვითარებაში წამყვანი როლი უჭირავს ინსტიტუტების, ანუ მარეგულირებელი სამართლის ნორმების, დაწესებულებების, ფასეულობების, კულტურული ნიმუშების ერთობლიობას, საკუთრების ფორმებს. ინსტიტუტები სისტემაში პროგრესის დამკვიდრების, მისი მოწყობის, ინსტიტუციონალიზაციის და ინსტიტუციონალიზმის აღიარებული მიმართულებაა.

ძირითადი ტექსტი

საქართველო 2005 წლის მაისში ბოლონიის პროცესს შეუერთდა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებასა და ჰარმონიზაციას, ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას უმაღლესი განათლებისათვის. პროცესის მთავარი მიზანია, რომ ადამიანებმა და სახელმწიფოებმა მუდმივცვალებად და მზარდ ინტერნაციონალურ საზოგადოებაში განსაკუთრებით გააცნობიერონ უნივერსიტეტების როლი. აღნიშნული დოკუმენტის გაზიარების შედეგები აისახა საქართველოს უმაღლესი განათლების ახალ ინსტიტუტებში. შეიცვალა საკუთრების ინსტიტუტები, უნივერსიტეტები ავტონომიური დაწესებულებები, ხოლო უნივერსიტეტში სწავლება და კვლევა ურთიერთისაგან განუყოფელი გახდა, რომლებიც ავითარებენ კვლევებსა და ინოვაციებს და მუდმივად მიისწრაფვიან უნივერსალური ცოდნისაკენ. უზრუნველყოფილია კვლევასა და სწავლებაში მასწავლებლების და სტუდენტების თავისუფლება, დაცულია მათ მიერ ისეთი გარემოთი სარგებლობა, რომელშიც შესაძლებელია კულტურისა და ცოდნის შეძენა. უნივერსიტეტები ხელს უწყობენ სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობას. ამავდროულად, უნივერსიტეტები ეკვივალენტური სტატუსის, წოდებების, გამოცდებისა და სტიპენდიების მინიჭების ზოგად პოლიტიკას მიიჩნევენ მნიშვნელოვან ფაქტორად დღევანდელ პირობებში თავიანთი მისიის განსახორციელებლად.

- საქართველოში უმაღლესი განათლების მიზნებია ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღება,
- პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება,
- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. კერძოდ კი, გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (რაც სხვებთან ერთად არის მნიშ-

ვნელოვანი) უზრუნველყოფს:

- უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას,
- აკადემიურ თავისუფლებას,
- უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში,
- აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში,
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას,
- უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის, აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვა ნიშნით.

განათლების რეფორმირებულმა სისტემამ, ბაკალავრიატმა, მაგისტრატურამ და დოქტორანტურამ, უნივერსიტეტებში, სასწავლო უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში საქართველოს მოქალაქეებს უნდა მისცეს საშუალება, მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები და იყვნენ კონკურენტუნარიანნი საქართველოსა და მსოფლიოს შრომის ბაზრებზე. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი განათლების სისტემის დახვეწასა და განვითარებას. ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის გაზრდისა და ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთი წინაპირობაა. ასევე მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. თავდაპირველად უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ხისტი, საფრთხის შემცველი ჩანაწერი არსებობდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობის შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეული ყოფილიყო 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლდებოდა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

კანონის ზემოაღნიშნული ჩანაწერი ქმნიდა საფრთხეს, რომ 65 წელს მიღწეულ პერსონალს, რომელმაც მიიღო სათანადო ცოდნა და დააგროვა დიდი გამოცდილება, აღარ ექნებოდა შესაძლებლობა მიეღო კონკურსში მონაწილეობა და დაეკავებინა საკონკურსო აკადემიური თანამდებობა. აღნიშნულმა ნორმამ შემდეგში ევოლუცია განიცადა. ამჟამად კანონით გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.

ახლა უკვე როგორც წესი, აღნიშნული ასაკის პერსონალის კონკურსში დაშვების შესაძლებლობებს წყვეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო. ასეთი ცვლილება დროული და გამართლებული იყო. ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობდა მოწესრიგებული, სოციალურ დაცულობაზე ორიენტირებული სისტემა, ასევე, რაიმე ნათლად გამოკვეთილი პრიორიტეტები, ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი ასაკობრივი შეზღუდვა არაა დაწესებული ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, ევროკავშირის სხვა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ევროკავშირის ქვეყნებში თვითონ აკადემიური პერსონალი იღებს გადაწყვეტილებას საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ გავიდეს თუ არა პენსიაზე, სადაც თითქმის არანაკლებ თანხას მიიღებს, ვიდრე ის იღებდა ხელფასს აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის შედეგად. მთავარია რომ აკადემიური თანამდებობის დაკავება მოხდეს მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. საქართველოს სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ამ სფეროში საკმაო გამოცდილება დაგროვდა.

ეს მიდგომა განავითარა საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მიღებამ. ახალი ნორმის მიხედვით კოდექსმა დააკანონა, რომ შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. ძალზე მნიშვნელოვანია ასევე, რომ შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შო-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

რის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

უმაღლესი განათლების ხარისხი საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი ნორმებით რეგულირდება. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, მათ შორის, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში, რომელიც მოქმედებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად. საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან კავშირის საფუძველზე ყალიბდება ხარისხის კონტროლის გამჭვირვალობა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგია.

საქართველოდან უნივერსიტეტების სხვადასხვა მსოფლიო რეიტინგებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ხვდებიან. ერთერთი მნიშვნელოვანი მსოფლიო რეიტინგია QS World University Rankings, რომელიც უნივერსიტეტების რეიტინგის შედგენის მიზნით იყენებს შემდეგ ინდიკატორებს: აკადემიური რეპუტაცია, დამსაქმებელთა შორის რეპუტაცია, სტუდენტებისა და პერსონალის თანაფარდობა, პერსონალის ციტირების მაჩვენებელი, უცხოელი პერსონალი, უცხოელი სტუდენტები. შესაბამისად, რანჟირება ფარავს უნივერსიტეტის სწავლა-სწავლების, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის, უნივერსიტეტის რეპუტაციის შეფასებას.

QS World University Rankings - ის 2021 წლის მსოფლიოს უნივერსიტეტების საუკეთესო ათასეულში თსუ 601-650 პოზიციაზე იყო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი QS World University Rankings - ის 2022 წლის რანჟირებაში 30 ადგილით დაწინაურდა და 571-580-ეპოზიციას იკავებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ ერთადერთი უნივერსიტეტია სამხრეთ კავკასიიდან, რომელიც უკვე მეორე წელია წარმოდგენილია QS World University Rankings - ის რანჟირებაში. QS World University Rankings მსოფლიო უნივერსიტეტების 2022 წლის რანჟირებას სათავეში მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (MIT) უდგას.

საქართველოს განათლების და მათ შორის უმაღლესი განათლების სასურველი დონის მიღწევა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის და შესაბამისად განათლების დაფინანსების ზრდაზე. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებაზე, მის სწრაფ ზრდაზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული მთლიანად განათლების სფეროს, მათ შორის უმაღლესი განათლების დონის ამაღლება.

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების - აშშ-ს, ნატოს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის - დახმარებით არის შესაძლებლობები, რომ ქვეყანაში ამაღლდეს უმაღლესი განათლების დონე. აღნიშნულის რეალურ შესაძლებლობას განაპირობებს:

- ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა,
- საქართველოს კანონმდებლობით შემოღებული ორმაგი მოქალაქეობა,
- ევროპაში გაცვლითი პოგრამებით სტუდენტთა გაგზავნის ფართო შესაძლებლობები, იქ სწავლისას საქართველოდან წასულ სტუდენტებზე იგივე ტარიფების დაწესება, როგორც ევროკავშირის მოქალაქეებზე.
- აღსანიშნავია „ერასმუსის“ პროგრამა, რომლითაც ჩვენს მოქალაქეებს ევროპაში განათლების მიღების უპრეცედენტო შესაძლებლობები აქვთ, ანუ ზუსტად ისეთივე, როგორც ევროპელებს.
- ამ ყველაფერს კიდევ უნდა მიემატოს ის, რომ საქართველომ შეძლო და კოვიდის პირობებში დააარსა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკთან 25-წლიანი თანამშრომლობის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში ბანკის 100-ზე მეტ პროექტში, დაახლოებით, 4.3 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა.

დღესდღეობით უმაღლესი განათლება საქართველოში დგას გამოწვევის წინაშე, რომ მისი მიღება უმნიშვნელოდ ზრდიდეს დასაქმების შანსს, აუმჯობესებდეს სახელფასო დანამატს და მეტად შეესაბამებამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ეს განაპირობებს იმას, რომ ხარისხიანი განათლების მიღების მიზნით საზღვარგარეთ წასული ქართველი სტუდენტების რიცხვი იზრდება.

საერთაშორისო რეიტინგები აჩვენებს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მთავარი გამოწვევაა შიდა კონფლიქტი, ეკონომიკური პრობლემები საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებაში. მნიშვნელოვანია სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის, ცხოვრების პირობების, სწავლასთან და საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული საკითხები.

დასკვნა

მიუხედავად მნიშვნელოვანი წინსვლისა, საქართველოს სჭირდება ინსტიტუტების ისეთი შემდგომი განვითარება, რაც მოგვცემს უმაღლესი განათლების სისტემის პოტენციალის ეფექტიან რეალიზებას. ეს შესაძლებელია განათლების გრძელვადიანი რეფორმით. სწორედ ასეთ პროექტებს უჭერს მხარს მსოფლიო ბანკი საქართველოში.

ამერიკული და ევროპული განათლების გამოცდილება კონკურენტუნარიანი, წარმატებული კარიერის აუცილებელ პირობად მიიჩნევს - თვითდისციპლინას, შრომისმოყვარეობას და სწორი სტრატეგიის არჩევას. ცხადია, შრომის გარეშე ვერსად ვერაფერს ვერ მიაღწევთ. ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, პრაქტიკა, საკუთარ თავზე მუშაობა, რადგან ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ პოზიციაზე მაქსიმუმი მოეთხოვება. ადამიანს, ასევე, უნდა შეეძლოს დასახული მიზნისკენ სტრატეგიულად, მიზანმიმართულად სვლა და სწორად განსაზღვრა, თუ რა ეტაპზე რა არის საჭირო.

მნიშვნელოვანია მოსწავლეებსა და სტუდენტებს გავუჩინოთ მოტივაცია, რომ ისინი დაეწაფონ სწავლას და ცოდნას დამოუკიდებლად დაეუფლონ. მათ პრობლემების გადაჭრა უნდა შეძლონ და არა ინსტრუმენტების გამოყენება. ბევრად უფრო ეფექტური იქნება, როდესაც ისინი თავად მიხვდებიან, თუ რატომ სჭირდებათ მათ ინსტრუმენტები. თანამედროვე პროგრამების ერთ-ერთი მთავარი მინუსი ის არის, რომ ისინი ხშირად საგანს უღრმავდებიან, საფუძვლების, ძირითადი იდეებისა და სადავო საკითხების მკაფიოდ ახსნის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ ცოდნა განიხილებოდეს, როგორც სემანტიკური ხე. პირველ რიგში უნდა გავიგოთ ფუნდამენტური პრინციპები - ეს ხის ღერო და დიდი ტოტებია. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადავიდეთ ფოთლებზე (დეტალები). წინაღმდეგ შემთხვევაში მათ არაფერი ექნებათ ჩამოსაკიდებელი. ცოდნის ამჟამინდელი ტესტების სახით შემოწმება არა მხოლოდ არ იძლევა შედეგს, არამედ მავნე ზეგავლენას ახდენს სწავლაზე. თავისთავად, ცოდნის შემოწმება საჭიროა, მაგრამ არა გადაჭარბებულად ტესტური დავალებების სახით. პრესტიჟულად ისეთი კურსები შეიძლება ჩაითვალოს, სადაც ასწავლიან აზროვნებას და უკუკავშირისთვის საჭირო უნარებს უყალიბებენ, როდესაც საკუთარი შეცდომების მიუკერძოებლად გაანალიზება შეუძლიათ.

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ 2019 წლის 29 მაისს დაამტკიცა, და 18 ივნისს ხელი მოეწერა დაფინანსების ხელშეკრულებას საქართველოში განათლების რეფორმის პროექტის ფარგლებში. პროექტი სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო ბანკის საქართველოსთან პარტნიორობის 2019-2022 წლების სტრატეგიასთან და ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას 2018-2023 წლებში განათლების რეფორმის დღის წესრიგის განხორციელებაში. მნიშვნელოვანია იმ სხვაობის შემცირება, რომელიც სწავლის შედეგებსა და შრომის ბაზრის მოლოდინებს შორის არსებობს კადრების კვალიფიციურობის თვალსაზრისით.

REFERENCES:

1. Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., Pailodze, N., (2013). Realities of internationalization of higher education in Georgia. *PRADEC Conference. Internationalisation in Higher Education: Evaluating concepts, challenges and strategies, 25-26 April, 2013 Proceedings* Volume 2 | Issue 1 | August 2013 |pp.95-98

2. Veshapidze, S., Zubiashvili, T., (2020). About the Origins of Modern Geoeconomic Foundations of Georgia. Ecoforum Journal 9 (2).

3. Veshapidze, S., (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. *Sciences of Europe*. VOL 4, No 13 (13)

4. Veshapidze, Sh., Karalashvili, Sh., (2018). Pension Reform in Georgia. Refereed International Journal Ecoforum. Vol. 7. №2.

5. Veshapidze, S., Darbaidze, M., Beridze, T., (2016). Euro-Atlantic values: what tie up us. Universal. pp. 230-235.

6. Veshapidze, S., (2020). Religion and national values in Georgia. International Scientific Collection, Volume 3, pp. 33-36.

7. Veshapidze, S., Mchedlishvili, Z., (2020). From Ilia Chavchavadze's Economic Views: Competition, Private Property and International Trade. Ecoforum Journal 9 (2).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

8. Veshapidze S., Babuadze N., Beridze T., EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING). ACTUAL PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMIES. (10-11 July, 2015). PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY. Tbilisi, 2015, pp. 79-83.

9. Zoidze, G., (2021). Basic Paradigms of Institutional Economics. *Universali, Tbilisi*. p. 202

10. Zoidze, G., (2020). GEORGIAN AGRO-SPHERE DEVELOPMENT PRIORITIES AND WAYS OF CARRYING OUT SOME IMPROVEMENTS. *Myśl Ekonomiczna i Polityczna*, (2 (69)), 55-71. **DOI:** 10.26399/meip.2(69).2020.10/g.zoidze

11. Zoidze, G., (2020). Risks Caused by Pandemics and Anti-crisis Management. *Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Paata Gugushvili Institute of Economics, Proceedings of Materials of International Scientific Conference Dedicated to the 115th Birth Anniversary of Academician Paata Gugushvili*, 190-195

12. Galt & Taggart, Education Sector in Georgia. Georgia Education, Sector Review July 28, 2020. Bochorishvili E., Peranidze N. (In Georgian) Available at: https://galtandtaggart.com/upload/reports/14673.pdf (Accessed: 1st July 2021).

13. International Bank for Reconstruction and Development / World Bank, 2020. Survival, Learning, Prosperity: A Strategic Investment in Human Capital for Georgia's Potential Development. (In Georgian) Available at: https://documents1.worldbank.org/curated/en/217471597681506927/Survive-Learn-Thrive-Strategic-Human-Capital-Investments-to-Unlock-Georgias-Potential.pdf (Accessed: 1st July 2021).

14. Legislative Herald of Georgia, Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. (In Georgian) Available at: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0 (Accessed: 1st July 2021).

15. Legislative Herald of Georgia, International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. (In Georgian) Available at: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0 (Accessed: 1st July 2021).

16. Legislative Herald of Georgia, European Social Charter (Revised) Strasbourg, 3.V. 1996 (in Georgian) Available at: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164?publication=0 (Accessed: 1st July 2021).

17. Legislative Herald of Georgia, Law of Georgia on Higher Education. (In Georgian) Available at: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=85. (Accessed: 1st July 2021).

18. Legislative Herald of Georgia, Organic Law of Georgia Labor Code of Georgia. (In Georgian) Available at: https://matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=10 (Accessed: 1st July 2021).

19. Legislative Herald of Georgia, Constitution of Georgia. (In Georgian) Available at: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 (Accessed: 1st July 2021).

20. Ministry of Education and Science of Georgia, project "Innovation, Inclusive Education and Quality". (In Georgian) Available at: https://mes.gov.ge/content.php?id=10452&lang=geo (Accessed: 1st July 2021).

21. Society and banks, education for economic growth. (In Georgian) Available at: http://sab.ge/ge/news/880-ganatleba-ekonomikuri-zrdistvis (Accessed: 1st July 2021).

22. UN, Universal Declaration of Human Rights, 60th Anniversary, Special Edition 1948-2008. (In Georgian) Available at: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf (Accessed: 1st July 2021).

23. United Nations General Assembly Resolution A / RES / 70/1 of 25 September 2015 - "Transforming Our World: A 2030 Agenda for Sustainable Development". (In Georgian) Available at: https://undocs.org/A/RES/70/1 (Accessed: 1st July 2021).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE WORLD PANDEMIC- EXPERIMENT DEVELOPING DEGLOBALISATION



Kristina Jganjgava
Doctor of Business Administration Science
E-mail: kjganjgava@yahoo.com
Cell: (+995) 579 08 86 12

DOI suffix: 10.36962/NEC6102202139

ABSTRACT

Globalization is the result of the development of civilization. This process has helped reduce transportation costs around the world, resulting in an increase in travelers around the world. Travel is even recognized as an important determinant of the spread of the disease. Therefore, globalization has become the mechanism of transmission of the infectious disease coronavirus (Covid-19) worldwide. Thus, coronavirus-related events pose additional practical and symbolic challenges to the globalization agenda. The purpose of this article is to determine the potential impact of the pandemic on the future direction of globalization.

***Keywords**: Covid-19, Deglobalisation, Economic Impact.*

მსოფლიო პანდემია - დეგლობალიზაციის შესაძლო განვითარების ექსპერიმენტი

ქრისტინა ჯღანჯღავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
E-mail:kjganjgava@yahoo.com

ანოტაცია

გლობალიზაცია წარმოადგენს ცივილიზაციის განვითარების შედეგს. აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო მსოფლიოში ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებას, რასაც შედეგად მოჰყვა მოგზაურთა ზრდა მთელ მსოფლიოში. მოგზაურობა კი აღიარებულია, როგორც დაავადების გავრცელების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, გლობალიზაცია მსოფლიოში გახდა ინფექციური დაავადების კორონავირუსის (კოვიდ-19) გადაცემის მექანიზმი. ამგვარად, კორონავირუსთან დაკავშირებული მოვლენები გლობალიზაციის დღის წესრიგში აყენებს დამატებით პრაქტიკულ და სიმბოლურ გამოწვევებს. აღნიშნული სტატიის მიზანს წარმოადგენს პანდემიის პოტენციური ზეგავლენის დადგენა გლობალიზაციის სამომავლო მიმართულებაზე.

***საკვანძო სიტყვები:** კოვიდ-19, ეკონომიკური ზეგავლენა, დეგლობალიზაცია.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

მსოფლიოში კორონავირუსის სწრაფი გავრცელება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო წესრიგზე. პანდემიამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა გლობალიზაციის პროცესს, რაც თავის მხრივ დეგლობალიზაციის ექსპერიმენტს წარმოადგენს. ქვეყნებს შორის ბარიერები იქმნება არა ვაჭრობის და მიგრაციის ნაკადების შესაჩერებლად, არამედ მიზნად ისახავს ინფექციის გავრცელების შემცირებას. ეკონომიკური შედეგები კი შემდეგია:

1. დაირღვა მომარაგების ჯაჭვი;
2. ნდობა ბიზნესის მიმართ შემცირდა;
3. მკვეთრად იკლო საერთაშორისო ვაჭრობამ.

გლობალიზაცია მსოფლიოში წარმოადგენს ინდივიდების ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის საშუალებას. ურბანიზაციის ზრდამ და მსოფლიო ეკონომიკის უფრო მჭიდრო ინტეგრაციამ ხელი შეუწყო გლობალურ ურთიერთკავშირს.

გლობალური პანდემია (კოვიდ-19) უარყოფით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე მოთხოვნისა და მიწოდების თვალსაზრისით. პირველ რიგში, მომხმარებლები და ინვესტორები ნდობას კარგავენ პანდემიით დაზარალებულ ბაზრებზე, რის შედეგადაც მცირდება მოთხოვნა, მეორე მხრივ, სამუშაო ძალის კლება ამცირებს მიწოდებას. ამგვარად საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია რეაგირებს არსებულ პანდემიაზე და გავლენას ახდენს, ეკონომიკის განვითარების პოლიტიკაზე, ასევე ვაჭრობას, მოგზაურობასა და ჯანდაცვის სფეროზე.[4]

კოვიდ-19 - გლობალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორები

კოვიდ-19-ის პანდემიამ განაპირობა ვაჭრობისა და საწარმოო ქსელების რღვევა. იზოლაციის ზომებმა, წარმოების სფეროში მოკლევადიანი პრობლემები გამოიწვია, რაც თავის მხრივ აისახა მრავალ ქვეყანაში საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის კლებაზე. კომპანიები ცდილობენ შექმნან საკუთარი საწარმოო ჯაჭვები, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ მდგრადობას, იმისათვის, რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა მოახდინონ კრიზისის შემდგომ პერიოდში სწრაფი ეკონომიკური ზრდა.[5] თანამედროვე პერიოდში, პანდემია გვევლინება გლობალური წარმოების ქსელების, რეორგანიზაციის მნიშვნელოვან კატალიზატორად. ეკონომიკური თვალსაზრისით, იმისათვის რომ მოხდეს ეფექტიანობის ზრდა კომპანიებისთვის, აუცილებელია წარმოების პროცესის დაყოფა ეტაპებად და ოპტიმიზება მაქსიმალური ეფექტიანობისთვის. კოვიდ-19-ის კრიზისი ამ სისტემის სისუსტეებს თვალსაჩინოს ხდის. მაგალითისთვის, აღნიშნულის ერთ-ერთი სავარაუდო შედეგია -კომპანიების ნაკლები უპირატესობის მინიჭება ეფექტიანობის მაქსიმალურ ზრდაზე , ამასთან მეტად ორიენტირებულნი არიან წარმოების ჭარბი სიმძლავრეების შექმნაზე, რომელიც ხელს უწყობს საჭირო მარაგების დაგროვებას, დივერსიფიკაციას - მიწოდების ჯაჭვების მოდერნიზაციის სახით.

დეგლობალიზაციის განვითარების შესაძლებლობა

გლობალიზაცია ინდივიდების ეკონომიკური და კულტურული ზრდის უზრუნველყოფის საშუალებაა. 2020 წლის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკა არამდგრადი იყო. აღნიშნული კიდევ უფრო გააქტიურა მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ, მოიშალა წარმოების მომარაგების ჯაჭვები, რაც აისახა წარმოების პროცესის გაჩერებასა და მკვეთრ შემცირებაში. ყოველივე ზემოთჩამოთ ჩამოთვლილი შეეხო თითქმის ყველა ინდუსტრიას.[1] კომპანიებმა ვერ მიიღეს წარმოებისთვის საჭირო მასალები მიმწოდებლებისგან, გაუქმდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები და პრეზენტაციები, საფონდო ბაზრებმა დაცემა განიცადეს. შედეგად, ბიზნესმა დაკარგა ნდობა საერთაშორისო მომწოდებლებისა და მწარმოებლებისადმი და დაიწყო მიწოდების ჯაჭვების მართვის ძიება ქვეყნის შიდა ბაზარზე. კომპანიები, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებს და მიმწოდებლებს კონცენტრირებდნენ, ორიენტაცია აიღეს შიდა მიწოდების ჟაჭვების შექმნაზე. უკანასკნელი კი ნაკლებად განიცდის წარმოების შეფერხებას კრიზისის დროს. „დე-გლობალიზაცია"- გლობალურ ეკონომიკაში განცალკავების პროცესია. 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, რეგიონული ბაზრები შედარებით მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე გლობალური. ამასთან, ქვეყნებს შორის ფინანსური ნაკადები დღემდე არ დაბრუნებულა 2008 წლის დონეს, ასევე მთელი რიგი ინდიკატორები მიანიშნებს „დე-გლობალიზაციის" პროცესზე. მაგალითად, სახელმწიფოები და რეგიონული ბლოკები, როგორიცაა ევროკავშირი ნაკლებად დამოკიდებულია დანარჩენ მსოფლიოზე, თუმცა ეკონომიკური მოდელი არ შეცვლილა. აქტივების დაგროვება სესხებით და სპეკულაციებით საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალური ინვესტიციები. დასავლეთის მრავალი ქვეყანა ებრძვის დაბალ

პროდუქტიულობას, ინვესტიციათა სიმცირეს და დაბალ ხელპასებს. ეს ქვეყნები გადადიან კრიზისულ მდგომარეობაში და ამ მიმართულებით ტენდენცია არ მცირდება.ყოველივე ეს კი განაპირობებს დე-გლობალიზაციის სწრაფი ტემპით ზრდას.. ახალი ტექნოლოგიები ასტიმულირებს „ოფშორინგს“ - ადგილობრივი წარმოების ქსელების შექმნით. ამგვარად, კლიმატის ცვლილების პრობლემების გადაჭრა მოითხოვს შედარებით მდგრად ადგილობრივ სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის რადიკალურ რეორგანიზებას.[2] სახელმწიფო ინვესტიციების მასშტაბი, რომელიც აუცილებელია კოვიდ-19-ის კრიზისტან საბრძოლველად, ასახავს ეროვნული სახელმწიფოების მნიშვნელოვან როლს გადაწყვიტოს სოციალური და კლიმატური საგანგებო სიტუაციები.

ყველა აღნიშნული ფაქტორი ქმნის „დე-გლობალიზაციისკენ“ სწრაფვის დინამიკას. ამის მართვა კი უდაოდ, პროგრესული გზით შეიძლება, გლობალური მრავალმხრივი დამოკიდებულების ახალი მიდგომით. აღნიშნული მიიღებს მრავალმხრივ „დე-გლობალიზაციის“ ფორმას: საერთაშორისო თავისუფალი კაპიტალის მართვადი შემცირებით, რომელიც აღადგენს მეთ დემოკრატიას სახელწიფოსა და და რეგიონებში.

დასკვნა

კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა გლობალიზაციის პროცესს. თანამედროვე მსოფლიოში გამოიწვია მოგზაურობის კლება, ასევე მრავალ ქვეყანაში - ქსენოფობური თავდასხმები. პანდემიასთან დაკავშირებული მოვლენები, გლობალიზაციის დღის წესრიგში აყენებს პრაქტიკულ და სიმბოლურ გამოწვევებს, ადამიანური და ეკონომიკური ზიანის მასშტაბის გაუთვალისწინებლობით, რომელიც გამოიწვია კოვიდ-19-მა მსოფლიოში. პანდემია გახდა გარდამტეხი მომენტი მთელი მსოფლიო ეკონომიკისთვის.

REFERENCES:

1. «Potential Economic impact of an Avian Flu Pandemic on Asia”, E.Bloom, V.De Wit, M.J. Carangal, 2005;
2. „Towards Digital Globalisation and the corona-19 challenge”,D. Schiliro,may,2020
3. Globalisation and Global health, G.Berlinguer, 2020
4. ThE COVID Impact on Business Globalisation:what does the future Hold? The European Business Review, octomber 14, 2020
5. Global Trade Alert[h,] Global Trade Alert Report - Going It Alone? Trade Policy After Three Years of Populism, 2019
6. Obstfeld M. Globalization Cycles, CEPR Discussion Paper, 2020
7. Coronavirus and the crisis of Globalisation,” L.Cooper, 2020

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

GEORGIA'S TRANSIT POTENTIAL – COUNTRY'S COMPETITIVE ADVANTAGE



Giorgi Abashishvili,
PhD in Business Administration, Chancellor,
Georgian Institute of Public Affairs (GIPA)
E.mail: giorgi.abashishvili@gmail.com

Salome Liparteliani,
MBA student, Georgian Institute
of Public Affairs

DOI suffix: 10.36962/NEC6102202142

ABSTRACT

The recent years witnessed the repeated urgency of Georgia's transport potential. In parallel, Georgia's role in the BRI initiative has become clear. Consequently, Georgia's capabilities have become clearer, however, there are still issues in this regard, the study of which will greatly help the country to achieve SDGs and increase efficiency.

To achieve the above objective, complex recommendations have been developed within the scope of the survey that will significantly increase the country's transport potential and attractiveness; however, it should also be noted that the impact of the transit corridor on the achievement of the Sustainable Development Goals (SDGs) to promote inclusive economic development/growth in the long-term perspective should be considered.

The survey is dedicated to the analysis of Georgia's transit potential, opportunities, existing problems, challenges and prospects, as well as recommendations for the use of this potential to achieve the country's Sustainable Development Goals (SDGs), which analyzes the country's top priorities, current risks and economic development opportunities.

Keywords: *Transit potential*

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი - ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა

გიორგი აბაშიშვილი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საზოგადოებრივ საქმეთა
ინსტიტუტის კანცლერი

სალომე ლიპარტელიანი,
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრანტი,
საქართველოს საზოგადოებრივ
საქმეთა ინსტიტუტი

ანოტაცია

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის აქტუალობა არაერთხელ გამოიკვეთა. აღნიშნულის პარალელურად, ცალსახა გახდა საქართველოს როლი BRI ინიციატივასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მეტად ნათელი გახდა საქართველოს შესაძლებლობები, თუმცა ამ თვალსაზრისით კვლავ არსებობს საკითხები, რომელთა შესწავლაც მეტად დაეხმარება ქვეყანას SDGs მიღწევასა და ეფექტიანობის ზრდაში.

ზემოთქმულის მისაღწევად, კვლევის ფარგლებში კომპლექსური რეკომენდაციები შემუშავდა, რო-

მელიც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალსა და მის მიმზიდველობას; ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გასათვალისწინებელია სატრანზიტო დერეფნის გავლენა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების/ზრდის უზრუნველსაყოფის მისაღწევად.

კვლევა ეძღვნება საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის, შესაძლებლობების, არსებული პრობლემების, გამოწვევების და პერსპექტივების ანალიზს და აღნიშნული პოტენციალის გამოყენების რეკომენდაციებს ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად; რომლის ფარგლებშიც გაანალიზებულია ქვეყნის მთავარი პრიორიტეტები, მიმდინარე რისკები და ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: *სატრანზიტო პოტენციალი.*

შესავალი

თუ ისტორიულ მონაცემებს დავეყრდნობით, საქართველოზე გამავალ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანს საფუძველი ჩაეყარა 90-იან წლებში ევროპის მიერ ინიცირებული პროექტების შედეგად, როგორიცაა INOGATE(Interstate Oil and GAs Transportation to Europe) და TRACECA(Transport Corridor Europe-Caucasus-Asia).

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ისტორიულად წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანას და დამაკავშირებელ დერეფანს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ასეთი მდებარეობა ქვეყანას დიდ პერსპექტივას ანიჭებს მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილის დასამკვიდრებლად.

საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფანი წარმოადგენს ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაციასა და ბელარუსზე გამავალი ჩრდილოეთ დერეფნის და სამხრეთით თურქეთსა და ირანზე გამავალი დერეფნის ალტერნატივას დასავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის ნავთობის და გაზის, ასევე მშრალი ტვირთის ტრანსპორტირებისთვის.

2000-2010 წლებში საქართველოში რკინიგზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რაშიც უმეტესი იყო სატრანზიტო ტვირთების ხვედრითი წილი, თუმცა აღნიშნული ტენდენცია გაუარესდა 2012 წლიდან, რასაც ჰქონდა როგორც ობიექტური (გარე ფაქტორებით გამოწვეული), ასევე სუბიექტური მიზეზები (მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების განუხორციელებლობა, სატარიფო სფეროში დაბალი კოორდინაცია, ტვირთნაკადების დივერსიფიცირება).

ასევე, ამავე პერიოდში იზრდებოდა საქართველოს პორტების (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) მიერ გადამუშავებული ტვირთების დინამიკა, თუმცა ბოლო წლებში საქართველოს გავლით ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვა მნიშვნელოვნად შემცირდა და შესაბამისად, სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის მიმზიდველობის ხარისხის დონე შედარებით დაეცა. პოტენციური სატრანზიტო ნაკადები აღემატება კავკასიის სატრანზიტო დერეფნის მიერ ამჟამად გატარებულ მოცულობას, განსაკუთრებით არათხევადი, მასიური პროდუქტებისთვის. სხვადასხვა ანალიტიკური მონაცემებით, ცენტრალური აზიიდან მომავალი ან ამ მიმართულებით მიმავალი ტვირთის შემთხვევაში, მხოლოდ პოტენციური მშრალი მასიური ტვირთის 22 პროცენტი და კონტეინერებში მოთავსებული პოტენციური სატრანზიტო ტვირთის 10 პროცენტი გაივლის ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს ტრანზიტი ტრანსპორტის სახეობის მიხედვით შეადგენს სახმელეთო გზით გატარებული მთლიანი ტვირთის წონის დაახლოებით 60 პროცენტს, საქართველოს რკინიგზის გადაზიდვების 75 პროცენტს და საქართველოს პორტების მიერ გატარებული ტვირთების მოცულობის თითქმის 80 პროცენტს.

სატრანზიტო დერეფნის შესარჩევად გადაწყვეტილება მიიღება ტვირთის წარმოშობის ადგილიდან დანიშნულების ადგილის მიმართულებით გადასატანად, კლიენტების წინაშე პასუხისმგებელ ტვირთის მფლობელებსა და სატრანსპორტო კომპანიებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ამასთან, ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება გაურკვევლობის პირობებში ძირითადად ხარჯებსა და მიწოდების ვადების გადაცილების რისკს შორის კომპრომისის საფუძველზე.

კავკასიის სატრანზიტო დერეფნის ორი ძირითადი კონკურენტი დერეფანი რომლებიც ემსახურება ცენტრალურ აზიას შემდეგია: **სამხრეთის დერეფანი (ირანის გავლით);** და ჩრდილოეთის დერეფანი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ბალტიის ზღვის პორტების, რუსეთის და უკრაინის გავლით.

ტრანზიტი კავკასიის ქვეყნების მიმართულებით და პირიქით

ჩინეთიდან ბაქოსკენ კონტეინერში მოთავსებული ტვირთის ექსპორტისთვის სამი განსხვავებული კონკურენტული დერეფანი არსებობს:

ა)კავკასიის სატრანზიტო დერეფნის გამოყენება საქართველოს ფოთის პორტის გავლით;

ბ) სამხრეთის დერეფნის გამოყენება ირანის ბენდერ-აბასის პორტის გავლით;

გ)სტამბოლის პორტიდან სახმელეთო ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიის გავლით;

ანალიტიკური მონაცემების მიხედვით, ხარჯები და დრო უმცირესია ბენდერ-აბასის პორტიდან ბაქომდე ტრანსპორტირების შემთხვევაში. ფოთი წარმოადგენს მეორე საუკეთესო არჩევანს ხარჯის, მაგრამ არა დროის თვალსაზრისით და ამასთან საგულისხმოა, ისიც რომ ხარჯების მიხედვით მესამე არჩევანია სტამბული.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ გადამზიდავები და ტვირთის მიმღებები ყურადღებას აქცევენ, არა მარტო ფულად ხარჯებსა და დროს სატრანზიტო დერეფნის არჩევისას:

ბენდერ-აბასის პორტზე გამავალი მარშრუტი შეიძლება უპირატესი ვარიანტი იყოს ხარჯების მინიმიზაციის მხრივ, თუმცა ეს მარშრუტი ხასიათდება შემცირებული ხილვადობით, სირთულეებით ზაფხულში საგზაო ტრანსპორტირებისას და საზღვრის გადასაკვეთად საჭირო ნაკლებად პროგნოზირებადი დროით.

სტამბოლის შემთხვევაში ტვირთის ხილვადობა და საიმედოობა მაღალია ძირითადად უკეთესი საგზაო გადაზიდვის მომსახურების, საქართველოსთან საზღვრის უკეთესად პროგნოზირებადი გადაკვეთის, თურქეთის პორტებში მოულოდნელი დაყოვნების ნაკლები ალბათობის და აზიიდან გადაზიდვის მომსახურებაში გაზრდილი მოქნილობის გამო.

მეორე მხრივ, ფოთის პორტს გააჩნია შუალედური ალტერნატივის შეთავაზების პოტენციალი ხარჯების და საიმედოობის თვალსაზრისით, პორტში სახმელეთო სატრანსპორტო მომსახურების და საზღვრის გადაკვეთის პროგნოზირებადი დროის გათვალისწინებით, ამასთან გასათვალისწინებელია ამინდთან დაკავშირებული შესაძლო დაყოვნებები (წლის პირველ და ბოლო კვარტლებში) და აზერბაიჯანის საზღვარზე გაუთვალისწინებელი არაოფიციალური გადახდების არსებობა.

ტრანზიტი ცენტრალური აზიის მიმართულებით და პირიქით

ქვემოთ წარმოდგენილ სცენარში შედარებულია სამი დერეფანი (კავკასიის სატრანზიტო დერეფანი, ნოვოროსიისკი/რუსეთი და ბალტიის ზღვის აუზის ქვეყნები) გადაზიდვისთვის წარმოშობის სამ სხვადასხვა ადგილსა და ყაზახეთს შორის, რაც ხაზს უსვამს შედარებით ინტეგრირებული და სატრანზიტო მართვის მნიშვნელობას კავკასიის სატრანზიტო დერეფნის გასწვრივ. წარმოშობის სამი პორტია: აშშ-ს პორტი (აღმოსავლეთი სანაპირო, ბალტიმორი), ერთ-ერთი უმთავრესი შორეული აღმოსავლეთის ცენტრალური პორტი (შანჰაი) და ხმელთაშუაზღვისპირეთის უდიდესი საზღვაო კარიბჭე (ვალენსია, ესპანეთი). არ არის დიდი განსხვავება ხარჯის მიხედვით ბალტიის ზღვის პორტებსა და კავკასიის სატრანზიტო დერეფანს შორის. თუმცა, გადაზიდვის ხარჯების ცვლილება ბაქოს გავლით და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სატრანზიტო დროის პროგნოზირების შეუძლებლობა (მაგ. დაყოვნება კასპიის ზღვის საბორნე მომსახურებაში) წარმოადგენს უდიდეს შემაფერხებელ ფაქტორს იმისათვის, რომ კავკასიის სატრანზიტო დერეფანს მიენიჭოს უპირატესობა, განსაკუთრებით დროის მიმართ სენსიტიური გადაზიდვების შემთხვევაში. ბალტიის ზღვის პორტების შემთხვევაში ერთიანი სამარშრუტო სარკინიგზო ოპერაცია ხორციელდება ერთი ტარიფით კლაიპედასა და ალმატის (დოსტიკი) შორის, დატვირთვასთან დაკავშირებული გადასახდელების და ტვირთის სასაზღვრო გაფორმების ხარჯების ჩათვლით. ეს მარშრუტი დაგეგმილია იმგვარად, რომ ტრანზიტის დრო არ აღემატებოდეს 8 დღეს.

კავკასიის სატრანზიტო დერეფანის (CTC) ფუნქციონირება, ასევე, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხარჯებზე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რაც საქართველოს კონტროლის ფარგლებს სცილდება. საერთო ფასი მნიშვნელოვნად იზრდება ტვირთის გადაზიდვის საშუალების ცვლილებისას სარკინიგზოდან საგზაო ტრანსპორტზე და შემდეგ საბოლოო დისტრიბუციისას აზერბაიჯანში.

როგორც აღინიშნა, არ არსებობს ერთიანი შეთანხმებული სარკინიგზო ტარიფი საქართველოს რკინიგზასა და აზერბაიჯანის რკინიგზას შორის და, ამდენად, სამარშრუტო მატარებლები არ ფუნქციონირებს კომერციული თვალსაზრისით ფოთსა და ბაქოს შორის.

საზღვრის აზერბაიჯანის მხარეს არაოფიციალური გადახდების საჭიროების მუდმივი პრობლემა, სრულად აღმოფხვრილი არ არის და მნიშვნელოვ-

ნად აფერხებს დერეფნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტში აზერბაიჯანის საბაჟოს წარმომადგენლების მიერ არაოფიციალური გადასახადების მოთხოვნა მნიშვნელოვნად ზრდის საზღვრის გადაკვეთის ხარჯებს. აუცილებელია ამ პრობლემის გამოსწორებისათვის საქართველოს და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობა.

იმ ფონზე, როცა კონტეინერულ გადაზიდვებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა ცენტრალური აზიის მიმართულებით, ჩვენი დერეფანი არაეფექტიანია, რაც ხელს უშლის საქართველოს ჩამოყალიბებას კონკურენტულ სატრანზიტო მარშრუტად.

როგორც აღინიშნა, ფოთსა და ბაქოს (და მის მიღმა) შორის ერთიანი სარკინიგზო ტარიფის შეთავაზების შეუძლებლობა ქმნის გაურკვევლობას გადამზიდავებს და ექსპედიტორებს შორის. ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ხშირად ცვალებადი ხარჯები ბაქოს სარკინიგზო დეპოში და პორტში ხშირად იწვევს ლოგისტიკის ოპერატორების შეშფოთებას. თუმცა, CASPAR ბორნის სერვისების არასაიმედოობა (რომელიც უპირატესად თხევადი ტვირთისთვის გამოიყენება), სავარაუდოდ, ერთ-ერთი ყველაზე დამაზიანებელი ასპექტია დერეფნის არჩევასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, საჭიროა დერეფნის აზერბაიჯანის მხარეს არსებული პრობლემების მოგვარება, საქართველოს სატრანზიტო დერეფნის პრიორიტეტული ვარიანტად ჩამოყალიბებისათვის.

დისბალანსი კონტეინერში მოთავსებულ ტვირთებში ცენტრალური აზიიდან და პირიქით (უპირატესად დატვირთული კონტეინერები გადაადგილდება აღმოსავლეთით) და შეღავათების შეუსაბამობა სანაოსნოებსა და მოვაჭრეებს შორის, სატრანზიტო კონტეინერებთან დაკავშირებით დამატებით პრობლემებს ქმნის. რამდენადაც სანაოსნო კომპანიებს არ სურთ კონტეინერების გაშვება ბაქოს ფარგლებს მიღმა, ან უნდა იქნეს შეძენილი კონტეინერები, ან დიდი მოცულობის დეპოზიტი და დაქირავების საკომისიო გადახდილი ცენტრალური აზიის მიმართულებით ტრანზიტისთვის. ტვირთის არარსებობა უკუმიმართულებით (ნაკადის მიმართულებითი დისბალანსი) ზრდის სატრანსპორტო ხარჯებს.

საქართველოს როლი პოტენციურ სატრანზიტო ნაკადებში კვლავ შედარებით დაბალია, განსაკურებით არათხევადი სატრანზიტო ტვირთებისთვის, რომლებიც მოემართება ცენტრალური აზიიდან ან პირიქით. ზოგიერთი კვლევით შეფასებულია პოტენციური სატრანზიტო მოძრაობა, რომლის მოზიდვაც საქართველოს შეუძლია რეალური სავაჭრო მოცულობის საფუძველზე, კავკასიის ნებისმიერ მხარეს მდებარე რეგიონისკენ და პირიქით. სულ დამისამართებული ტვირთების ნაკადი, რომელიც მიუთითებს სატრანზიტო პოტენციალზე ფასდება 125 მლნ. ტონით წელიწადში, საიდანაც 80 პროცენტი მოდის თხევად ტვირთზე (უპირატესად დასავლეთისკენ მიმავალი მოძრაობა), 13 პროცენტი - მშრალ მასიურ ტვირთზე და 7 პროცენტი კონტეინერებში მოთავსებულ ტვირთზე. ცენტრალური აზიიდან მომავალი ან ამ მიმართულებით მიმავალი ტვირთის შემთხვევაში, მხოლოდ პოტენციური მშრალი მასიური ტვირთის 22 პროცენტი და კონტეინერებში მოთავსებული პოტენციური სატრანზიტო ტვირთის 10 პროცენტი გაივლის ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე. 60-დან 82 პროცენტამდე პოტენციური მშრალი მასიური და კონტეინერში მოთავსებული ტვირთების ნაკადი კავკასიისკენ და პირიქით რეალურად ირჩევს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. არათხევადი მასიური ტვირთი: სავარაუდო სატრანზიტო პოტენციალი და ფაქტიური ტრანზიტი საქართველოს გავლით

ტვირთის წარმოშობის ან დანიშნულების ადგილი:						
კავკასია				ცენტრალური აზია		
	პოტენციური ტრანზიტი	ფაქტიური ტრანზიტი	წილი (%)	პოტენციური ტრანზიტი	ფაქტიური ტრანზიტი	წილი (%)
მშრალი	6	3.6	60	12	2.6	22
კონტეინერი	2.8	2.3	82	3.9	0.4	10
სულ	8.8	5.9	67	15.9	3	19

წყარო: *მსოფლიო ბანკი, 2014*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კავკასიის სატრანზიტო დერეფნის პოტენციალი, დამატებითი სატრანზიტო გადაზიდვების თვალსაზრისით, საჭიროებს შესწავლას ალტერნატიულ სატრანზიტო მარშრუტებთან შედარების მიზნით. ამჟამად, კავკასიის სატრანზიტო დერეფანი ასრულებს შედარებით უმნიშვნელო როლს არანავთობპროდუქტების ტრანზიტში ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის. ამასთან, ბალტიის ზღვის პორტები წარმოადგენენ უპირატეს მარშრუტს აზიასა და ევროპას შორის ექსპორტის და იმპორტისათვის. ბალტიის მარშრუტის ერთი კონკრეტული უპირატესობაა მოკლე მანძილი ევროპის პორტებსა და ბალტიის ქვეყნების პორტებს შორის. USAID-ის მიერ შესრულებულ კვლევაში შედარებულია კავკასიის სატრანზიტო დერეფნის (CTC) ეფექტიანობა ალტერნატიულ მარშრუტებთან და **დადგენილია, რომ თუ კავკასიის სატრანზიტო დერეფანი (CTC) გახდება (ა) 10 პროცენტით იაფი (ბ) ტრანზიტის დრო შემცირდება ერთი კვირით; და (გ) საიმედოობა გაიზარდება კასპიის ზღვის გადაკვეთისას, დერეფანი შეიძლება გახდეს გაცილებით მიმზიდველი და კონკურენტული ალტერნატივა, რაც უზრუნველყოფს გაცილებით მეტ სატრანზიტო გადაზიდვას და ხელს შეუწყობს ექსპორტი-იმპორტის ხარჯების შემცირებას საქართველოში და მშპ-ის ზრდას.**

ფაქტორები (ობიექტური, სუბიექტური), რომლებმაც გავლენა იქონია სატრანზიტო დერეფნის ფუნქციონირებაზე (ტვირთის მოცულობის შემცირებაზე)

სატრანზიტო დერეფნის შესაძლებლობების პოტენციალის სრულად გამოყენებისთვის საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სატრანსპორტო სექტორების კოორდინირებული ფუნქციონირება და ტრანს-ევროპული სატრანსპორტო ქსელში ინტეგრაცია. ამის მისაღწევად აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია/მშენებლობა.

საქართველოს მთავრობისთვის ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის დასრულება და მისი საერთაშორისო საავტომობილო გზების სტანდარტებთან ჰარმონიზაცია ქვეყნისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს.

საქართველოს **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნულ საავტომობილო მაგისტრალზე** ხდება მთლიანი საგარეო ტვირთების 60%-ზე მეტის გადაზიდვა. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ მაგისტრალის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესია საქართველოს სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბებისათვის. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს გავლით სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას ერთის მხრივ, ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის, ხოლო მეორეს მხრივ - თურქეთსა და ევროპას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის დიდი ნაწილი დაფინანსებულია, დაფინანსების პოტენციური დეფიციტი კვლავაც არსებობს (დეფიციტის სავარაუდო ოდენობა 800 მილიონი აშშ დოლარი.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროგრამის მიზნით აუცილებელია მისი ცალკეული მონაკვეთების მშენებლობა/ რეაბილიტაციის მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში დასრულება.

ბოლო სამ წელიწადში **საქართველოს რკინიგზის ზარალმა** დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობის ზარალი შეადგინა.

2020 წელს საქართველოს რკინიგზამ $ 52,7 მილიონით იზარალა, რაც 2019 წლის ზარალს $ 51, 1 მილიონით აღემატება. ზარალის მთავარი მიზეზი კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული დანაკარგები იყო, რომლის ოდენობა. რკინიგზის ვალდებულებების ოდენობა ნახევარ მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს და მისი მოცულობა ლარის გაუფასურების გამო 2020 წელს მკვეთრად გაიზარდა. (KPMG-ის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიში)

2020 წელს საქართველოს რკინიგზამ 11.1 მილიონი ტონა ტვირთი გადაზიდა, რაც 2019 წლის მაჩვენებელს 0.2 მილიონი ტონით აღემატება. თუმცა რკინიგზის შემოსავალი 2020 წელს ჯამურად, სხვადასხვა სახის სარკინიგზო მომსახურებიდან $ 157, 3 მილიონს შეადგენს, რაც 2019 წელთან შედარებით $ 0,6 მილიონით ნაკლებია. სს "საქართველოს რკინიგზის" 100%-იანი წილი სს "საპარტნიორო ფონდის" საკუთრებაა, რომელიც თავის მხრივ 100%-ით საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნის.

რკინიგზის მოგება ყველაზე მაღალი 2011 წელს იყო და $ 55,9 მილიონს შეადგენდა, ყველაზე დიდი ზარალი - $ 230,2 კი 2018 წელს იყო. ზარალის ასეთი ზრდის მთავარი მიზეზი სატვირთო გადაზიდვების შემცირება იყო.

2012 წელს რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობა 20.1 მილიონ ტონას შეადგენდა,

2013 წლიდან მოყოლებული 2018 წლის ჩათვლით, კი ტვირთბრუნვის ოდენობა ყოველწლიურად მცირდებოდა. 2018 წელს ტვირთბრუნვა 10 მილიონ ტონამდე შემცირდა, 2019 წლიდან კი, სატრანზიტო ნაკადების აღდგენა დაიწყო და ის ჯერ - 10.9 მილიონი ტონა, 2020 წელს კი 11.1 მილიონი ტონა გახდა.

ხშირად ავღანეთისა და შუა აზიის ტვირთები ქართულ პორტებს გვერდს უვლიან და გადაზიდვისთვის სხვა გზას ირჩევენ, მაგალითად, გზას ბალტიისპირეთის პორტებიდან. შემდეგ კი ტრანსპორტირებისთვის რუსეთის რკინიგზას იყენებენ. ბევრი გადამზიდავის აზრით ეს რკინიგზა კონკურენტუნარიანია, პროდუქცია დროულად ჩადის დანიშნულების ადგილზე და ფასებიც შედარებით დაბალია.

საინტერესო ტრენდი შეიმჩნევა 2020 – 2021 წლის (I-III) თვის შედარების თვალსაზრისით. აღნიშნულის თანახმად, 2021 წლის პირველი სამი თვის მიხედვით გადაზიდული ტვირთების მოცულობა 2020 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 7.3 %-ით გაიზარდა, რაც შეეხება შემოსავალს სატვირთო გადაზიდვებიდან, ეს მაჩვენებელი 14%-ით.

2021-ში 2020 წელთან შედარებით ნავთობპროდუქტების გადაზიდვა 33%-ით გაიზარდა, მისგან მიღებული შემოსავალი კი 42%-ით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საკონტეინერო გადაზიდვებიც ზრდადი მაჩვენებლებით გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის პირველი კვარტლის შედეგები ბოლო 6 წლის განმავლობაში რეკორდული მაჩვენებელია.

რკინიგზის მიერ გადაზიდული კონტეინერების რაოდენობა, მიუხედავად 2016 წელს დაფიქსირებული კლებისა, 2017-2019 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რკინიგზის სფეროში არ განხორციელებულა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი.

ჯერჯერობით ზრდის ტენდენციით არ ხასიათდება რკინიგზით ტრანზიტად გადაზიდულ ტვირთების ოდენობა და იგი 2.5 - 3.5 მლნ ტონის ფარგლებში მერყეობს

ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვა ბოლო 6 წელიწადში მხოლოდ 6- 8 მლნ ტონის ფარგლებშია,ნავსადგურის მომსახურება ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია შავი ზღვის აუზში და ამასთან მას ახალი სიმძლავრეები არ დამატებულა.

ფოთის ნავსადგურში ტვირთის ჯამური გადამუშავება დღეისათვის საშუალო ევროპული ნავსადგურის მხოლოდ ერთ ნავმისადგომის ტვირთბრუნვის ტოლფასია.

ბათუმის ნავსადგურის მშრალი ტვირთების ტვირთბრუნვა ბოლო წლებში მხოლოდ 0.6 - 1 მლნ ტონას შეადგენს. ასევე პროგრესი არ შეინიშნება ახალი ტვირთების მოზიდვის კუთხით.

ყულევის ნავსადგურში ტვირთების გატარების შესაძლებლობა წელიწადში 10 მლნ ტონაა, მაშინ როდესაც ბოლო 6 წელიწადში მხოლოდ 1,6-1,7 მლნ ტონა ტვირთის გადამუშავება ხდება

2020 წელს წინა წელთან შედარებით, გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობამ იკლო როგორც ბათუმის, ისე ფოთის საზღვაო ნავსადგურებში.

ამის სანაცვლოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაქოს ნავსადგურში გადამუშავებული ტვირთის ოდენობა პანდემიის პირობებში. ეს იმ ფონზე როდესაც 2020 წელს გაიზარდა ჩინეთიდან ევროპაში და უკუმიმართულებით ტვირთბრუნვა. 2020 წელს ამ სატრანზიტო დერეფანში რეკორდული, 1.250 მლნ კონტეინერია გადაზიდული. 2019 წელთან შედარებით 50%-იანი ზრდაა, რაც დიდი მაჩვენებელია. თუმცა ჩინეთიდან წამოსული ტვირთების მხოლოდ 0,7% გაივლის საქართველოს სარკინიგზო ხაზზე. საერთაშორისო სატვირთო საავტომობილო გადაზიდვები სტაბილურად მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა. 2019 წელს საავტომობილო ტრანსპორტით დაახლოებით 10,7 მლნ ტონა ტვირთი გადაიზიდა, რაც გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 16,8%-ით მეტია. ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია 2020 წელსაც (იხ ცხრილი 2).

პანდემიის პერიოდში სატვირთო გადაზიდვები არ შეჩერებულა, თუმცა მოთხოვნის შემცირების გამო ექსპორტიორებიცა და იმპორტიორებიც ამბობენ, რომ გადაზიდვის მასშტაბი შემცირებულია.

დადებითი ტენდენცია აღინიშნა ტრანზიტული ტვირთის მოცულობის კუთხით და 2019 წელს ბოლო 5 წლის მანძილზე მაქსიმალური ოდენობა (4,7 მილიარდი ტონა) დაფიქსირდა

პანდემიის პერიოდშიც, საქართველოს სატრანზიტო დერეფნებით, ტრანზიტად საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა, არ შემცირებულა, ამის დასტური კი შემდეგი ციფრებია - 2020 წელს, იანვარ-ივნისის თვეების მიხედვით, გზათსარგებლობის გადასახადით ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავალი შემდეგნაირად გამოიყურება:

2020 წლის იანვარ - ივნისში, სატრანზიტო რეჟიმით საქართველოზე გაიარა 138 000 ერთეულმა სატვირთო ავტომობილმა. მათ შორის: იანვარი - 26 500 ერთეული; თებერვალი - 18 000 ერთეული; მარ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი 2. სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა (ათასი ტონა)								
რეჟიმი	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2019/6**	**2020/6**
საქართველოს ექსპორტი	**692.0**	**910.6**	**968.9**	**1,430.8**	**1,253.7**	**1,513.0**	**723.9**	**619.5**
ზრდა წინა წელთან შედარებით	-	31.6%	6.4%	47.7%	-12.4%	20.7%	-	-14.4%
საქართველოს იმპორტი	**2,975.8**	**2,952.1**	**3,299.0**	**3,705.0**	**3,894.7**	**4,376.6**	**1,871.7**	**1,972.9**
ზრდა წინა წელთან შედარებით	-	-0.8%	11.8%	12.3%	5.1%	12.4%	-	5.4%
საქართველოს ტრანზიტი	**2,638.3**	**2,708.4**	**2,886.1**	**3,628.5**	**3,992.5**	**4,783.2**	**2,209.5**	**2,509.2**
ზრდა წინა წელთან შედარებით	-	2.7%	6.6%	25.7%	10.0%	19.8%	-	13.6%
სულ	**6,306.1**	**6,571.1**	**7,154.0**	**8,764.3**	**9,141.0**	**10,672.7**	**4,805.1**	**5,101.6**
ზრდა წინა წელთან შედარებით	-	4.2%	8.9%	22.5%	4.3%	16.8%	-	6.2%

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ტი - 24 500 ერთეული; აპრილი - 20 000 ერთეული; მაისი - 20 500 ერთეული; ივნისი - 29 500 ერთეული

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფასიანი გზების განსაზღვრება და ოდენობა საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს. ტრანზიტის რეჟიმში მოძრავი, როგორც ქართული, ისე უცხოური სატვირთო ავტომობილები იხდიან "გზით სარგებლობის საფასურს" , რომელიც 200 ლარს შეადგენს. (რომელიც არის 64 $-ის ექვივალენტი)

ევროკავშირის ქვეყნებში გზით სარგებლობის საფასურის (ფასიანი გზები) ოდენობა, დივერსიფიცირებულია და დამოკიდებულია, სატრანსპორტო საშუალების წონაზე, გზის კლასზე, საწვავის სახეობაზე, ხმაურის დონეზე და ფასიანი გზით სარგებლობის პერიოდზე. საქართველოში ასეთი კლასიფიკაცია არ არსებობს და გადასახადი უნიფიცირებულია.

აუცილებელია განისაზღვროს ძირითადი სატრანზიტო დერეფნების მანძილები - სარფი - ლარსი 499 კმ; ფოთი - ლარსი 450 კმ; სარფი - სადახლო - 433 კმ; ფოთი - სადახლო 404 კმ; სარფი - წეთელი ხიდი 436 კმ; ფოთი - წითელი ხიდი 387 კმ. სატრანზიტო დერეფნების მანძილების გაშუალედებისას- საშუალო სატრანზიტო მანძილი შეადგენს 435 კმ-ს; თუ გზით სარგებლობის საფასურის თანხას - 64,3 $ (200 ლარს) გავყოფთ საშუალო სატრანზიტო მანძილზე - 435 კმ-ზე, მივიღებთ სატვირთო ავტოტრანსპორტის მიერ, საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო დერეფნის 1 კმ-ში გადახდილ თანხას, რომელიც შეადგენს 0,46 ლარს, ანუ 15 ამერიკულ ცენტს. ევროპულ სივრცეში, ანალოგიური გადასახადი ერთ კილომეტრზე შეადგენს: ბელორუსში - 12 აშშ ცენტს, პოლონეთში - 9 აშშ ცენტს, სლოვაკეთში 21 აშშ ცენტს, უნგრეთში 19 აშშ ცენტს, ავსტრიაში - 30 აშშ ცენტს, გერმანიაში - 15 აშშ ცენტს.

საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტად მოძრავი სატვირთო ტრანსპორტისათვის დაწესებული გზითსარგებლობის 200 ლარიანი გადასახადი, (რომელიც არის 64 $-ის ექვივალენტი) ევროპულ ქვეყნებთან მიმართებაში, არის მოუქნელი, რადგანაც არ ითვალისწინებს, ავტომანქანის ეკოლოგიურ (ევრო 5, 6) მდგომარეობას; არ არის დივერსიფიცირებული, წონის ნორმის და გზის გატეგორიის მიხედვით, რაც რიგ გადამზიდავებს არასამართლიან მდგომარეობაში აყენებს; პრობლემის დარეგულირების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, გადასახადის დაწესება გავლილი მანძილის, წონის და გზის კატეგორიის მიხედვით

2012 წლიდან გზითსარგებლობის გადასახადის აკუმლირებით ბიუჯეტში შეტანილი თანხა,

პერმანენტულად იზრდება და წლების მიხედვით შეადგენდა:

2012 წელი - $ 6,4 მლნ , 2013 წელი - $ 6,6 მლნ; 2014 წელი - $ 6,8 მლნ; 2015 წელი - $ 15,2 მლნ; 2016 წელი - $ 8,5 $ მლნ; 2017 წელი - $ 10,3 მლნ; 2018 წელი - $ 12,6 მლნ; 2019 წელი - $ 19,2 მლნ; 2020 წელი (8 თვე) - $ 12.3 მლნ.

საქართველოს გზებზე წელიწადში ტრანზიტით მოძრავი სატვირთო ავტომობილების რაოდენობა 100 000 ერთეულიდან 240 000 ერთეულამდე მერყეობს.

საქართველოს გავლით ტრანზიტად გადაზიდული ტვირთის მოცულობა წელიწადში საშულაოდ დაახლოებით 2 მლნ-დან 5 მლნ. ტონის ფარგლებში მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მეზობლად არსებული **(ჩრდილოეთის და სამხრეთის)** სატრანსპორტო დერეფნებით ინტენსიურად ხდება ტვირთების მოზიდვა და მიმდინარეობს ახალი რეალობის შესაბამისი გადამაწილების პროცესი, იზრდება როგორც საწარმოო სიმძლავრეები ასევე გადამუშავებული ტვირთების ნომენკლატურა. აქედან გამომდინარე ***აუცილებელია რეგიონის მსხვილ მოთამაშეებს, შევთავაზოთ ახალი ტექნოლოგიებით და სიმძლავრეებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა და გავაძლიეროთ სატრანსპორტო სისტემის მუდმივი განვითარებით ქვეყნისთვის პრიორიტეტულად აღიარებული სატრანსპორტო დერეფნის გამტარუნარიანობა***

ტვირთნაკადების კლება ინფრასტრუქტურული პროექტების (მათ შორის ანაკლიის პორტის პროექტის) განუხორციელებლობის გარდა მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული. მათ შორის, ერთ ერთი მათგანია ***პორტებში კლიენტებში მომსახურეობის დაბალი დონე და ვაგონების დეფიციტი საქართველოს რკინიგზაზე***

აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზაა საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფნის გაციფროვნება, რისთვისაც საჭიროა სატრანზიტო დერეფანში ლოგისტიკის ციფრული პლატფორმის ფორმირება. ამით გაიზრდება ქვეყანაში სატვირთო გადაზიდვების ეფექტურობა და უზრუნველყოფილი იქნება მისი მდგრადობა..

საქართველოს სატრანზიტო დერეფნის მიმზიდველობისათვის აუცილებელია კონკურენტული სანავსადგურო მომსახურების ტარიფების მოქმედება

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები ხასიათდება ტარიფების მზარდი მაჩვენებლებით, კერძო ოპერატორებს შორის შეზღუდული კონკურენციის გამო, მიუხედავად ბოლო დროს ტვირთის გადამუშავების გაზრდილი სიმძლავრეებისა. ქართული ნავსადგურები გამოირჩევიან სიძვირით გემების მომსახურეობის ხარჯების მიხედვით შავი და მარმარილოს ზღვების აუზში არსებულ ნავსადგურებთან შედარებით.

მაღალი ტარიფები, სავაჭრო დისბალანსი და ნავმისადგომებზე ლოდინის ხანგრძლივი დრო წარმოადგენს ნავსადგურებში დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვის ხელისშემშლელ ფაქტორს

საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციონირების ერთ-ერთ ბარიერს წარმოადგენს ცალმხრივი სატარიფო შეღავათები:

კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნებიდან (ყაზახეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი) საქართველოს მიმართულებით, როგორც წესი, ტვირთნაკადების მოზიდვის მიზნით, მოქმედებს სპეციალური შეღავათები, გადაზიდვის სატარიფო პოლიტიკიდან გამომდინარე.

ამავე დროს, არ არის გათვალისწინებული შეღავათები, ტვირთების დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, შავი ზღვის პორტების ტერმინალებიდან, საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზების გავლით კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების მიმართულებით გადაზიდვის წახალისებისათვის. გარკვეულ ტვირთებსა და მიმართულებაზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაზიდვის ღირებულება 2–3 ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე იმავე ნომენკლატურის ტვირთის გადაზიდვა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. შესაბამისად, რთულია რევერსული ტვირთების პოვნა, გადაზიდვის ეფექტიანობის გასაზრდელად, რადგან არ არსებობს შესაბამისი, მოქმედი მექანიზმები, ტვირთნაკადების მოსაზიდად.

ასევე, საინტერესოა, თუ რატომ არჩევენ სავაჭრო კომპანიები ტვირთების მიწოდებას შავი ზღვიდან კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებში ვოლგა-დონის არხის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ საქონლის მიწოდება უფრო სწრაფად და იაფად უნდა იყოს შესაძლებელი შავი ზღვიდან ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ავღანეთსა და ჩინეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერმინალებისა და რკინიგზის გადმოყენებით?

პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: ***რადგან არ არსებობს შესაბამისი სატარიფო შეღავათები და, ზოგადად, არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა ტვირთნაკადების დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მოსაზიდად.***

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გადაზიდვის ცალმხრივი სატარიფო შეღავათების პრობლემის გადაწყვეტა ორმხრივი სატარიფო პოლიტიკის შემუშავებაშია. ეფექტიანობის გაზრდისათვის, დერეფანს ესაჭიროება გადაზიდვის ორმხრივი სატარიფო შეღავათების დაწესება. ეფექტიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებას ტვირთნაკადის ორმხრივი მოძრაობა ესაჭიროება. ***იმისთვის, რომ მოვიზიდოთ დამატებითი მოცულობები და გაიზარდოს სატრანსპორტო დერეფნების (ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტისა და ლაპის ლაზულის) მიმზიდველობა, აუცილებელია, შეიქმნას ერთიანი სატარიფო პოლიტიკა ორივე მიმართულებით და დაიგეგმოს შესაბამისი მარკეტინგული საკომუნიკაციო კამპანია.***

ევრაზიის ალტერნატიული დერეფნების გავლენა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალზე

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი შუა დერეფანი (Middle Corridor), რომელიც მოიცავს ცენტრალური აზია-კავკასიის სატრანსპორტო დერეფნებს, წარმოადგენს ევროპა-აზიის სატრანსპორტო მარშრუტის ნაწილს.

გეოგრაფიულად **შუა დერეფანი (Middle Corridor),** რომელიც მოიცავს ცენტრალური აზია-კავკასიის სატრანსპორტო დერეფნებს, წარმოადგენს ევროპა-აზიის სატრანსპორტო მარშრუტის ნაწილს. 2017 წლის მონაცემებით, ევროპასა და აზიას შორის გადაზიდული კონტეინერების (TEU) მოცულობა დაახლოებით 22 მილიონს შეადგენს. აქედან 15 მილიონი TEU ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით გადაიზიდება და 7 მილიონი – ევროპიდან ჩინეთისკენ. აღნიშნული ტვირთის მოცულობის (ტონებში) 97 პროცენტი და ამ ტვირთების ღირებულების 70 პროცენტი გადაიზიდება საზღვაო ტრანსპორტის მეშვეობით. ავიატრანსპორტით გადაიზიდება ტვირთების მოცულობის მხოლოდ 2 პროცენტი, რაც გადაზიდული ტვირთის ღირებულების 28 პროცენტს შეადგენს.

სარკინიგზო ტრანსპორტის წილი აღნიშნულ სატრანსპორტო დერეფანში გადაზიდული მოცულობის მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენს, ხოლო მისი წილი გადაზიდული ტვირთის ღირებულებიდან მხოლოდ 2 პროცენტია. **აღნიშნული სარკინიგზო გადაზიდვა ხდება ევრაზიული ეკონომიკური კორიდორის (EAEC) გავლით,** საიდანაც დაახლოებით 70 პროცენტი პირდაპირ ჩინეთი-რუსეთის კორიდორით გადაიზიდება, ხოლო 30 პროცენტი ჩინეთი-ყაზახეთი-რუსეთის გავლით. ჯერჯერობით **შუა დერეფნის გავლით ტვირთების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა მოძრაობს.**

აზია-ევროპის სარკინიგზო გადაზიდვების კონკურენტული უპირატესობა გადაზიდვის სისწრაფეში მდგომარეობს. მაშინ როცა საზღვაო გადაზიდვას ჩინეთის პორტებიდან ევროპამდე 35 დღე სჭირდება, სარკინიგზო ტრანსპორტის გადაზიდვის დრო მხოლოდ 14 დღეს შეადგენს. სამაგიეროდ, სარკინიგზო გადაზიდვის ღირებულება დაახლოებით სამჯერ მეტია, ვიდრე საზღვაო გადაზიდვის

აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს სამომავლოდ სატრანსპორტო სახეობებისა და მარშრუტების შერჩევაში და დიდი ალბათობით მაღალი ღირებულების საქონლისთვის სწრაფი და უსაფრთხო მარშრუტების გადაზიდვების წილი გაიზრდება.

შუა დერეფნის კონკურენტუნარიანობის ძირითად ხელის შემშლელ პირობას მისი სიძვირე და არასანდოობა წარმოადგენს. მაგალითად საკონტეინერო სარკინიგზო გადაზიდვებში შუა აზიიდან ევროპის მიმართულებით შუა დერეფანი დაახლოებით 22 პროცენტით ძვირია და 50 პროცენტით ხანგრძლივი, ვიდრე EAEC-ის მარშრუტი.

შუა დერეფნის უმთავრეს გამოწვევას კასპიის ზღვაზე საბორნე მომსახურების სიძვირე, ასევე საქართველოს შავი ზღვის პორტების დაბალეფექტიანობა და არასანდოობა წარმოადგენს. მაგალითად, ბოლო წლებში უამინდობის გამო საქართველოს პორტები წელიწადში საშუალოდ 2 დან 3 თვის განმავლობაში არ ფუნქციონირებდნენ, რამაც დერეფნის საიმედოობაზე ნეგატიური გავლენა იქონია და გარკვეულწილად ხელი შეუწყო ტვირთის გადამისამართებას სხვა სატრანსპორტო დერეფნებში.

შუა დერეფნის სიძვირე გამოწვეულია ინფრასტრუქტურული და საზღვრის კვეთის პროცედურული ბარიერებით და დერეფნის ოპერირების დაბალეფექტიანობით. არასანდოობის უმთავრეს პრობლემას ტვირთების გადაზიდვის როგორც ფასის, ასევე დროის არაპროგნოზირებადობა წარმოადგენს.

იმისათვის, რომ შუა დერეფანმა გაზარდოს თავისი კონკურენტუნარიანობა, პირველ რიგში საჭიროა დერეფნის საზღვაო კავშირის გაუმჯობესება, რაშიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს. საპორტო ოპერაციების ეფექტიანობის ზრდის და მომსახურების ტარიფების შემცირების გარეშე შუა დერეფანს გაუჭირდება კონკურენცია გაუწიოს როგორც **ჩრდილოეთის მარშრუტს (EAEC),** ასევე

სამხრეთის მარშრუტსაც აღმოსავლეთ აზიიდან ცენტრალურ აზიამდე, ირანის გავლით.

შავი ზღის პორტების პარალელურად საჭიროა შუა დერეფნის შემადგენლობაში შემავალ კასპიის ზღვის პორტებში ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება პორტების გამტარუნარიანობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ასევე, მნიშვნელოვანია კასპიის ზღვაზე საბორნე და საკონტეინერო მომსახურების გაუმჯობესება, რისი მიღწევა როგორც ტარიფების, ასევე სატრანზიტო დროის შემცირებით იქნება შესაძლებელი.

უფრო სრულყოფილი და შემაჯამებელი ანალიზისათვის სასარგებლო იქნება იმ არსებული საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნის მოკლე დახასიათება და შედარება, რომლებითაც თანამედროვე ეტაპზე აზიის წყნარი ოკეანის სანაპიროზე განლაგებული ქვეყნები დასავლეთ ევროპის ატლანტიკის ოკეანისპირა განვითარებულ სახელმწიფოებს უკავშირდებიან

1. ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანი;
2. სამხრეთის საზღვაო დერეფანი;
3. ტრანსციმბირული სარკინიგზო სატრანზიტო დერეფანი;
4. სამხრეთის სახმელეთო სატრანსპორტო დერეფანი;
5. აბრეშუმის გზის, ანუ TRACECA-ს მულტიმოდალური ანუ შერეული ტიპის სატრანზიტო დერეფანი (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნები (*წყარო: ავტორი*)

	მარშრუტი	**უპირატესობები**	**ნაკლოვანებები**
ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანი	აზია-ჩრდილოეთყინულოვანი ოკეანის აუზი-ჩრდილოეთ ევროპა (სკანდინავიის ქვეყნები)	მოკლე მანძილი, მცირე დრო და გადატვირთვის პორტების სიმცირე	სეზონურობა, ტექნიკური ბარიერების მაღალი დონე, მაღალი ტარიფები და საოპერაციო პროცედურების სირთულე
სამხრეთის საზღვაო დერეფანი	აზია-ხმელთაშუა ზღვის აუზი-ჩრდილოეთ ევროპა	უსაფრთხოება, დაბალი ტარიფები და დაფარვის მასშტაბები	შორი მანძილი, დიდი სატრანზიტო დრო და სეზონურობა
ტრანსციმბირული სარკინიგზო სატრანზიტო დერეფანი	ევროპა -რუსეთი (განშტოებები: ყაზახეთი-ჩინეთი; მონღოლეთი -ჩინეთი; კორეა) - იაპონია	სატრანზიტო დრო, არ გააჩნია სეზონურობა, ერთი სატრანზიტო ქვეყანა და ერთი საბაჟო პროცედურა	შორი მანძილი, კორუფციის მაღალი დონე , ტექნიკური შეუთავსებლობა და გადატვირთვის საოპერაციო სირთულე
სამხრეთის სახმელეთო დერეფანი	აღმოსავლეთ ევროპა - თურქეთი- ირანი (განშტოებები: შუა აზია- ჩინეთი; სამხრეთ აზია - სამხრეთაღმოსავლეთ აზია- სამხრეთ ჩინეთი)	არ გააჩნია სეზონურობა	გაუმართავი სატრანზიტო ინფრასტრუქტურა; საზღვრის გადაკვეთის ინსტიტუციონალური გაუმართაობა; პოლიტიკური არასტაბილურობა; ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების დაცვის დაბალი დონე; ლოგისტიკური მომსახურეობის დაბალი დონე; არაპროგნოზირებადი და ცვალებადი ტარიფები; დაუხვეწავი საოპერაციო პროცედურები
აბრეშუმის გზის, ანუ TRACECA-ს მულტიმოდალური ანუ შერეული ტიპის სატრანზიტო დერეფანი	აღმოსავლეთ ევროპა-შავი ზღვა-სამხრეთ კავკასია-კასპიის ზღვა-შუა აზია-ჩინეთი	უმოკლესი მანძილი, მცირე სატრანზიტო დრო	მულტიმოდალური/ შერეული ტიპის გადაზიდვა; გადაზიდვის საოპერაციო სირთულე; გამჭოლი ტარიფების არარსებობა; შეთანხმებული საერთო საბაჟო პროცედურების არარსებობა; საერთო შეთანხმებული სატრანსპორტო/ საზღვრის გადაკვეთის რეგულაციების არარსებობა; ტექნიკურ-ლოგისტიკური მომსახურეობის დაბალი დონე

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საქართველოს სატრანზიტო დერეფნის განვითარების პერსპექტივები. დამატებითი სატრანსპორტო ნაკადების მოზიდვისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების (მათ შორის ლოგისტიკური ცენტრის) მშენებლობის პერსპექტივა

ქართულ ბაზარზე საერთაშორისო მიმწოდებლებისა და საცალო ვაჭრობის კომპანიების შემოსვლამ გაზარდა მოთხოვნა ხარისხიან ლოგისტიკურ სერვისებზე.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ლოგისტიკური მომსახურების ხარისხი ჩამორჩება ლოგისტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ისეთ სექტორებს, როგორებიცაა საცალო ვაჭრობა და დისტრიბუცია. მიუხედავად ამისა, ქართული ლოგისტიკის სექტორის ძირითად საქმიანობად რჩება ტრადიციული, ე.წ. „მეორე მხარის ლოგისტიკა" (2PL), კერძოდ კი, ისეთი სერვისები, როგორებიცაა ტვირთების გადაზიდვა და მარტივი სასაწყობო ოპერაციები.

საქართველოში მოქმედი მწარმოებლებისა და საცალო მოვაჭრეების უმეტესობა არ იყენებს მასშტაბზე დაფუძნებულ და სპეციალიზირებულ მომსახურებას, რომელსაც „მესამე მხარის ლოგისტიკა" (3PL) უზრუნველყოფს.

3PL მესამე მხარის ლოგისტიკა არის მომსახურება, რომელიც მოიცავს სრულ ლოგისტიკურ მომსახურებას: გადაზიდვა, დასაწყობება, გადატვირთვა, დოკუმენტაციის მომზადება და სხვა.

განუვითარებელი ლოგისტიკური გარე მომსახურების შესყიდვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია 3PL მომსახურების მიმწოდებლების ნაკლებობა, ასევე, კომპანიებში გარე მომსახურების შესყიდვის პროექტების მართვის შეზღუდული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

საქართველოსთვის, როგორც რეგიონალური ლოგისტიკური ჰაბისთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივ და რეგიონალურ მიწოდების ჯაჭვებში დამატებული ღირებულების მომსახურებების (VAS) ინტეგრაცია. დამატებული ღირებულების მომსახურებების ინტეგრაცია საქართველოს საშუალებას მისცემს ტრანზიტული გადაზიდვებიდან უფრო მეტი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს.

ქართული კომპანიების ლოგისტიკური ხარჯები მთლიანი ხარჯების საშუალოდ 15-20%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ ნიშნულს. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში სამომხმარებლო საქონლის წარმოების საშუალო ლოგისტიკური ხარჯები მიღებული შემოსავლების 5%-ს შეადგენს, საავტომობილო მრეწველობაში - 4%-ს, ხოლო ელექტროაპარატურის წარმოებაში - 6%-ს.

გადაზიდვების და დისტრიბუციის გაზრდილ ხარჯებს საქართველოში განაპირობებს კონსოლიდაციისა და დეკონსოლიდაციის ოპერაციების დეფიციტი, ლოგისტიკური აქტივების დაბალი მწარმოებლობა და მოძრავი შემადგენლობების არაეფექტური გამოყენება. მაღალი ლოგისტიკური ხარჯების კიდევ ერთი მიზეზია მაღალი სასაწყობო დანახარჯები, რაც მიწოდების ჯაჭვის მართვის არადამაკმაყოფილებელი პრაქტიკის შედეგია.

ლოგისტიკური ცენტრის საშუალებით შესაძლებელი გახდება საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლის გაძლიერება კავკასიის რეგიონში. მსგავსი ინფრასტრუქტურის არსებობა ბიძგს მისცემს მსხვილ საერთაშორისო ლოგისტიკურ კომპანიებს, დაიწყონ თანამედროვე სტანდარტებით აქტიური ოპერირება საქართველოში. აქამდე არსებობდა მრავალი პროექტის დაწყების მცდელობა, რაც მიზნად ისახავდა ლოგისტიკური ცენტრების ინტეგრირებას მშრალი პორტის ფუნქციით თბილისის რეგიონში. თუ კონტეინერის დატოვება კოორდინირებულია საზღვაო კომპანიებთან (ან იმართება მათი სახელით), თავიდან იქნება აცილებული კონტეინერის ცარიელ მდგომარეობაში დაბრუნება. ამით შესაძლებელია საერთაშორისო გადაზიდვის ხარჯების შემცირება და ტვირთის დაჯგუფების გამოყენების ზრდა დასავლეთ საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ამ ნაკადების მოზიდვის პოტენციალი შეიძლება გაძლიერდეს, თუ ლოგისტიკური ცენტრი ინტეგრირებული იქნება აეროპორტთან წვდომით. ასეთ პროექტებს უნდა მიენიჭოთ შეუზღუდავი წვდომა საბაზისო ინფრასტრუქტურასთან, თუ ისინი შესაბამისობაში იქნება საქართველოში მოქმედ წესებთან.

საქართველოში ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობით და განვითარებით ხელი შეეწყობა ლოგისტიკური მომსახურების, მათ შორის დამატებითი ღირებულების სერვისების განვითარებას, გაზრდის ქვეყნის სატრანზიტო და ლოგისტიკურ პოტენციალს, ასევე წაახალისებს ექსპორტს. გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და ქვეყანა მიიღებს დამატებით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის განხორციელების ხელშეწყობის პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ითვალისწინებს

საქართველოში ლოგისტიკის დარგის განვითარებას. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტის შესაბამისად შერჩეულ იყო ორი ლოკაცია - ერთი აღმოსავლეთ საქართველოში, სოფელ კუმისთან და მეორე დასავლეთში, ქუთაისის აეროპორტის მიმდებარედ. ასევე მომზადდა თითოეული ლოგისტიკის ცენტრის კონცეპტუალური დიზაინი, ბიზნესმოდელი, გაკეთდა ბაზრის ანალიზი, სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ოპერირების ოპტიმალური მოდელი, განისაზღვრა დასაქმებულთა რაოდენობა და საჭირო კვალიფიკაცია.

მიმდინარე წლის აპრილში დაანონსდა თბილისში მშრალი პორტის, ანუ მშრალი ტვირთის შენახვაზე გათვლილი სასაწყობე/ლოგისტიკური ცენტრის ამოქმედება 27 მილიონიანი სავარაუდო ინვესტიციით. პროექტის კონცეფცია მოიცავს მშრალი პორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას საკონტეინერო, სარკინიგზო, საავტომობილო და სასაწყობო მიმართულებებით და პორტი მოემსახურება როგორც საქართველოს, აგრეთვე მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონს და გადაიქცევა რეგიონის ლოგისტიკურ ცენტრად. პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში ლოგისტიკური მიმართულების განვითარებას, მისი მეშვეობით საგრძნობლად განიტვირთება ცენტრალური ავტომაგისტრალი და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციაზე ანაკლიის პორტის მშენებლობის დადებითად გადაწყვეტის მოსალოდნელი გავლენა

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საქართველოს პორტებში შემოვიდეს დიდი ზომის გემები. დღეისათვის ტვირთის მისაღებად ფოთში ან ბათუმში, პირველ რიგში ეს ტვირთი უნდა იქნეს ჩატანილი სტამბულში, ჩამოიტვირთოს პროდუქტი პატარა გემზე და იმ პატარა გემით მიტანილი იქნეს ფოთის ან ბათუმის პორტამდე. ქართული პორტების კონკურენტუნარიანობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოში შესაძლებელი იქნება დაახლობით ისეთი დიდი ზომის გემების შემოსვლა , როგორიც, მაგალითად, უკრაინაში შედის. მაგალითად, ჩინეთიდან მიმავალი დიდი გემი პირდაპირ შედის ოდესის პორტში, რისი განხორციელებაც დღეისათვის ქართულ პორტებში შეუძლებელია.

იმის გამო, რომ საქართველოს პორტებში დიდი გემი ვერ შემოდის,დამატებითი გადატვირთვა სხვა ქვეყნის პორტებში და შემდეგი ტრანსპორტირება ქართულ პორტებამდე დამატებითი ხარჯია და შესაბამისად, გადაზიდვის ღირებულება ფოთამდე ან ბათუმამდე ძვირდება".

თუ საქართველოს პორტები დიდი ზომის გემების მიღებას შეძლებს, ეს გადაზიდვის პროცედურასაც გაამარტივებს და ხარჯებსაც შეამცირებს.

თუკი სამომავლოდ აღნიშნული პრობლემა მოგვარდება, საქართველოს, როგორც ტრანზიტული რეგიონის, პოტენციალი გაიზრდება. ქართულ გადამზიდავ კომპანიებს კი მეტი დატვირთვით მოუწევთ მუშაობა, რაც მათ კიდევ უფრო მეტ ფინანსურ სარგებელს მოუტანს.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარების საშუალებას სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ სარგებელთან ერთად წარმოადგენს საწართველოში ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა.

ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა შექმნის ხელსაყრელ პირობებს მიმდებარე ტერიტორიაზე ლოგისტიკური ცენტრებისა და ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის. ახალი პორტის მშენებლობა დამატებითი ღირებულების მომსახურების განვითარების საშუალებას იძლევა, რაც დიდად გაზრდის ტვირთბრუნვას საქართველოს ტერიტორიაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროექტს ექნება დიდი პოზიტიური სოციალურ-ეკონომიკური გავლენა დასავლეთ საქართველოში, რამდენადაც შეიქმნება ათასობით ახალი სამუშაო ადგილი.

ანაკლიის ნავსადგურს ექნება შემდეგი უპირატესობები:

1. სტრატეგიული მდებარეობა;
2. შესაძლებლობა მიიღოს დიდი ზომის გემები (მათ შორის პანამაქსი);
3. მომსახურების მიღება „ერთი გაჩერების" პრინციპით;
4. სწრაფი და მარტივი პროცედურები;
5. წლის ნებისმიერ პერიოდში უსაფრთხო ნაოსნობის შესაძლებლობა

პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 2,5 მილიარდ დოლარს, სახელმწიფო ინვესტორს გრძელვადიანი იჯარით გადასცემს 1000 ჰექტარ მიწის ნაკვეთს და უზრუნველყოფს პორტთან დამაკავშირებელი გზისა და რკინიგზის მშენებლობას

ნავსადგურის წლიური გამტარუნარიანობა საბოლოო ჯამში მიაღწევს 100 მილიონ ტონა ტვირთს. სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სტატუსის მინიჭებას პორტის მიმდებარე ტერიტორიისთვის.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პორტის სიღრმე 20,5 მეტრი იქნება(ბათუმში – 14 მეტრი, ფოთში – 8,5 მეტრი), რაც საშუალებას მისცემს მას, მიიღოს 10,000 კონტეინერიანი (TEU) პანამაქსის (4000-7000 TEU) და „პოსტ პანამაქსის" (7000-13000 TEU) ტიპის გემები

ანაკლიის პორტი მოემსახურება ბაზრებს კავკასიის რეგიონში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), 17-მილიონიანი მომხმარებლით, ცენტრალურ აზიაში (ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი) და ჩრდილოეთ ირანში, ჯამში 147 მილიონი ადამიანით.

ბოლო პერიოდში როგორც ექსპერტთა შორის, ასევე კერძო და სამთავრობო სტრუქტურებში მიმდინარეობს დისკუსია, იმის თაობაზე, ესაჭიროება თუ არა საქართველოს ორი „ღრმაწყლოვანი" ნავსადგური. აუცილებელია მკაფიოდ განიმარტოს რამდენად შესაძლებელია, ფოთმა იტვირთოს „ღრმაწყლოვანი" ნავსადგურის ფუნქცია და რა ტექნიკურ პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს ღრმაწყლოვანი ნავსადგური.

ფოთის ნავსადგურის შესასვლელი არხის სიღრმე, რომელიც ინტენსიური დასილვით ხასიათდება, შეადგენს 13 მეტრს, აღნიშნული სიღრმის შენარჩუნება - ფსკერის გასაღრმავებელი რეგულარული სამუშაოებით ნარჩუნდება. ამჟამად, ნავსადგური იღებს მაქსიმუმ 10.5 მ - მდე წყალშიგის, 240 მ - მდე სიგრძის 35 მ - მდე სიგანის გემებს. შედარებისათვის ნოვოროსიისკის და ოდესის ნავსადგურში 10 000 TEU ტევადობის გემების პარმეტრები მნიშვნელოვანად აღემატება ფოთის არსებულ პარამეტრებს 12.7მ – 316მ – 45მ.

ფოთის ნავსადგურის ჩრდილოეთით გაფართოების პირობებში, ახალ აკვატორიაში შესაძლებელი იქნება მსხვილტონაჟიანი გემების მაქსიმალური საპროგნოზო 50 000 ტონა დედვეიტის მიღება, შეარებისათვის ოდესის ღრმაწყლოვან ნავსადგურმა 2018 წელს 117 000 ტონა დედვეტის CASCO Shiping PANAMA კონტეინერმზიდი მიიღო. თუნდაც გემების ამ მახასიათებლებით ფოთის ნავსადგური ვერ იქნება „ღრმაწყლოვანი". გარდა ამისა ახალი ნავსადგურის აკვატორია რომლის ფართობი 17.5 ჰექტარია, 270 მეტრზე გრძელი გემის წრიულად შემობრუნება დაუშვებელია.

რამდენად შესაძლებელია, ფოთის ნავსადგურის ახალ აკვატორიაში, დაღრმავებითი სამუშაოების განხორციელების შედეგად ნავსადგური გახდეს „ღრმაწყლოვანი"?

სასურველი სიღრმეების მიღწევა, რითაც ფოთის ნავსადგური შეძლებს, „ღრმაწყლოვანი" ნავსადგურებისათვის დამახასიათებელი წყალწყვის გემებას მიღებას, მუდმივად მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, გარდა ამისა სათუოა რამდენად შესაძლებელი იქნება არსებული ხელოვნური ნაგებობების ირგვლივ დაღრმავება და ამ ნაგებობების მდგრადობის შენარჩუნება, გასათვალისწინებელია სირთულეები - გემების მანევრირებისას და საბუქსირე უზრუნველყოფისას.

ფოთის ახალი ნავსადგური შიდა აკვატორიის 17.5 ჰექტარ ფართობს იკავებს, სადაც ჭარბობს 4-6 მეტრის სიღრმეები, იმისათვის, რომ არ დაირღვეს მომიჯნავე ჰიდროტექნიკური ნაგებობების სიმტკიცე და მიღწეული იქნეს 13 მეტრიანი დაღრმავება, აუცილებელია აკვატორიის დაახლოებით 10 ჰექტარ ფართობზე დაღრმავებითი სამუშაოების განხორციელება. ბუნებრივია, მაქსიმუმ 13-მეტრიანი დაღრმავება ვერ ჩაითვლება „ღრმაწყლოვანი" ნავსადგურისათვის მისაღებ კრიტერიუმად, როდესაც ნოვოროსიისკის და ოდესის ნავსადგურებში 17 – 21 მეტრამდე მერყეობს დაღრმავების მაჩვენებელი.

ფოთის არსებული ნავსადგურის ინტენსიური დასილვის პირობებში, იმისათვის, რომ შენარჩუნებული იქნეს საპასპორტე 13-მეტრიანი სიღრმე, აუცილებელია წელიწადში საშუალოდ 700 000 მეტრ კუბი მიწის ამოხაპვა (1 მეტრ კუბის ამოხაპვის ღირებულება 3 აშშ დოლარია). ინტენსიური დასილვის პირობებში 13 მეტრამდე საპროექტო ნიშნულის მისაღწევად, მხოლოდ ნავსადგურის საკუთრებაში მყოფი მიწა ხაპია „ნიკო ნიკოლაძის" გარდა, აუცილებელი იქნება პარალელურ რეჟიმში დამატებითი მიწახაპიის დაქირავება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ფინასურ დანახარჯებს. ამ პარამეტრებიდან გამომდინარე, მუდმივად მზარდი დანახარჯების პარალელურად, წარმოუდგენელია ფოთის ნავსადგური აღმოჩნდეს - „ღრმაწყლოვანი"

გამომდინარე იქიდან, რომ ფოთის ნავსადგურმა თავისი ტექნიკური მაჩვენებლებით, შესაძლოა ვერ შეასრულოს „ღრმაწყლოვანის" ფუნქცია, ანაკლიის ნავსადგურთან მიმართებით რომელ „ნიშაში" შეესაძლოა დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი?

აქ გადამწყვეტია ქვეყნის სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოს არ გააჩნია. სატრანსპორტო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტში უნდა იქნეს გაწერილი, ფოთის და ანაკლიის ნავსადგურების როლი და ადგილი ტვირთნაკადების გადანაწილების ერთიან სქემაში, რომელიც უპირველს ყოვლისა მიმართული უნდა იქნეს, არსებულ ნავსადგურებს შორის ტვირთების ოპტიმალურ გადანაწილებაზე.

პირველ რიგში - ფოთის ნავსადგურმა, სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს რუსეთ - უკრაინას შორის არსებული დაპირისპირება. კერძოდ, რუსეთზე გამავალი ვოლგა - დონის სამდინარო არხით მცურავი გემებისათვის რომელთა ტვირთნაკადი ევროპაში, უკრაინის ნავსადგრებიდან მიემართებოდა, მოაწყოს „ზღვა - მდინარე" ბრტყელდონიანი გემების მისაღებად სათანადო ინფრასტრუქტურა. ასეთ ვითარებაში, იმ ტვირთნაკადმა , რომელმაც, ჩვენი დერეფნით - ხმელეთით ვერ გაიარა, ირიბად მაინც ფოთის ნავსადგურში აღმოჩნდება.

მეორე - თუ ანაკლიის ნავსადგური, ძირითადად, აქცენტირებული იქნება ჩინეთის ნავსადგურებიდან (შანხაი, ლიუნანგანი და ა.შ.) 8 000 - 10 000 TEU წყალწყვის გემებით პირდაპირი მიმართულებით - საზღვაო გადაზიდვებზე, რადგანაც, ჩინეთიდან 3 000 - 4 000 TEU იანი გემების ევროპაში გაგზავნა ეკონომიკურად არარენტაბელურია, ფოთის ნავსადგურმა, გაფართოების შედეგად, საპროგნოზო ტექნიკური პარამეტრების შესამაბამისად, აუცილებელია გაზარდოს კონტეინერმზიდების დატვირთვიანობა 1 500 TEU დან 3 000 – 4 000 TEU მდე, რითაც შესაძლებელი იქნება მნიშვნელოვნად შეამციროს ტარიფები და გაზარდოს რენტაბელობა.

ასევე, გვინდა მოკლე მოსაზრება გამოვთქვათ პროექტის სახელწოდების შერჩევასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია რომ აღნიშნული პორტისათვის ძველი „ლაზიკის" ნაცვლად „ანაკლიის" სახელწოდების გამოყენება პოლიტიკურად და სტრატეგიული უსაფრთხოების კუთხით უფრო მიზანშეწონილია, თუ გავითვალისწინებთ აფხაზეთის და ე.წ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილის სეპარატისტული მიზნებისათვის გამოყენების მძიმე მაგალითს

საქართველოს სატრანზიტო დერეფნის პერსპექტივებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის** შეფერხების ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი გვერდითი უარყოფითი ეფექტი:

საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის სატრანზიტო ფუნქცია შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს, ასევე შესაძლოა მომიჯნავე სატრანსპორტო დარგებმა, რეგიონში დათმონ სატრანზიტო დერეფნისათვის ძირითადი, საყრდენ სატრანსპორტო რგოლებად გახდომის ფუნქცია და იგი მეზობელი ქვეყნების და კონკურენტი დერეფნების ნავსადგურებმა გადაინაწილონ.

დასკვნა

• საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

• თუ კავკასიის სატრანზიტო დერეფანი (CTC) გახდება 10 პროცენტით იაფი ტრანზიტის დრო შემცირდება ერთი კვირით და საიმედოობა გაიზარდება კასპიის ზღვის გადაკვეთისას, დერეფანი შეიძლება გახდეს გაცილებით მიმზიდველი და კონკურენტული ალტერნატივა, რაც უზრუნველყოფს გაცილებით მეტ სატრანზიტო გადაზიდვას და ხელს შეუწყობს ექსპორტი-იმპორტის ხარჯების შემცირებას საქართველოში

• სატრანზიტო პოტენციალის განვითარებისთვის. აუცილებელია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა - რეაბილიტაციის, რკინიგზის მოდერნიზაციისა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტების დროული განხორციელება.

• აუცილებელია რეგიონის მსხვილ მოთამაშეებს, შევთავაზოთ ახალი ტექნოლოგიებით და სიმძლავრეებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა და გავაძლიეროთ სატრანსპორტო სისტემის მუდმივი განვითარებით ქვეყნისთვის პრიორიტეტულად აღიარებული სატრანსპორტო დერეფნის გამტარუნარიანობა

• აუცილებელია გაგრძელდეს ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაზე, გაზრდის საქართველოს როლს რეგიონში და აქცევს მას ლოგისტიკურ ჰაბად.

• **სატრანსპორტო სისტემების სრულყოფა** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვებისა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის გზით;

• **აუცილებელია** გაგრძელდეს მუშაობა ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში (TEN-T) საქართველოს სატრანსპორტო სისტემების ინტეგრაციაზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების TEN-T-ის საინვესტიციო გეგმის შესრულების გზით.

• ლოგისტიკური ცენტრის საშუალებით შესაძლებელი გახდება საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლის გაძლიერება კავ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კასიის რეგიონში. მსგავსი ინფრასტრუქტურის არსებობა ბიძგს მისცემს მსხვილ საერთაშორისო ლოგისტიკურ კომპანიებს, დაიწყონ თანამედროვე სტანდარტებით აქტიური ოპერირება საქართველოში.

• თბილისსა და ქუთაისში თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრების განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის გაზრდას

• **ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის სრულად ამოქმედებამ** მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს აზიასა და ევროპას შორის ტვირთების გადაზიდვისთვის საჭირო დროის შემცირებაში და შესაბამისად ქვეყნის გავლით დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვაში.

• **ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის** სარკინიგზო ხაზის გახსნის პარალელურად აუცილებელია დამატებითი ტვირთების მოზიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, გაიყოს სატრანზიტო ტვირთბრუნვა და ტვირთების გარკვეულმა რაოდენობამ გადაინაცვლოს ახალ მიმართულებაზე, რაც ბუნებრივად გამოიწვევს ფოთისა და ბათუმის ისევე როგორც ყულევის პორტებში ტვირთბრუნვის შემცირებას.

• აუცილებელია სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გაგრძელდეს **საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია** და რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება.

• საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფნის გაციფროვნების მიზნით საჭიროა სატრანზიტო დერეფანში ლოგისტიკის ციფრული პლატფორმის ფორმირება, რაც გაზრდის ქვეყანაში სატვირთო გადაზიდვების ეფექტურობას და უზრუნველყოფს მის მდგრადობას.

• სატრანზიტო დერეფნის წინაშე არსებული გამოწვევების აღმოფხვრისა და შემდგომ გაუმჯობესებისათვის უნდა.განხორციელდეს საქართველოსა და შავი ზღვის ქვეყნებს შორის საბორნე და საკონტეინერო მიმოსვლის განვითარება.

• საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის და ლოგისტიკური პოტენციალის სრულად ასათვისებლად უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო და რეგიონების დამაკავშირებელი საავტომობილო გზების მშენებლობა.

• საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტად მოძრავი სატვირთო ტრანსპორტისათვის დაწესებული გზითსარგებლობის 200 ლარიანი გადასახადი, ($ 64-ის ექვივალენტი) ევროპულ ქვეყნებთან მიმართებაში, არის მოუქნელი, რადგანაც არ ითვალისწინებს, ავტომანქანის ეკოლოგიურ მდგომარეობას; არ არის დივერსიფიცირებული, წონის ნორმის და გზის გატეგორიის მიხედვით, რაც რიგ გადამზიდავებს არასამართლიან მდგომარეობაში აყენებს; პრობლემის დარეგულირების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, გადასახადის დაწესება გავლილი მანძილის, წონის და გზის კატეგორიის მიხედვით.

• საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის განსავითარებლად საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგურში უნდა განხორციელდეს სამთავრობო სერვისების გაციფროვნება და ერთი ონლაინ პლატფორმის ქვეშ გაერთიანება რაც ხელს შეუწყობს ტვირთების გამტარუნარიანობის გაზრდას ნავსადგურებში და ასევე საქართველოს ნავსადგურებს მისცემს შესაძლებლობას, წინასწარ დაგეგმონ ტვირთნაკადები სახაზო/რეგულარული მიმოსვლის გემებისათვის და ასევე ტვირთების კატეგორიებისა და მოცულობის მიხედვით.

• სომხეთს, აზერბაიჯანს და რუსეთს შორის 2020 წლის ახალი შეთანხმებით გაუმჯობესდება მონაწილე მხარეთა ეკონომიკური პრობლემები, თუმცა **შეიძლება საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი ნაწილობრივ შეასუსტოს. ამიტომ საქართველოსთვის აუცილებელია სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტების სწრაფი დასრულება და ამოქმედება.**

• ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის შეფერხების ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი გვერდითი უარყოფითი ეფექტი იქნება საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის სატრანზიტო ფუნქციის მნიშვნელოვანი შემცირება. ასევე შესაძლოა მომიჯნავე სატრანსპორტო დარგებმა, რეგიონში დათმონ სატრანზიტო დერეფნისათვის ძირითადი, საყრდენ სატრანსპორტო რგოლებად გახდომის ფუნქცია და იგი მეზობელი ქვეყნების და კონკურენტი დერეფნების ნავსადგურებმა გადაინაწილონ.

• საქართველოსთვის, როგორც რეგიონალური ლოგისტიკური ჰაბისთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივ და რეგიონალურ მიწოდების ჯაჭვებში დამატებული ღირებულების მომსახურებების (VAS) ინტეგრაცია. დამატებული ღირებულების მომსახურებების ინტეგრაცია საქართველოს საშუალებას მისცემს ტრანზიტული გადაზიდვებიდან უფრო მეტი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს.

REFERENCES:

1. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, Department of Transport and Logistics Development, http://www.economy.ge;

2. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, National Transport and Logistics Strategy of Georgia for 2021-2030, http://www.economy.ge;

3. Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, Regional Development - Roads, projects in the regions, https://mrdi.gov.ge/en;

4. Roads Department, 2018-2024 projects, current, completed and future projects, http://www.georoad.ge;

5. USAID, 2017, Strengthening the Public-Private Sector Dialogue Platform in Parliament Research Report: Transportation and Logistics in Georgia: Key Challenges and Development Perspectives USAID Governance for Development, USAID Project Governance for Development. « Deloitte Consulting ", www.usaid.gov;

6. National Statistics Office of Georgia, 2021, Foreign Trade of Georgia 2021. January-April (preliminary), www.geostat.ge;

7. Poti Seaport, 2021, APM TERMINALS, Poti - News - https://www.apmterminals.com/poti;

8. World Bank, 2014, https://www.worldbank.org/en;

9. Georgian Railway., 2021, Georgian Rail Transportation Tariffs, http://www.railway.ge/en;

10. Government of Georgia, 2020, Socio-Economic Development Strategy of Georgia, gov.ge;

11. Georgian Railway, 2019 Infrastructure, Projects - Anaklia, http://www.railway.ge/en;

12. Maritime Transport Agency of Georgia, ports - http://mta.gov.ge/?lng=eng;

13. ADB, 2014-2018, Sector Assessment: Transport, www.adb.or;

14. Georgian Railway., Infrastructure, Statistics, http://www.railway.ge/en.

15. Veshapidze, S., Zubiashvili, T., (2020). About the Origins of Modern Geoeconomic Foundations of Georgia. Ecoforum Journal 9 (2).

16. Zubiashvili, T. and Veshapidze, S., 2019. Labour Emigration and Employment in Georgia. Humanities and Social Sciences Review, 9(01), pp.127-136.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

EARLY EFFECTS OF THE COVID-19 PANDEMIC ON THE REAL ESTATE MARKET IN GEORGIA



Natia Terterashvili
TSU Doctoral student
in the Faculty of Economics and Business
E-mail: natia.terterashvili467@eab.tsu.edu.ge

DOI suffix: 10.36962/NEC6102202158

ABSTRACT

The article analyzes the early effects of the COVID_19 pandemic on the Georgian real estate market. There are studies examining the impact of health deterioration and pandemic shocks on housing markets. Based on the analysis of the economic consequences caused by similar events in the past and the tools of state regulation in a crisis situation, parallels are drawn with the modern Covid pandemic. In studying the crisis situation in the real estate market, we also rely on the experience of the global financial crisis of 2007-2008, which is most often associated with the current situation. The research is mainly based on the data of the Georgian Public Registry on the real estate market, which is updated by months. The article also discusses the role and importance of government decision-making in the development business, which has helped the real estate market to some extent.

Crises are particularly damaging to the construction and real estate sectors, but we also expect that the real estate market will recover rapidly with the lifting of restrictions. This is based on the recent experience of Georgia, in particular, our simultaneous analysis of the results of the first wave of the COVID_19 pandemic. The situation was different during the crisis of 2007-2008, which was accompanied by war with Russia. Then the turn over of the construction sector decreased by 12% per year and it took about three years for the market to fully recover. At the same time, before 2008, the prices in the real estate market were very high, which confirmed the existence of a real estate "bubble". In modern conditions, it is difficult to talk about the existence of a "bubble", because before the pandemic real estate prices were balanced and stable. This fact allows for additional optimism.

The paper summarizes the main findings, identifies all the challenges the market are facing and also provides relevant recommendations for market participants.

Keywords: *COVID_19 pandemic, Real Estate, Crisis, development business, State regulations.*

COVID-19 პანდემიის ნაადრევი ეფექტები უძრავი ქონების ბაზარზე საქართველოში

ნათია ტერტერაშვილი,
თსუ ეკონომიკისა
და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
ტელ: 551-11-11-32;
ელ.ფოსტა:natia.terterashvili467@eab.tsu.edu.ge

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია COVID_19 პანდემიის ნაადრევი ეფექტები საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე. არსებობს კვლევები, რომლებიც შეისწავლის ჯანმრთელობის გაუარესებისა და პანდემიური შოკების გავლენას საბინაო ბაზრებზე. წარსულში მსგავსი მოვლენებით გამოწვეული ეკონომიკური შედეგებისა და კრიზისულ ვითარებაში სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების ანალიზის საფუძველზე, გავლებულია პარალელები თანამედროვე კოვიდ პანდემიასთან. უძრავი ქონების ბაზარზე არსე-

ბული კრიზისული ვითარების შესწავლისას ასევე ვეყრდნობით 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის გამოცდილებას, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად აკავშრებენ დღევანდელ ვითარებასთან. კვლევა ძირითადად ეყრდნობა საქართველოს საჯარო რეესტრის მონაცემებს უძრავი ქონების ბაზარის შესახებ, რომელიც თვეების მიხედვით ახლდება. სტატიაში ასევე განხილულია სამთავრობო გადაწყვეტილების როლი და მნიშვნელობა დეველოპერულ ბიზნესში, რომელიც გარკვეულწილად დაეხმარა უძრავი ქონების ბაზარს. სუბსიდირების პროგრამის დასრულების შემდგომ გამოქვეყნებული მონაცემები ცხადყოფს, რომ მთავრობის მიერ განხორციელებულ სუბსიდირების პროგრამას მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდა უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირებაში და ასევე გავლენა იქონია კრიზისის დროს სექტორის სტაბილიზაციაზეც.

სტატიაში დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია ძირითადი მიგნებები, გამოვლენილია გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას ბაზარი, და ასევე, გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები მასში მონაწილე მხარეებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19 პანდემია; უძრავი ქონება; კრიზისი; დეველოპერული ბიზნესი; სახელმწიფო რეგულაციები.*

შესავალი

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ახალი ვირუსი, სახელწოდებით COVID-19, პანდემიად გამოაცხადა. ვირუსმა სწრაფად მოიცვა 200-ზე მეტი ქვეყანა და გლობალურ საფრთხედ და გამოწვევად იქცა.

2021 წლის 20 მაისის მდგომარეობით საქართველოში აღწერილია სულ 334 705 ქეისი, საიდანაც 4 540 გარდაცვალების ფაქტი გვაქვს. გამოჯანმრთელებული კი 315 254 შემთხვევაა. მონაცემები ყოველდღიურად იზრდება, ჯანდაცვის სისტემა პარალიზებულია, ქვეყანაში კი მოქმედებდა მკაცრი შეზღუდვები, რომლის ნაწილი დღესაც არ გაუქმებულა **[20]**. როგორც ვხედავთ მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა.

არსებული ვითარების ანალიზისას, ხშირად იხსენებენ 2008 წლის ფინანსურ კრიზისს და მის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. სიმპტომები ერთი შეხედვით მსგავსია - ჩამოშლილი საფონდო ბირჟები, რეცესია, იაფი ნავთობი... თუმცა, კორონა-კრიზისი თვისებრივად მაინც სხვაა. პირველ რიგში, ეს ეხება რეცესიის გამომწვევ მიზეზებს. 2008 წლის კრიზისს წინ უძღვოდა ხელოვნურად გაიაფებული და ადვილად ხელმისაწვდომი ფული, რომელმაც მოკლევადიან პერიოდში წაახალისა ერთობლივი მოთხოვნა. თუმცა "ბუშტი" მალე გასკდა, უძრავი ქონების ბაზარი ჩამოიშალა და მთელი ფინანსური სისტემა თან ჩაიყოლა **[9]**. კრიზისის დასაწყისი დაკავშირებული იყო აშშ-ს უძრავი ქონების ბაზარზე ე.წ. სუბსტანდარტული იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან, რომელიც 2007 წლის ზაფხულის შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე. ამ ქვეყნებში ადგილობრივმა ფინანსურმა დისბალანსმა ხელი შეუწყო სუბსტანდარტულ აქტივებზე პირდაპირი დამოკიდებულების, აქტივების გარკვეული კლასების მიმართ ნდობის დაკარგვასა და ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდობის ამოწურვას **[1]**.

კრიზისი, რომელიც COVID-19-ის პანდემიამ გამოიწვია სრულიად განსხვავებულია. პანდემიის გავრცელებას წარმოების და ლოგისტიკის შეფერხება მოჰყვა, რამაც მიწოდების კრიზისი წარმოშვა. იძულებითმა იზოლაციამ და საყოველთაო კარანტინმა მკვეთრად შეამცირა მოთხოვნაც. ნავთობის ბაზარზე ფასები დაეცა და მსოფლიო ეკონომიკამ ორმაგი დარტყმა მიიღო. თუ საფინანსო სექტორს პრობლემები შეექმნება, კრიზისი თავის ყველაზე რთულ ფორმას მიიღებს. მოკლედ, წარსული ეკონომიკური კრიზისებისგან განსხვავებით, ამჯერად, ეკონომიკის დაავადებისგან პრევენცია დგას დღის წესრიგში.

ბუნებრივია, პანდემიის მიზეზით უძრავი ქონების ბაზარზე მდგომარეობა ყველგან გაუარესდა. ასეთ დროს ყურადღების ცენტრში მსოფლიოს პირველი ეკონომიკის – აშშ-ის ბაზარი მოექცა. ყველაზე კრიზისული თვეები მარტი, აპრილი და მაისი იყო. მსგავსად ამერიკისა, ყველაზე დიდი ვარდნა საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზეც აპრილში გვაქვს, რაც საქართველოს შემთხვევაში უკავშრდება საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ დადგენილებას სრული ლოქდაუნისა და იძულებითი იზოლაციის შესახებ.

ქვეყნების უმეტესობის ფისკალური პოლიტიკა ხასიათდება მხარდამჭერი ქმედებით მთავრობებისგან მცირე და საშუალო ბიზნესენისთვის, რადგან პანდემიამ კრიტიკულად იმოქმედა ბიზნესის ამ ნაწილზე, იაფი კრედიტები, გადასახადებისგან გა-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

თავისუფლება, საკრედიტო გარანტიები, ხელფასებისა და კომუნალური გადასახადების დაფინანსება, ერთჯერადი დახმარება უმუშევარი მოსახლეობის მხარდასაჭერად და ა.შ. ამ შეღავათებთან ერთად საქართველოს მთავრობა მიმართავს დეველოპერული სექტორის გაჯანსაღებისკენ მიმართულ ანტი კრიზისულ გეგმას, რომელიც სწორედ საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის საჭიროებებს პასუხობს და მისი საქმიანობის ხელშეწყობისაკენ არის მიმართული. რადგან საქართველოს ეკონომიკაში საცხოვრებელ უძრავ ქონებას მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, შესაბამისად საინტერესოა ამ კუთხით გატარებული რეფორმების შედეგი.

ლიტერატურის ანალიზი

COVID პანდემია ერთადერთი არ არის პანდემიათა შორის, რომელიც კაცობრიობას გადაუტანია, შესაბამისად, არსებობს კვლევები, რომლებიც ეხება ჯანმრთელობის გაუარესებისა და პანდემიური შოკების გავლენას საბინაო ბაზრებზე. მაგალითად, აბროსმა, ფილდმა და გონსალესმა (2020წ) შეისწავლეს ქოლერას პანდემიის გავლენა, ლონდონის ერთ-ერთ სამეზობლოში მე-19 საუკუნეში. კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიიდან ათი წლის შემდეგ საცხოვრებლის ფასები მნიშვნელოვნად იყო შემცირებული და უფრო მეტიც, განსხვავებები საცხოვრებლის ფასებში 160 წლის შემდეგაც კი, კვლავ შენარჩუნებულია **[3]**.

ხოლო ფრენკი და კორევარი იკვლევდნენ იმ მოვლენების შედეგებს, რომელიც გამოიწვია მე-17 საუკუნის ამსტერდამში შავი ჭირის აფეთქებამ და მე-19 საუკუნის პარიზში ქოლერას ეპიდემის გავრცელებამ საცხოვრებლის ფასებზე. მათ თავიანთ კვლევაზე დაყრდნობით გამოთქვეს მოსაზრება, რომ მოცემულმა სიტუაციამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილება საცხოვრებლის ფასებზე, იგი მნიშვნელოვნად შემცირდა და შედარებით უმნიშვნელო იყო შემცირება ქირის ფასებში. ყველაზე დიდი ვარდნა მოხდა პირველი 6 თვეში ისეთ ადგილებში, რომლებიც ითვლებოდა ყველაზე მძიმედ დაზარალებულ ადგილებად. თუმცა მათმა კვლევამ აჩვენა ისიც, რომ ფასების ცვლილება იყო გარდამავალი და ორივე ქალაქი მალევე დაუბრუნდა საწყის ფასებს **[6]**.

ვონგი (2008) თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ სარსის ეპიდემიამ გამოიწვია 1,6%-იანი ვარდნა საცხოვრისის ღირებულებებში, ხოლო ამ პერიოდში გარიგებების მოცულობის 72% მოდიოდა ჰონ-კონგზე **[8]**.

დევისმა (2004) გამოიკვლია ჯანმრთელობის რისკების ეფექტი უძრავი ქონების ფასებთან მიმართებაში, მათ შორის ბავშთა ლეიკემიის აქტიური ქეისების ეფექტის გავლენა საცხოვრისის ფასებზე. კვლევა ჩატარდა ნევადას იზოლირებულ სოფელში. დევისი მიიჩნევს, რომ სოფლებში, რომლებიც მეტად დაზარალდა ავადმყოფობის მხრივ, საცხოვრებელი სახლების ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა, იმ ადგილებისგან განსხვავებით, რომელთაც ნაკლები ზიანი მიადგა ამ მხრივ. კვლევის შედეგები ვრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც გავრცელების რისკი მაქსიმალურად მაღალი იყო **[7]**.

გამოცემამ Currie, et al. (2015)-მა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც ადგენს კავშირებს, სამრეწველო ქარხნებიდან ტოქსიკური ემისიების გამოყოფასა და საცხოვრებელი ფართების ღირებულებას შორის. კვლევის მიხედვთ სამრეწველო ქარხნების გახსნამ გამოიწვია ამ ქარხნებიდან 800 მეტრის რადიუსში, საცხოვრებელი ფართების ღირებულების შემცირება დაახლოებით 11%-ით **[5]**.

როგორც აღვნიშნეთ, პანდემიის მიზეზით უძრავი ქონების ბაზარზე მდგომარეობის გაუარესებით ყურადღების ცენტრში მსოფლიოს პირველი ეკონომიკის – აშშ-ის ბაზარი მოექცა. ყველაზე კრიზისული თვეები მარტი, აპრილი და მაისი იყო. შესაბამისად არსებობს მოლოდინები და პროგნოზები :

Forbes-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მოცემულია 5 ავტორიტეტული ეკონომისიტის შეფასებები და პროგნოზები, რომლებიც ივნისიდან მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებას აფიქსირებდა და ვარაუდობდა, რომ დადებითი ტენდენცია შემდეგ თვეებში გაგრძელდებაოდა, ერთ-ერთი მათგანი – მარკ ფლემინგი უახლოეს პერსპექტივაში ბაზრის თანამიმდევრულ აღდგენას ვარაუდობდა, მეორე – რალფ მაკლოლინი აღნიშნავდა, რომ მოვლენები ტალღისებურად განვითარდებოდა, რაც სავსებით ლოგიკური იქნებოდა თუკი შემოდგომაზე COVID-19-ის ახალი შემოტევის მომსწრენი გავხდებოდით**[4]**. ამ შემთხვევაში - რალფ მაკლოლინის შენიშვნები მეორე ტალღასთან დაკავშრებით გამართლდა და შემოდგომაზე კვლავ ინფიცირების მეორე ტალღა დაიწყო, ბაზარზე კი მოვლენები ტალღსებურად განვითარდა.

„The Economist გაოცებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ საბინაო ბაზარი არცთუ ისე მწვავედ რეაგირებდა შემქნილ კრიზისზე და აღნიშნავდა, რომ უკვე მაისში ფასები 4.3%-ით აღემატებოდა შარშანდელს, ხოლო COVID-19-ით გამოწვეული პრობლემები ვერაფრით შეედრება 1990-იანი

წლებისა და 2007-2009 წლების კრიზისების დროს ბაზარზე მომხდარ უარყოფით ცვლილებებს“**[10].**

Bari¸s K. Yor¸k - ის სტატია, რომელიც იკვლევს COVID-19 პანდემიის გავლენის ნაადრევ ეფექტებს საბინაო ბაზრებშე ამერიკაში, აქვეყნებს კვლევას, რომელშიც DD მრუდის ანალიზით შემოწმდა სტატისტიკური მონაცემები და სახეზე გვქონდა მზარდი კოლაფსი ამერიკის საბინაო ბაზარზე ყველა შტატში, სტატიაში აღნიშნულია, რომ 16 აპრილის შემდგომ საბინაო ბაზარზე აღინიშნება მზარდი ტენდენცია, ეს შეიძლება ჩაითვალოს ბაზრის აღდგენის ნაადრევ ნიშნად, თუმცა საგულისხმოა ის მოვლენები, რომლებიც განვითარდება უახლოეს მომავალში და ამას გვიჩვენებს შემდეგი კვლევა, როდესაც უკვე სახეზე გვექნება პანდემიის მოცვის ანალიზი **[4].**

სამშენებლო ინდუსტია ერთ-ერთი ყველზე აქტიური დარგია მთელ მსოფლიოში. მას დიდი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე. განვითარებად ქვეყნებში სამშენებლო ბიზნესის განვითარება მხოლოდ მომიჯნავე ინდუსტრიების განვითარებას კი არ უწყობს ხელს, არამედ დადებითად მოქმედებს ქვეყნის სოფლის მეურნეობაზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამუშაო ადგილების რაოდენობაზე და ა.შ. სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას თან სდევს სამუშაო ადგილების მატება, ეს კი მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება განვითარებად ქვეყნებს - ისეთებს, როგორიც საქართველოა **[2]**. აქედან გამომდინარე, ამ სფეროს პრობლემების ანალიზი და მხარდაჭერა, კრიზისის დროს, მნიშნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის.

კომპანია „პროსპექტის” ექსპერტები აღნიშნავენ, რომ 2008 წლის შემდეგ, ქართულ ბაზარს კიდევ ჰქონდა კრიზისთან ბრძოლის გამოცდილება. პირველი, 2015 წელს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას დამატებით დაერთო ეკონომიკური კრიზისი საბერძნეთში და ვინაიდან ბაზარი დიდწილად დამოკიდებული იყო ფულად გზავნილებზე, აღნიშნულმა ნეგატიური გავლენა იქონია გარიგების რაოდენობაზე, 6%-ით შემცირდა ტრანზაქციების რაოდენობა. მეორე დარტყმა ბაზარს მიადგა 2019 წლის პირველ კვარტალში - საბანკო რეგულაციების გამკაცრებამ გაყიდვების მოცულობა 29,9%-ით შეამცირა.

Galt&Taggart-ის მიერ მაისში ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც ეხება დღევანდელ COVID_19 პანდემიის გავლენას უძრავი ქონების ბაზარზე იანვარ-თებერვალში, უცხოურ ვალუტაში რეკორდულად დაბალი საპროცენტო განაკვეთების წყალობით, საკმაოდ გაიზარდა იპოთეკური სესხების გაცემა. გაყიდვები მარტის პირველ ნახევარშიც კი იზრდებოდა, რაც თვის ბოლოსთვის, დაწესებული შეზღუდვების გამო, მკვეთრი დაცემით შეიცვალა – 37.6%-იანი კლება დაფიქსირდა **[12].**

არაკომერციული ინტერნეტ პლატფორმა Recov.ge-ზე ვეცნობით გამოქვეყნებულ Colliers International Georgia-ს კვლევების შედეგებს. მკვლევარები განიხილავენ საბაზისო სცენარს, ზომიერი იზოლაციის პირობებში 2020 წლის ბოლომდე. კვლევიდან იკვეთება, რომ ნეგატიურია მოლოდინები მედიუმ სეგმენტის საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე, როგორც ტრანზაქციების, ისე ფასის კუთხით. ამ სეგმენტში უფრო გააქტიურდება სპეკულაციური ტრანზაქციები, უძრავი ქონების შემცირებული ფასის ხარჯზე. ეკონომ კლასის შემთხვევაში ფასი უმნიშვნელოდ შეიცვლება, თუმცა ტრანზაქციების რაოდენობა ამ სეგმენტშიც მოიკლებს. აღსანიშნავია, რომ იზოლაციის ფონზე მოთხოვნა იზრდება კერძო სახლებზე მათ შორის ქალაქგარეთ. პრემიუმ კლასის შემთხვევაში წლის ბოლომდე მოსალოდნელია ტრანზაქციების შემცირება, თუმცა მათი ვარაუდით, ფასი უმნიშვნელოდ შეიცვლება. ეს განსაკუთრებით მწვავედ აისახება გასაქირავებელ უძრავ ქონებაზე, სადაც მოსალოდნელია როგორც ტრანზაქციების, ისე, მათ შორის, ფასის შემცირებაც. მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელია ტრანზაქციების შემცირება განსაკუთრებით ტურისტულ არეალებში, როგორებიცაა: ბათუმი, ბაკურიანი, გუდაური **[13].**

წარსულში განვითარებულ კრიზისებთან შედარებით, რომელიც სტატიაში განვიხილეთ COVID-19-ით გამოწვეული კრიზისი ყველაზე მძიმეა მისი გლობალურობიდან გამომდინარე. სოციალურმა დისტანციამ უდიდესი ზიანი მიაყენა მომსახურების სფეროს, რაც უმუშევრობის დონეს კიდევ უფრო მკვეთრად გაზრდის, ხანგრძლივი ვადით შემცირდება ფულადი ნაკადების შემოდინებაც საქართველოში. შექმნილ სიტუაციაში მოსახლეობა პრიორიტეტს ანიჭებს თანხის დაზოგვას. მოთხოვნის შემცირება კიდევ უფრო შეამცირებს ფასებს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მოთხოვნის ელასტიურობა ფასთან მიმართებით უძრავი ქონების ბაზარზე დაბალია, სამომავლოდ ფასების შემცირებამ ნაკლებ სავარაუდოა მოთხოვნის ზრდა გამოიწვიოს **[14].**

პანდემიის საშუალო და გრძელვადიან გავლენაზე უძრავი ქონების საერთშორისო ფედერაციის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

FIABCI-ს პრეზიდენტი ვალიდ მოუსა აღნიშნავს: „სექტორზე პანდემიის გავლენა არსებითია და მისი ხარისხი დამოკიდებული იქნება ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის ხანგრძლივობაზე, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ უძრავი ქონება სხვა სექტორებთან შედარებით მედეგია მსგავსი რყევებისადმი და შესაძლოა ნაკლებად დაზარალდეს, თუკი მოხდება დროული ადაპტირება არსებულ რეალობასთან“ **[15].**

უძრავი ქონების ბაზრი და ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული სამთავრობო შეზღუდვების სინქრონული ანალიზი

საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე წლის დასაწყისში დაფიქსირებული მცირედით აღმავალი ტენდენცია (იხ. დიაგრამა 1) COVID-19-ით გამოწვეულმა შეზღუდვებმა შეაჩერა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე დიდი შემცირებით 2020 წლის აპრლის თვე ხასიათდებოდა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამაზე ვხედავთ, რომ ყველაზე დიდი ვარდნა ფიქსირდება 2020 წლის აპრილის თვეში. კონკრეტულად კი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით შემცირება 81.1% იყო, რაც ქვეყნის მასშტაბით 11 698 ერთეულს შეადგენდა.

2020 წლის აპრილი, 2016-2019 წლების იმავე თვესთან შედარებით მნიშვნელოვანი კლებით გამოირჩეოდა: 2016 წლის აპრილთან შედარებით - კლება 79.1%-ით, 2017 წლის აპრილთან შედარებით - კლება 80.2%-ით, 2018 წლის აპრილთან შედარებით - კლება 82.6%-ით, 2019 წლის აპრილთან შედარებით - კლება 81.1%-ით. კლება დაფიქსირდა როგორც პირველადი (54.6%-ით), ისე - მეორადი (85.0%) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში.

სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი 2020 წლის აპრილის თვეში (დეკემბერი 2010=100) დაფიქსირდა 0.278 დონეზე, ბუნებრივია იგი ჩამორჩება წინა წლის იმავე თვის ინდექსს (1.469). აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ 2019 წლის იმავე თვესთან შედარებით 2020 წელს შემცირება გვაქვს სახეზე, უძრავი ქონების როგორც პირველადი (55.5%-ით), ისე მეორადი (88.4%-ით) ტრანზაქციების რაოდენობაში **[16] .**

ცხრილი 1 გვიჩვენებს ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული შეზღუდვების დინამიკას. თუ მოვახდენთ დაწესებული შეზღუდვების ქრონოლოგიის სინქრონიზაციას დიაგრამა 2-ზე მოცემულ უძრავი ქონების რეგისტრაციის დინამიკასთან თვეების მიხედვით, დავინახავთ კავშირს, ერთი მხრივ, მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებესა

დიაგრამა 1. უძრავი ქონების რეგისტრაციის დინამიკა 2010-2020 წწ თვეების მიხედვით (რეესტრი, 2020)



*შენიშვნა: დიაგრამა 1 აგებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით **[16].***

დიაგრამა 2. უძრავი ქონების რეგისტრაციის დინამიკა 2020 წლის თვეების მიხედვით



	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
პირველადი რეგისტრაცია	19917	21124	13501	6127	8029	10159	12857	13008	15601	16659		
არაპირველადი რეგისტრაცია	41854	45878	37201	5571	19786	46280	58416	47481	53508	52708		
მთლიანად	61771	67002	50702	11698	27815	56439	71273	60489	69109	69367		

შენიშვნა ; დიაგრამა 2. აგებულია საჯარო რეესტრზე გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე **[16].**

ცხრილი 1. ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მიღებული შეზღუდვები

შეზღუდვის გამოცხადების თარიღი	მიღებული შეზღუდვები
18 მარტი	დაიკეტა საზღვრები
21 მარტი	გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა
30 მარტი	თბილისის იუსტიციის სახლმა შეწყვიტა მუშაობა
31 მარტი	გამოცხადდა კომენდატის საათი
16 აპრილი	შეიზღუდა მანქანებით გადაადგილება
27 აპრილი	ავტომობილების გადაადგილების შეზღუდვა მოიხსნა
6 მაისი	იუსტიციების სახლებმა განაახლეს მუშაობა
23 მაისი	დასრულდა საგანგებო მდგომარეობა

(ცხრილი 1) და, მეორე მხრივ, სარეგისტრაციო ტრანზაქციების ზრდა-შემცირებას შორის (დიაგრამა 2).

როგორც ვხედავთ მრუდი, რომელიც გამოსახავს უძრავი ქონების რეგისტრაციას ჯამურად (დიაგრამა 2.) მიყვება შეზღუდვებს (ცხრილი 1.), აპრილის შუა რიცხვებამდე იგი დაღმავალია და გვიჩვენებს შემცირებას, ხოლო 27 აპრილის შემდგომ, შეზღუდვების მოხსნასთან ერთად, მრუდი იწყებს აღმასვლას და მდგომარეობა შედარებით სტაბილურდება.

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ 2020 წელს ამ პერიოდში უძრავი ქონების ბაზარი, ისევე როგორც სხვა ეკონომიკური ერთეულები, განიცდიდნენ კრიზის. აპრილის თვეში შეინიშნებოდა ყველაზე დიდი ვარდნა სარეგისტრაციო ტრანსაქციებში, რაც სავარაუდიდ უკავშირდება 2020 წლის 21 მარტის დადგენილებით გამოცემულ ერთ თვიან საგაგნგებო მდგომარეობას. (იხ. დადგენილება)

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირებისათვის პანდემიით გამოწვეული კრიზისის დროს. რაც გამოიხატა იპოთეკურ სესხების 4%-იან სუბსიდირებაში. დახმარება ნამდვილად

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დროული იყო, რადგან მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება ბაზარს გამოუსწორებელ შედეგამდე მიიყვანდა.

2020 წლის განმავლობაში იპოთეკური სესხი სულ 8,443 მსესხებელს დაუსუბსიდირდა. ამასთან, გაცემული სესხების მთლიანი პორტფელი 827,949,335 ლარი იყო. იპოთეკური სესხების სუბსიდირების პროგრამის დასრულების შემდეგ ქვეყანაში ახალი იპოთეკური სესხების გაცემა მკვეთრად შენელდა. პირველი სამუშაო კვირის, ანუ 15 იანვარი - 25 იანვრის პერიოდში იპოთეკების მოცულობა TBC ბანკში 43.7%-ით შემცირდა. TBC Capital-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, იპოთეკური სესხების შემცირებასთან ერთად შესამჩნევია უძრავ ქონებაზე გარიგებების კლებაც, რაც 15-21 იანვრის პერიოდში 22%-ით იყო შემცირებული **[19].** ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ მთავრობის მიერ განხორციელებულ სუბსიდირების პროგრამას მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდა უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირებაში, ასევე გავლენა იქონია კრიზისის დროს სექტორის სტაბილიზაციაზეც.

ამრიგად, კრიზისები სამშენებლო და უძრავი ქონების სექტორებს განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს, მაგრამ ამასთან ვვარაუდობთ, რომ უძრავი ქონების ბაზარი სწრაფად აღდგება შეზღუდვების მოხსნასთან ერთად. ამის საფუძველს გვაძლევს საქართველოს უახლოესი წარსულის გამოცდილებაც, კერძოდ ჩვენს მიერ ჩატარებული სინქრონული ანალიზი COVID_19 პანდემიის პირველი ტალღის შედეგების მიხედვით. განსხვავებული ვითარება იყო 2007-2008 წლების კრიზისისას, რომელსაც რუსეთთან ომიც დაერთო. მაშინ სამშენებლო სექტორის ბრუნვა წლიური 12%-ით შეამცირა და ბაზრის სრულ აღდგენას დაახლოებით სამი წელი დასჭირდა. ამასთან 2008 წლამდე უძრავი ქონების ბაზარზე ძალიან მაღალი ფასები ფიქსირდებოდა, რაც უძრავი ქონების „ბუშტის“ არსებობას ადასტურებდა. თანამედროვე პირობებში კი რთულია ვისაუბროთ „ბუშტის“ არსებობაზე, რადგან პანდემიამდე უძრავი ქონების ფასები გაწონასწორებული და სტაბილური იყო. ეს ფაქტი დამატებითი ოპტიმიზმის საშუალებას იძლევა.

დასკვნა

პანდემიის მიზეზით უძრავი ქონების ბაზარზე მდგომარეობა ყველგან გაუარესდა და მსოფლიოს ქვეყნების აბსოლიტური უმრავლესობის ეკონომიკა მოექცა კოლაფსში.

საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე წლის დასაწყისში აღინიშნებოდა აღმავალი ტენდენცია, რომელიც COVID-19-ით გამოწვეულმა შეზღუდვებმა შეაჩერა. საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს ოფიციალური მონაცემებიის ანალიზზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აპრლის თვე ხასიათდებოდა ყველაზე დიდი შემცირებით, რადგან ამ დროს ქვეყანაში იყო ამოქმედებული სრული ლოქდაუნი, სიტუაციის გამოსწორების და შეზღუდვების მოხსნის შემდეგ კი უძრავი ქონების ბაზარზე კვლავ დაიწყო ტრანზაქციების ზრდა. სამშენებლო სექტორის მხარდასაჭერად მთავრობის გადაწყვეტილება იპოთეკური სესხების სუბსიდირების შესახებ ნამდვილად დროული იყო. რადგან პრობლემის კიდევ უფრო გამწვავება უძრავი ქონების ბაზარს გამოუსწორებელ შედეგამდე მიიყვანდა.

სახელმწიფოს მხარდაჭერა უმნიშნელოვანესია კრიზისის დასაძლევად, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს რიგი რეკომენდაციები:

უმთავრესია შენარჩუნდეს მოსახლეობის მსყიდველობის უნარიანობა, რისთვისაც მთავრობამ მხარდამჭერი პროგრამები უნდა განახორციელოს, მათ შორის: აუცილებელია სწორი მონეტარული პოლიტიკის გატარება, რადგან გამარტივდეს იპოთეკური სესხების აღება და ეროვნული ვალუტის გაუფასურების შეჩერება, რადგან ეს ფაქტორები მოთხოვნაზე ახდენს პირდაპირ გავლენას.

პანდემიამდე ტურიზმი და უძრავი ქონება მჭიდრო კავშირში იყო ერთმანეთან. დიდი იყო, ტურისტული მიზნებით შეძენილი უძრავი ქონების წილი ეკონომიკაში, ქვეყნის ჩაკეტვის და ქირის ფასების დაცემით დიდი ზარალი განიცადა ტურისტულმა სეგმენტმა, ბუნებრივია, რომ ამ მიზნებით შეძენილი უძრავი ქონების წილი შემცირდა, ამიტომ მხარდამჭერი პროგრამები შემუშავებული უნდა იყოს ტურისტული სეგმენტის გადარჩენა-აღდგენის კუთხითაც.

დიდი მნიშვნელობა აქვს გადასახადების შემსუბუქებას, ამით სახელმწიფოს შეუძლია დაეხმაროს მთელ სექტორს კრიზისის დაძლევაში.

აუცილებელია საპასუხო მოქმედებები დეველოპერების მხრიდანაც, მათ უნდა შეიმუშაონ ანტიკრიზისული გეგმა და ჩაერთონ სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში, რომ შეძლონ კრიზისიდან გამოსვლა. დეველოპერულმა კომპანიებმა რეზერვის შექმნასა და ოპტიმიზაციაზეც უნდა იმუშაონ, შეცვალონ მარკეტინგისა და გაყიდვების მიდგომები და გზები, ამით ისინი მოიპოვებენ ახ-

ალ შესაძლებლობებს, რომ შეინარჩუნონ ბაზარზე პოზიციები.

ბუნებრივია შექმნილ ვითარებაში, მაშინ როდესაც ვირუსი ელვის სისწრაფით ვრცელდება, მძიმე კრიზისს განიცდიან ეკონომიკური ერთეულები, იღუპებიან ადამიანები, სამედიცინო სექტორი პარალიზებულია, ქვეყნების უმრავლესობაში მოქმედებს მკაცრი შეზღუდვები და ვირუსის გავრცელების შეჩერების ზუსტი დრო განსაზღვრული არ არის, შეუძლებელია აბსოლიტურად სწორი პროგნოზების გაკეთება. მიუხედავად ამისა, ვვარაუდობთ, რომ უძრავი ქონების ბაზარი სწრაფად აღდგება შეზღუდვების მოხსნასთან ერთად.

REFERENCES:

1. Bakradze G. (2014) "The Global Financial Crisis of 2007-2008: Causes and Interpretations", Economics and Banking, Volume 2, N2;

2. Zurashvili N. (2018) Ways to Improve the Management Efficiency of Development Companies in Georgia, Dissertation, Tbilisi;

3. Ambrus, A., E. Field, R. Gonzalez, 2020, Loss in the time of cholera: Long-run impact of epidemic adisease on the urban landscape, American Economic Review, 110, 475-525.

4. Baris K. Yörük, 2020, Early effects of the COVID-19 pandemic on housing market in the United States, pp 10-11;

5. Currie J, Davi l., Greenstone M., Walker R., 2015, Environmental health risks and housing values: Evidence from 1,600 toxic plant openings and closings, American Economic Review, 105, 678-709.

6. Francke, M. and M. Korevaar, 2020, Housing markets in a pandemic: Evidence from historical outbreaks, Unpublished Manuscript. Available at: http://dx.doi.org/10.2139/ssrn.3566909.

7. Lucas W. Davis, 2004, The effect of health risk on housing values: Evidence from a cancer cluster, American Economic Review, 94, 1693-1704.

8. Wong G, 2008, Has SARS infected the property market? Evidence from Hong Kong, Journal of Urban Economics, 63, 74-95.

9. https://forbes.ge/blog/504/frTxilad-sabazro-ekonomika Last look. 11.02.2021

10. https://businessfeed.ge/udzraoba-udzravi-qonebis-bazarze-da-damaimedebeli-nishnebi/ Last view. 11.02.2021

11. https://www.prospect.ge/post/real-estate-during-covid-19-pandemic Last look. 11.02.2021

12. 11707.pdf (galtandtaggart.com) Last view. 11.02.2021

13. RECOV.GE - by Colliers: Residential (Tbilisi) Last view. 11.02.2021

14. https://www.prospect.ge/post/real-estate-during-covid-19-pandemic Last look. 11.02.2021

15. COVID-19-advice-to-GR_-Final-Kate. April 15 (propertygeorgia.ge) Last seen. 11.02.2021

16. NAPR - Property Registration Statistics Last View. 11.02.2021

17. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/135879/sruli Last viewed 15.12.2021

18. http://cushwake.ge/storage/files/doc/Snapshots%20Q3_2020.pdf Last view. 11.02.2021

19. •https://bm.ge/ka/article/subsidirebis-dasrulebis-shemdeg-axali-ipotekebis-raodenoba-43-it-shemcirda---tbc-capital-/74453 Last view. 11.02.2021

20. https://stopcov.ge/ Last viewed 20.05.2021

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

INFLUENCE OF BASIC ACTORS IN GLOBALIZATION IN DEVELOPING AND POST-SOVIET COUNTRIES ON THE EXAMPLE OF GEORGIA

Mariam Galdava
Ph.D. Candidate in Political Science
Caucasus International University
E-mail: mar.galdava@gmail.com

DOI suffix: 10.36962/NEC6102202166

ABSTRACT

In the 21st century, globalization is becoming more and more extensive as a phenomenon. The article discusses the popularization of globalization and its transformation as a world dilemma caused by new world rules.

The aim of our research is to determine what kind of impact globalization has had, because judging by the example of our country, the country has undergone a transformation as well as political, economic, cultural, and social factors.

One of the main integration processes is the goal of bringing individual groups into a single social and cultural framework of self-identification, which has become irreversible and poses a major problem for the identity of countries, as well as economic, social, political stability and security of the population.

In this article, we use the following research methods: Qualitative research methods, which include a qualitative study of written documents, focus groups, monographic research, etc. A specific case study, on the example of Georgia, the same Case study method that helped us to better study and analyze the facts. The processes of globalization have somewhat reduced the sovereignty of states. Modern states are powerless to control or deal with globalization, to reduce or limit its scope.

However, this did not lead to the destruction of the states. By the way, some states have become more powerful. This is especially noticeable in the example of post-Soviet countries, one of the highlights of which is Georgia. Globalization, like all events, has its pros and cons, but the most worthy positive side of globalization is that it has created and established independent and sovereign states that are becoming stronger day by day in the scientific, social, cultural, political, and economic spheres.

Keywords: *Independence, Georgia, Globalization, Post-Soviet Country, State.*

გლობალიზაციის ძირითადი აქტორების გავლენა განვითარებად და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველოს მაგალითზე

მარიამ გალდავა
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: mar.galdava@gmail.com

ანოტაცია

21-ე საუკუნეში გლობალიზაცია, როგორც მოვლენა უფრო მასშტაბური ხდება და მკაფიო ხასიათს იძენს. სტატიაში განხილულია გლობალიზაციის პოპულარიზაცია და მისი გარდაქმნა, როგორც მსოფლიო დილემა, რომელიც ახალმა მსოფლიო წესებმა განაპირობეს. სტატიაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომელიც მოიცავს წერილობითი დოკუმენტების თვისებრივ შესწავლას, ფოკუს-ჯგუფის, მონოგრაფიულ გამოკვლევასა და ა.შ. კონკრეტული შემთხვევის კვლევა, საქართველოს მაგალითზე, იგ-

ივე Case study-ის მეთოდი, რომელიც დაგვეხმარა ფაქტების უკეთ შესწავლისა და ანალიზის პროცესში.

გლობალიზაციის პროცესებმა სახელმწიფოთა სუვერენიტეტი გარკვეულწილად შეამცირა. თანამედროვე სახელმწიფოები უძლურები არიან აკონტროლონ ან გაუმკლავდნენ გლობალიზაციას, შეამცირონ ან შეზღუდონ მისი მოქმედების არეალი. თუმცა, ამას სახელმწიფოების განადგურება არ გამოუწვევია. პიქირით, ზოგიერთი სახელმწიფო უფრო გაძლიერდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინოება საქართველოა. გლობალიზაციას, ისე, როგორც ყველა მოვლენას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა გლობალიზაციის ყველაზე ღირსეული დადებითი მხარე არის ის, რომ მისი დახმარებით წარმოიშვნენ და დაარსდნენ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც დღითიდღე უფრო ძლიერდებიან სამეცნიერო, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, დამოუკიდებლობა, საქართველო, სახელმწიფო, პოსტსაბჭოთა ქვეყანა.*

შესავალი

ნებისმიერი სახის დისკუსია გლობალიზაციის არსისა და მისი ძირითადი განსაზღვრებების შესახებ საბოლოო ჯამში დაკავშირებულია სახელმწიფოს ფუნქციონირების საკითხთან.

გლობალიზაცია კაცობრიობის შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, იგი ისტორიის ხანგრძლივი ეტაპია, რომელიც ნებისმიერი დროისა და ეპოქისათვის არის დამახასიათებელი. აღნიშნული პროცესი მრავალგზის ვითარდებოდა და დღემდე განაგრძობს განვითარებასა და გავრცელებას. თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაცია ძველთაგანვე მომდინარე ინტეგრაციული პროცესების ახალი ეტაპია და სრული სახით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა.

ახალი ტერმინის გაჩენასა და პოპულარიზაციას მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე და მნიშვნელოვანი ცვლილები განაპირობებს. მაგალითისათვის, ფილოსოფოსმა, ინგლისელმა პოლიტიკურმა თეორეტიკოსმა ჯერემი ბენთჰემმა დანერგა ტერმინი „ინტერნაციონალური", რომელიც გამოხატავდა თანამედროვე რეალობას, კერძოდ კი ახალი, ნაციონალური სახელმწიფოების წარმოქმნასა და მათ შორის დამყარებულ ურთიერთობებს, რომელიც მას შემდეგ „საერთაშორისო ურთიერთობებად" იწოდება. გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს განვითარების კანონზომიერი და განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა.[9,გვ.52]

დღევანდელი გაგებით „გლობალიზაცია", როგორც ტერმინი გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში წარმოიშვა. მის გამოჩენას ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტის ტ. ლევიტის სახელს უკავშირებენ, რომელმაც 1983 „Harward Business Review-ში" გამოაქვეყნა სტატია და ამ ტერმინით აღნიშნა მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ სხვადასხვა პროდუქციის ბაზრების შერწყმის ფენომენი. გლობალიზაცია, იმდენად მნიშვნელოვანი და კომპლექსური მოვლენაა, რომ გასცდა დროსა და სივრცეს, დაარღვია საზღვრები, კონტინენტები და ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფერო მოიცვა. გარდა ამისა, დიდ როლს თამაშობს ერებზე, რელიგიაზე, კულტურაზე, ტექნოლოგიებზე, სახელმწიფოს პოლიტიკაზე, ეკონომიკასა და განვითარებაზე, ასევე სახემწიფოთაშორის ურთიერთობებზე. შესაბამისად, ვხვდებით ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „ეკონომიკური გლობალიზაცია", „პოლიტიკური გლობალიზაცია", „კულტურული გლობალიზაცია" და სხვ.

ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ თუ რა სახის გავლენა მოხადინა გლობალიზაციამ, რადგან ჩვენი ქვეყნის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ტრანსფორმაცია განიცადა ქვეყანაში როგორც პოლიტიკურმა, ასევე ეკონომიკურმა, კულტურულმა და სოციალურმა ფაქტორებმა. აღნიშნულთა შორის ერთ-ერთი ძირითადი ინტეგრაციული პროცესებია, რომლის მიზანი ცალკეული ჯგუფების თვითიდენტიფიკაციის ერთიან საზოგადოებრივ და კულტურულ ჩარჩოებში მოქცევაა,რამაც შეუქცევადი ხასიათი მიიღო და უდიდეს პრობლემას უქმნის, როგორც ქვეყნების თვითმყოფადობას,ისე ეკონომიკურ-სოციალურ,პოლიტიკურ სტაბილურობასა და მოსახლეობის უსაფრთხოებას.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გლობალიზაციის პროცესიდან მიღებული სარგებელი და საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში ეროვნულ სახელმწიფოთა როლის შემცირება ერთ-ერთი ყველაზე განსჯადი საკითხია. თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პრობლემების ზოგიერთი მკვლევარი (გერმანელი მკვლევარები ჰ. მარტინი და ხ. შუმანი, რუსი მეცნიერი მ. დელი-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

აგინი და სხვა) ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსეროვნული კორპორაციების (ტეკ), ტრანსეროვნული ბანკების (ტებ), ასევე ცალკეული რეგიონების მზარდ როლზე, მასობრივი ცნობიერების ფორმირებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, მათ ზეგავლენაზე, ასევე ეროვნული სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე და ა.შ.[7]

გლობალიზაციის პროცესმა, საერთო ფინანსურმა რეგულაციებმა, ეკონომიკურმა კარგახსნილობამ უდაოდ დააჩქარა კრიზისის გავრცელება. ამის ნათელი მაგალითია ევროპაში დაუსრულებელი, გაუგებარი ეკონომიკური სტაგნაცია. "მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავებამ თავისი ნეგატიური მხარეები მკაფიოდ გამოავლინა. კრიზისმა გადაინაცვლა თითქმის ყველა კონტინენტზე, შეირყა საბანკო სექტორები აზიის უდიდეს ქვეყნებში - ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, აგრეთვე ისეთ დიდ ქვეყნებში როგორიცაა: ბრაზილია, რუსეთი, კანადა. კრიზისის მასშტაბურობამ და გავრცელების სისწრაფემ მთავრობების დაბნეულობა გამოიწვია. თავიდან თითოეული სახელმწიფო ცდილობდა დამოუკიდებლად შებრძოლებოდა კრიზისულ პროცესებს, მაგრამ შემდგომ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ავტონომიურ რეჟიმში კრიზისის დაძლევა შეუძლებელი იყო".[3,გვ.15]

თუმცა, განსხვავებული შეხედულება აქვს ამერიკელ მეცნიერს, ნობელის პრემიის ლაურეატს ჯოზეფ სტიგლიცს, რომელიც თვლის, რომ გარკვეულად გლობალიზაცია გახდა დამატებითი ფაქტორი კრიზისის გაღრმავებისა. მის რეკომენდაციებს შორის, მნიშვნელოვანია ის რომ მსოფლიო, ეროვნული და კერძო ფინანსური ინსტიტუტები გახდნენ მაქსიმალურად გამჭვირვალე, დაცული იქნეს ერთიანი სტანდარტები ფინანსურ სექტორში, შეიქმნას ვალუტის ერთიანი, მსოფლიო რეზერვები.[11] იაპონელი, წარმოშობით ამერიკელი ფილოსოფოსის, პოლიტოლოგის, პოლიტეკონომისტისა და მწერლის ფრენსის ფუკუიამას თქმით, დღევანდელ ეპოქაში შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ გლობალურ სამომხმარებლო კულტურაზე, რომელიც ვრცელდება მაკდონალდსისა და კოკა-კოლას მსგავსი კომპანიების მეშვეობით. [6,გვ.43] მაგრამ, საერთოდ, კულტურა უფრო მეტია, ვიდრე სამომხმარებლო ბაზარი, ეს უკანასკნელი არის ზედაპირული ასპექტი, კულტურას კი აქვს სიღრმე და გავლენას ახდენს ხალხთა კავშირზე. სწორედ ამიტომ კულტურები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ინდივიდუალურობას. თუმცა, სწორედ ამ საკომუნიკაციო საშუალებებმა აზიასა და სხვა საზოგადოებებს უფრო მკვეთრად დაანახა ის განსხვავება, რომელიც მათი კულტურებს შორის არის. [5,გვ.67]

არ შეიძლება არ ვისაუბროთ ინტერნეტზეც, რომელიც გლობალური კულტურის ჩამოყალიბების ცენტრშია. გარემოცვა, რომელშიც ქვეყანას, კულტურას უხდება არსებობა, დიდ გავლენას ახდენს მის ჩამოყალიბება-განვითარებაზე, რადგან ამა თუ იმ საზოგადოებაში სახელმწიფოს ურთიერთობა აქვს განსხვავებული კულტურის მქონე ერთობებთან. ურთიერთობისას ხდება კულტურულ ღირებულებათა გაცვლა, ერთობის ცნობიერება განიცდის მუდმივ ტრანსფორმაციას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო პერიოდი, როდესაც მსოფლიო არ წარმოადგენდა ერთიან სივრცეს და დაყოფილი იყო პატარა სამყაროებად; ერები ხალხები და კულტურები არ იცნობდნენ ერთმანეთს, არ ჰქონდათ ურთიერთობა. ინტერნეტის წყალობით კი დღეს მსოფლიო გახსნილია და ერთიან სივრცეს წარმოადგენს. არსებობს ფართო საინფორმაციო საშულებები, ტელეფონი, საჰაერო ტრანსპორტი, კოსმოსური სადგურები და, რაც მთავარია, ინტერნეტი. ყველა ადამიანური ურთიერთობა, რომელიც შეიძლება დამყარდეს სკოლაში, ქუჩაში, კაფეში, ქარხანაში, ინტერნეტშიც ხორციელდება.[5, გვ.62-68]

ლ. თუროუ ეროვნულ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, ეროვნული მთავრობის როლის შემცირების, ცივი ომის დასრულებისა და პატარა-ქალაქ სახელმწიფოების არსებობის ფაქტორების ემპირული შედეგების საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ "50 წლის შემდეგ თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოთა უმრავლესობა აღარ იარსებებს". ლ. თუროუს მოსაზრებას ეხმიანება პროფესორ ზ. დავითაშვილის განმარტება: "გლობალიზაციის მთავარი ნიშანი სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა, ეროვნული ეკონომიკის გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის გლობალური კულტურით, ხოლო ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობიერებით შეცვლაა". სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ "პლანეტის ეკონომიკური გაერთიანების კვალდაკვალ მოხდება პოლიტიკური გლობალიზაცია, რომელიც დამთავრდება მსოფლიო მთავრობის წარმოქმნით". გლობალიზაციას განსაკუთრებით კრიტიკულად აფასებენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების მეცნიერთა უმრავლესობა, ისინი უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფოს მონაწილეობით

ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებელ განვითარებას და გლობალიზაციის პროცესს განიხილავენ ეროვნული ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. ამავე დროს, აღნიშნული ქვეყნების მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ეროვნულ ტრადიციებზე, ფასეულობებზე, კულტურულ თვითმყოფადობაზე, გლობალიზაციის უარყოფით ზეგავლენაზე ანუ აქცენტს აკეთებენ გლობალიზაციის შესაძლო ნეგატიურ კულტურულ-პოლიტიკურ შედეგებზე. ამავე დროს არსებობს შეხედულებები, რომლებიც მიუთითებენ ეროვნული სახელმწიფოს როლის გაძლიერების აუცილებლობაზე. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ამავე საერთაშორისო ინსტიტუტის მოხსენებაში – "სახელმწიფო ცვალებად მსოფლიოში" – აღნიშნავს "ეფექტიანი ეროვნული სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია მდგრადი განვითარება, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური". აღნიშნულ შეხედულებას ეხმიანება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც "ეროვნულმა სახელმწიფომ კიდევ უნდა ითამაშოს უმთავრესი როლი, კერძოდ გლობალიზაციის პირობებში და სახელდობრ იმიტომ, რომ განვითარება არათანაბრად მიმდინარეობს".[7]

გლობალიზაციის პროცესებმა სახელმწიფოთა სუვერენიტეტი გარკვეულწილად შეამცირა. შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე სახელმწიფოები უძლურები არიან აკონტროლონ ან გაუმკლავდნენ გლობალიზაციის პროცესებსა და შეამცირონ ან შეზღუდონ მისი მოქმედების არეალი. თუმცა, ამას სახელმწიფოების განადგურება არ გამოუწვევია. პიქირით, ზოგიერთი სახელმწიფო უფრო გაძლიერდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე, სადაც წარმოიშვა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც უფრო ძლიერდებიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში.

ზემოაღნიშნულის საუკეთესო მაგალითად შეგვიძლია საქართველო მოვიყვანოთ, რადგან გლობალიზაციის ეპოქის დადგომასთან ერთად საქართველოშიც შეიცვალა, დაიხვეწა და განვითარდა ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორებიცაა: საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკური პოლიტიკა, ელექტრონული მასმედია, კონფლიქტების გადაჭრის გზები, ადამიანების უფლებების დაცვა და ა.შ. რათქმაუნდა,გლობალიზაციას ისეთი პროცესებიც ახლავს თან, რომელთა გადაჭრა ერთ რომელიმე ქვეყანას, როგორი განვითარებული და ძლიერიც არ უნდა იყოს ის არ შეუძლია, ასეთებია, მაგალითად: ნარკომანია, ადამიანებით ვაჭრობა, ბირთვული საშიშროება, საერთაშორისო ტერორიზმი, გლობალური დათბობა, და ა. შ.[2,გვ.17]

ფაქტია, რომ გლობალიზაციის პროცესი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო და მისი გავლენა მოსახლეობის ყოფაზეც გავრცელდა და აისაცა. მიმდინარე პროცესების მიმართ კი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. მოსახლეობის აზრი რამდენიმე ნაწილად დაიყო. აქედან, გამოვყობთ სამ ჯგუფს, ესენია:

ა).***გლობალისტები***, რომლებიც დადებითად აფასებენ გლობალიზაციის პროცესს;

ბ). ***ანტიგლობალისტები***, რომლებიც უარყოფითად აფასებენ გლობალიზაციას;

გ). ***ნეიტრალები*** - მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთაც ნეიტრალური პოზიცია აქვთ და გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური შედეგების რაციონალურ შეფასებას ახდენენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიგლობალისტური განწყობა ძირითადად არადასავლური ქვეყნების მოსახლეობაში იგრძნობა, სადაც გლობალიზაცია ვესტერნიზაციად – დასავლეთის გავლენის გაძლიერებად არის მიჩნეული. მაგალითად, ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც დასავლური კომპანიებია, ძარცვავენ სუსტ და განვითარებად ქვეყნებს, აჩანაგებენ მათ რესურსებს, ანგრევენ ნაციონალურ ეკონომიკას, მონებად აქცევენ ადგილობრივ მოსახლეობასა და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ეროვნულ იდენტურობას. ზუსტად ამ შიშის მიზეზია, რომ რიგ ქვეყნებში ნაციონალიზმი აღორძინდა, ხოლო ისლამურ სამყაროში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებას ხელი შეეწყო. ანტიგლობალისტური განწყობა დასავლეთის სამყაროშიც შეიმჩნევა, რადგან გაიზარდა არალეგალური იმიგრაციის მაჩვენებელი, მისი გაზრდა კი გლობალიზაციამ გამოიწვია. განვითარებადი სამყაროდან მოზღვავებულმა მიგრანტების რაოდენობამ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, რაც მაღალი ბუნებრივი მატების გათვალისწინებით სერიოზული საფრთხეა. საფრთხე იმაში გამოიხატება, რომ დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში თავი იჩინა კულტურულმა, რელიგიურმა, ნაციონალისტურმა და დაპირისპირებებმა ადგილობრივ და ჩამოსულ მოსახლეობას შორის. ზუსტად ამიტომ, ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი და მეცნიერი გამოდის ეროვნული ღირსებებისა და ტრადიციების დაცვის მოთხოვნით. [1, გვ.25]

გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნად ახდენს გავლენას ქართული სახელმწიფოს ფორმირებაზე, მითუმეტეს, რომ იგი გლობალურ ურთერთობათა სისტემაში ერთ-ერთ აქტიურ გეოპოლიტიკურ სუბიექტად დამკვიდრდა, როგორც თავისი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქციის მქონე ქვეყანა და დასავლეთის დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი და განმსაზღვრელი სივრცე. რათქმაუნდა, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ასევე ჩვენს სახელმწიფო - საქართველოში გლობალიზაციას აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. იგი დიდ როლს თამაშობს და უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე. ეს გასაკვირი არცაა, რადგან გლობალიზაცია განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიული მოდერნიზაციის პროცესზე. გლობალური პროცესები გამოირჩევა თავიანთი ობიექტური ხასიათით, ამიტომ ლოგიკურია ის რომ ისინი თვითდინებით ვითარდება და ანგარიშს არ უწევს ქვეყნის შესაძლებლობებს, მის თვითმყოფადობას, უნიკალურობას და რესურსების გამოყენების ჩვენეულ ხედვას, რაც საქართველოს მოსახლეობის ნაწილში ბადებს მათდამი ნიჰილისტურ განწყობას. ეს ვალდებულება ვრცელდება არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებზეც. 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის პროგრესი. ამიტომ, გლობალურ კანონზომიერებათა შეცნობა, მათი გათვალისწინება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სახელმწიფოებისთვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა. [4, გვ.7]

განსაკუთრებით დიდია გლობალიზაციის გავლენა, განვითარებად და პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, ისეთ ქვეყნებზე, როგორიც საქართველოა.საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე მყოფ პოსტსაბჭოთა საქართველოსაც მოუწია ფეხი აეწყო გლობალიზაციისათვის. გლობალიზაციის შედეგად, ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო ხშირია მსხვილი ინვესტორების შემოსვლა, რომლებსაც აქ ბევრად უფრო იაფი მუშახელი და ინფრასტრუქტურა ეგულებათ. ეს მოვლენა კი განვითარებადქვეყნებს ახალ სამუშაო ადგილებს და ეკონომიკის განვითარების შანსს აძლევს.[8] დასამალი არ არის, რომ თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციას, გლობალიზაციის პროცესს, გააჩნია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მხარეებიც. ამერიკელი მეცნიერის ი.ვალერშტაინის აზრით "გლობალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე სინამდვილის უდიდესი შეცდომა, სახელისუფლებო დაჯგუფებების მიერ თავსმოხვეული სიცრუე, ანუ პროცესი რომელიც არ წარმოადგენს თვისობრივად ახალ მოვლენას". გლობალიზაციის ნეგატიური ბუნების მკაფიო გამოხატულებაა ასე გაწელილი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. რომელიც ფაქტიურად "დომინოს პრინციპით" მეტ-ნაკლებად მოედო სხვადასხვა კონტინენტებსა თუ ქვეყნების ეკონომიკებს. სწორედ ამიტომაც, ჯერ კიდევ სიღრმისეულად ვერ გაერკვია მსოფლიო თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზებსა თუ მის თავისებურებებში.[10,გვ.15-16]

დასკვნა

რასაკვირველია, ისეთი კომპლექსური მოვლენა, როგორიც გლობალიზაციაა, ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი ვერ იქნება ყველა ქვეყნისთვის თუ ადამიანისთვის.

თუმცა, ისეთი განვითარებადი ქვეყნისათვის, როგორიც პოსტსაბჭოთა საქართველოა, გლობალიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა თავი წარმოგვეჩინა საერთაშორისო ასპარეზზე, ჩავერთეთ მსოფლიო გლობალურ პროცესებში, შევძელით იდეებისა და გამოცდილების გაცვლა-გაზიარება, ახალგაზრდობა მაღალი კლასის განათლების მიღებას უკვე ონლაინ ცდილობს,დღესდღეობით ამისთვის ფიზიკური გადაადგილება აღარ არის აუცილებელი, რაც გაცილებით აადვილებს და აიაფებს განათლების მიღების, იდეების გაცვლის, სიახლეების შექმნის და დანერგვის პროცესებს,რომელიც ხელს უწყობს კაცობრიობის წინსვლას. შექმნა უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციები, განვითარდა ტექნოლოგიები, გლობალიზაციის შედეგად ადამიანებს აქვთ სხვა კულტურისადმი იოლი წვდომა, ბევრად უკეთ იცნობენ სხვა ერების ტრადიციებს, რაც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა ტოლერანტობის კულტურის განვითარებისთვის.

სწორედ ასეთ სიტუაციაში, პოსტსაბჭოთა საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხი. ყველას კარგად გვესმის, რომ გლობალიზაციის პროცესს გვერდს ვერ ავუვლით, ვერც მაგრამ ქართულმა სახელმწიფომ ყველანაირად უნდა ეცადოს გლობალიზაციის ფეხის აწყობასთან ერთად, შეინარჩნოს ეროვნულ-კულტურული იდენტობა და ქართული თვითმყოფადობა.

REFERENCES:

1. Abesadze G., Abesadze T., "Globalization and Peculiarities of Georgia's Transit Function", Tbilisi, 2011 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf p.682 - last checked on 23.06. 2021

2. Lobzhanidze D., Lobzhanidze G., "World Order and International Legal Systems", "Mandaria Printing House" Kutaisi, 2007 p.336

3. Meskhia I., "Global Crisis and the Georgian Economy", Journal of Social Economy №2. Tbilisi, 2009

4. Shengelia T., Globalization, Current Problems and Development Trends in International Business, "Universal", Tbilisi, 2012 - https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/Konfi.pdf, p.558 - last Checked -23.06.2021

5. Tsereteli I., Kakitelashvili St., "Culture and Modernization", Center for Social Sciences, 2006 p.119

6. "Globalization, modern problems of international business and development trends", "Universal", Tbilisi, 2012, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/Konfi.pdf - last checked on 23.06.2021 p. 558

7. Eteria E., "Globalization and the Nation-State: Theoretical Aspects", https://geoeconomics.ge/?p=3674- Last checked -23.06.2021

8. Civic education for all, "Globalization" https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-30 - last checked 23.06.2021;

9. Lewitt T., Globalization:Knowledge and Society. London. "Sage", 1990 p.280;

10. 10. Wahlerstein I. Globalization or transition period. Economic strategies 2000, No. 2, M.2000;

11. Stiglitz D., "The Market Failed," https://neftegaz.ru/news/finance/334094-dzhozef-stiglits-rynok-ne-spravilsya/- Last checked 23.06.2021.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE GEOPOLITICAL DIMENSION OF THE CONFLICTS IN ABKHAZIA AND THE TSKHINVALI REGION





Gvantsa Chkheidze
PhD student of Doctoral Educational Programme in Political Science at Caucasus International University, Coordinator of the Faculty of Social Sciences at Caucasus International University
e-mail: gvantsa.chkheidze@ciu.edu.ge

Irakli Mekvevrishvili
PhD student of Doctoral Educational Programme in Political Science at Caucasus International University,
Director – LEPL Alexander Tsintsadze Tbilisi Public School
e-mail: irakli.mekvevrishvili@ciu.edu.ge

DOI suffix: 10.36962/NEC6102202172

ABSTRACT

Conflicts remain an unresolved problem in the modern world, which is particularly difficult for such a small and developing country like Georgia. The collapse of the Union of Soviet Socialist Republics and the emergence of new sovereign states led not only to an adjustment of a world map but also global geostrategic changes. As a consequence, new centers of power appeared, operating through a variety of strategies to obtain a dominant position in the post-bipolar world. The South Caucasus region turned out to be especially "attractive" in this regard. Two of the conflicts in the abovementioned area arose directly in the territory of Georgia, and these conflicts remain unresolved. Research, analysis and search for settlement mechanisms of the conflicts in Abkhazia and Tskhinvali region are the most important challenges for Georgia, therefore, the purpose of our article is to present the impact of Russia's soft power in the existing conflicts and possible mechanisms for resolving the problem.

Keywords: *Geopolitics, Abkhazia, Tskhinvali, Conflicts.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გეოპოლიტიკური განზომილება

გვანცა ჩხეიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კოორდინატორი;

ირაკლი მექვევრიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, სსიპ ქალაქ თბილისის, ალექსანდრე ცინცაძის სახელობის №150 საჯარო სკოლის დირექტორი;

ანოტაცია

თანამედროვე სამყაროში გადაუჭრელ პრობლემად რჩება კონფლიქტები, რომლებიც განსაკუთრებით რთულად აისახება ისეთ პატარა და განვითარებად ქვეყნებზე, როგორიც საქართველოა. საბჭოთა სოციალისტური კავშირის დაშლამ და სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენებამ გამოიწვია, როგორც მსოფლიო რუკის კორექტირება, ასევე გლობალური გეოსტრატეგიული ცვლილებები. გაჩნდა ძალთა ახალი ცენტრები, რომლებიც საკუთარი გავლენის მოსაპოვებლად სხვადასხვა სტრატეგიით მოქმედებდნენ. სამხრეთ კავკასიის რეგიონი ამ მხრივ მომხიბვლელი აღმოჩნდა. აღნიშნულ არეალში განვითარებული კონფლიქტებიდან ორი უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშვა და დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების კვლევა, ანალიზი და დარეგულირების მექანიზმების ძიება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა საქართველოსთვის, შესაბამისად ჩვენი სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ რუსეთის რბილი ძალის გავლენა არსებულ კონფლიქტებზე და პრობლემის დარეგულირების სავარაუდო მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: *გეოპოლიტიკა, აფხაზეთი, ცხინვალი, კონფლიქტები.*

შესავალი

მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან საბჭოთა სოციალისტური კავშირის გაქრობა, რუს პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა გარკვეულმა ნაწილმა კატასტროფად აღიქვა. სოციალიზმის საერთაშორისო სისტემის ნგრევამ და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ დასაბამი დაუდო მსოფლიო რუკის კორექტირებას, გლობალურ გეოსტრატეგიულ ცვლილებებს და საერთაშორისო ურთიერთობების ახალ ეტაპს. წარმოიქმნა ძალის ახალი ცენტრები, რომელთა შორისაც გავლენების გამო გაჩაღებულმა ბრძოლამ, კიდევ უფრო დაძაბა ისედაც რთული ვითარება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მეტად თვალსაჩინო გახდა პოლიტიკური დაძაბულობა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა კავკასიის რეგიონში. მოგვიანებით ვითარება ღია და შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაიზარდა. სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონფლიქტებიდან ორი - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა და დღემდე აქტუალურ გადასაჭრელ პრობლემად რჩება.

საქართველოში არსებული კონფლიქტების მიმოხილვა

აფხაზეთის კონფლიქტი ქართულ სახელმწიფოსთან ჩრდილო კავკასიელთა დაპირისპირების ყველაზე მწვავე გამოვლინება აღმოჩნდა, იგი 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შეიარაღებული ფორმირებების შეყვანით დაიწყო. ამავე დროს გროზნოში გამართულ ყრილობაზე, კონფედერაციამ მობილიზაცია გამოაცხადა, რაც მოიაზრებდა აფხაზეთის დასახმარებლად და საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად მოხალისეთა დიდი მასების შეკრებას.

ომში საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა ჩრდილოკავკასიური წარმოშობის თითქმის ყველა ეთნოსის წარმომადგენელი, როგორც მოხალისეები ისე დაქირავებულები, რუსეთის რეგულარული სამხედრო შენაერთები, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების რაზმები.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

1993 წლის სექტემბერში დაეცა აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი. ქართულმა სამთავრობო ჯარებმა მძიმე დამარცხება განიცადეს, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა, 250 ათასი ადამიანი კი დევნილად იქცა.

აფხაზეთის ტრაგედიაში რომ რუსეთის როლი დიდია, ამას კონკრეტული ფაქტები მოწმობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ხედვას გვიზიარებს პროფესორი თამაზ ნადარეიშვილი:

„რუსეთის დიდ იმპერიას, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით შესანიშნავად შეუძლია გათიშოს მიზანში ამოღებული ქვეყნის მოსახლეობა და წარმატებით განახორციელოს იქ თავისი გეგმები, არც ჩვენი გახლეჩა და დაპირისპირება გაძნელებია და სპეცსამსახურების მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგად აფხაზისათვის ქართველი მტრის ხატიც დიდოსტატურად გამოძერწა.“ **[6, გვ. 27]**

რუსეთის ფედერაცია, დღემდე თავის პროპაგანდას აწარმოებს აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის. მტრის ხატისა და გაყალბებული ისტორიების შექმნა, ჯერ-ჯერობით საუკეთესოდ გამოსდის.

ცხინვალის კონფლიქტი ტიპური ეთნო-პოლიტიკური ხასიათისაა. ამ დაპირისპირების დასაწყისად, შეიძლება მივიჩნიოთ ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები. 1989 წლის 27 იანვარს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა პროფესორს თამაზ შავგულიძის სტატია რომელიც ეხებოდა ენის საკანონმდებლო სტატუსის განსაზღვრას, სადაც განხილული იყო, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საქმის წარმოება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უნდა წარმართულიყო სახელმწიფო ენაზე - ქართულ ენაზე. ამას მოჰყვა საპასუხო ქმედებები სამხრეთ ოსეთის მხრიდან. რაც მოგვიანებით ეგრედ წოდებულ „კანონთა ომში“ გადაიზარდა. მას შემდეგ სიტუაცია მუდმივად რთულდებოდა. დაპირისპირებამ ესკალაციას მიაღწია 2004-2008 წლებში.

2004 წლის აგვისტოში, ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური დაპირისპირების ესკალაცია მოხდა, რამაც სამხედრო კონფრონტაციის სახე მიიღო. კონფლიქტების ესკალაციის მიზეზი იმჟამინდელი მთავრობას მიერ ერგნეთის ბაზრობის დახურვა აღმოჩნდა. ქართული მხარე ამ ფაქტს ხსნიდა კონტრაბანდასთან ბრძოლის აუცილებლობით.

„კონფლიქტის ესკალაციაში დიდი როლი ითამაშა როკის გვირაბის ფაქტორმა, რომლის მეშვეობითაც სამხრეთელ ოსებს პირდაპირი კავშირი აქვთ ჩრდილოეთის რესპუბლიკა - ალანიასთან. სწორედ, ამ გვირაბის წყალობით, სეპარატისტები რეგულარულად იღებდნენ სამხედრო და სხვა სახის დახმარებას რუსეთისგან, როგორც 1991-1992 წლის შეიარაღებული დაპირისპირების, ისე 2004 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს.“ **[7, გვ.102]**

2004 წლის 13-14 აგვისტოს ქ. ცხინვალში გაიმართა შერეული საგანგებო კომისიის საგანგებო სხდომა, სადაც ხელი მოეწერა ოქმს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, მხარეები მუდმივად ბრალს დებდნენ ერთმანეთს არსებული შეთანხმების დარღვევაში.

2008 წლის 7 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის 58-ე რეგულარული არმიის 150-მდე ერთეულმა ჯავშანტექნიკამ, როკის გვირაბის გავლით, გადმოკვეთა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი და ქალაქ ცხინვალის მიმართულებით დაიძრა, რაც ფაქტობრივად რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყებას ნიშნავდა. კონფლიქტმა მოიცვა მთელი საქართველო, რამაც საბოლოო ჯამში მიიღო ქართულ-რუსული სამხედრო კონფრონტაციის სახე.

2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის, ევროკავშირის შუამავლობით, დაიდო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6 პუნქტიანი შეთანხმება. აგვისტოს ომმა მსოფლიოს დაანახა, რომ რუსეთი ოკუპანტია და ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს საქართველოზე კონტროლის დამყარებას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, საქართველოს სწრაფვა ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ წლებია ვცდილობთ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას, ჩვენნაირი პატარა და განვითარებადი ქვეყნისთვის, საკმაოდ რთულია ეს პროცესი, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ რუსეთის წინააღმდეგობას ამ მიმართულებით. აღნიშნული გაერთიანების წევრ ქვეყნებს, რა თქმა უნდა, არ სურთ რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება, შესაბამისად უმოქმედონი არიან. ჩვენს სიტყვებს ამტკიცებს აგვისტოს 2008 წლის ომი, რომლის დროსაც საქართველოს ე.წ მეგობარმა ქვეყნებმაც ვერ შეძლეს ომის თავიდან არიდება და მარტო აღმოვჩნდით მტრის წინაშე.

დასკვნა

ჩვენი აზრით, იმისთვის, რომ არსებული კონფლიქტები დარეგულირდეს, აუცილებელია რუსეთმა უარი თქვას აფხაზეთისა და ე.წ „ სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლად ცნობაზე. ამის შემდეგ მოხდება ცხინვალის რეგიონის სრული დემილიტარიზაცია და სატრანსპორტო კომუნიკაციების თა-

ვისუფლად ფუნქციონირება. ეს, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ქართულ-ოსურ მხარეს შორის ნდობის აღდგენას, ხოლო მეორეს მხრივ, შესაძლებლობას მისცემს რეგიონის ქვეყნებს იყვნენ სტრატეგიული პარტნიორები სხვადასხვა სფეროში.

სცენარის ამგვარი განვითარება, საკმაოდ რთული წარმოსადგენია უახლოეს პერსპექტივაში, რადგან საქართველოში დღეს არსებული შიდა პოლიტიკური ვითარება არ გვაძლევს პოზიტიურ პროგნოზებზე ფიქრის უფლებას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ქართველები, რომლებიც რუსეთს და საბჭოთა სოციალისტურ კავშირს მისტირიან, შესაბამისად გზას მაინც განათლებულ და წიგნიერ მომავალ თაობაში ვხედავთ, რომლებიც ქვეყანას უკეთესობისკენ შეცვლიან და სწორედ უკეთესი საქართველო იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვისაც სასურველი.

REFERENCES:

1. Art R., Jervis R., "International Politics", article "Global Trends 2025", Ilia State University Press, Tbilisi, 2011;

2. Brzezinski Z., "Big Chessboard" Publishing House "Artanuji", Tbilisi, 2014;

3. Gasviani G., "Abkhazia at the end of the XIX century and XX century", "Chronicle" Publishing House, Tbilisi, 2004;

4. Gachechiladze R., "Georgia in the World Context", Second Updated Edition, Bakur Sulakauri Publishing House, Tbilisi, 2017;

5. Gegeshidze A., "Global Processes and Georgia", "Guide to Democratization of Georgia", Club of Independent Experts, Tbilisi, 2012;

6. Nadareishvili T., "Conspiracy against Georgia", JSC "First Printing House" Tbilisi, 2000;

7. Pipinashvili D., "Conflicts in the South Caucasus and Problems of Regional Stability", Tbilisi, 2009;

8. Samadbegishvili S., GC Analysis "Intermediate End of the Nagorno-Karabakh Conflict as a Landmark Event for the Caucasus Region", Tbilisi, 2020.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

POLLING STATIONS - THE MAIN CORNERSTONE OF ELECTIONS

Tsiala Meladze
Georgian Technical University Faculty
of Business Technology PhD student in
Public Management Program
cia.meladze@mail.ru

DOI suffix: 10.36962/NEC6102202176

ABSTRACT

In this article, we discuss the legislative proposal submitted by us, according to which we request an amendment to Article 61, Part 1, Paragraph 1 of the Election Code of Georgia, according to which a new function was added to the member of the flow regulation commission - if necessary, electronically check In the list. In addition, Article 58 (4) (b) of the law requires a change, according to which special places for election observers and party representatives will be allocated at the polling station on polling day, from where they will be able to freely observe the election process at the polling station.

With these changes, the Election Code of Georgia will be able to better regulate the problems existing at the polling station on the polling day; It serves to create a safe, comfortable electoral environment for both the voter and the other persons involved in the election process in the line of duty.

Keywords: *Elections, Legislative Proposal, Election Code.*

საარჩევნო უბნები - არჩევნების მთავარი ქვაკუთხედი

ციალა მელაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ტექნოლოგიების
ფაკულტეტის საჯარო მართვის
პროგრამის დოქტორანტი

ანოტაცია

სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ჩვენს მიერ წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებას, რომლის მიხედვით ვითხოვთ საქართველოს ორგანულ კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 61 მუხლის 1 ნაწილის ე.ა პუნქტში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვით ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს დაემატა ახალი ფუნქცია - საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულად გადაამოწმოს ამომრჩევლის საარჩევნო უბანი და ამომრჩევლის ნომერი ამომრჩეველთა სიაში. ამასთან, აღნიშნული კანონის 58-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბ პუნქტშიც მოთხოვნილი გვაქვს განხორციელდეს ცვლილება, რომლის მიხედვით კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბანზე, გამოიყოფა სპეციალური ადგილები საარჩევნო დამკვირვებლებისა და პარტიის წარმომადგენლებისთვის, საიდანაც ისინი შეძლებენ თავისუფლად დააკვირდნენ უბანზე მიმდინარე საარჩევნო პროცესს.

აღნიშნული ცვლილებებით საქართველოს საარჩევნო კოდექსი შეძლებს მეტად მოაწესრიგოს საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის დღეს არსებული პრობლემატიკა; იგი ემსახურება უსაფრთხო, კომფორტული საარჩევნო გარემო შეუქმნას როგორც ამომრჩეველს ისე არჩევნების პროცესში ჩართულ სხვა პირებს, რომელიც ასრულებენ სამსახურეობრივ მოვალეობას.

საკვანძო სიტყვები: *არჩევნები, საკანონმდებლო წინადადება, საარჩევნო კოდექსი*

INTRODUCTION

Elections are one of the most important forms of democracy, and the quality of its development determines the level of development of the country. Consequently, elections have always played an important role in the history of democracies. It is part of a political process for which it is important to create an effective electoral environment. Properly analyzed election laws and procedures are one of the prerequisites for fair, transparent elections. It is necessary to take steps that will guarantee the flow of the electoral process in the right direction in terms of organizational management [1, p. 155].

The election administration plays a key role in determining the degree of electoral democracy. The Election Administration of Georgia is an independent administrative body established in accordance with the Election Code of the Law of Georgia and, importantly, it is independent of other state bodies within its authority.

The Election Administration of Georgia includes:

A) the CEC and its staff;

B) the SEC and its apparatus;

C) district election commissions;

D) Precinct election commissions.

The highest body of the election administration of Georgia is the CEC. It is responsible for the work of election commissions at all levels and determines the uniform application of Georgian election legislation throughout Georgia.

The election administration should be an impartial body; To do this, attention should be paid to the rules of election of this body. The writings of the administration should be selected not on the basis of their political affiliation but on the basis of their professional qualities. What is meant by professional skills? They should be aware of election issues and be able to organize elections effectively. These are the main characteristics that the election administration should rely on. It is important to periodically train them on issues such as: electoral processes, international obligations, human rights standards.

Abraham Lincoln said, "The ballot is stronger than a bullet." And if we want the voter to make his choice in a free environment, the polling stations must be arranged first.

According to the Election Code of Georgia, a polling station is an administrative election unit, which is established in accordance with the rules established by the legislation of Georgia, during elections and referendums for voting and counting of votes [2].

On June 28, 2021, the Parliament adopted amendments to the Code of Georgia, which introduced a 100-meter radius at polling stations and sanctions for violating the 100-meter radius rules. Accordingly, paragraph 12 of Article 45 of the Code was amended as follows:

"It is inadmissible to place agitation material 25 meters from the entrance of the polling station. This material is subject to removal / dismantling / seizure. It is also inadmissible to physically obstruct the movement of voters in the polling station or within 100 meters of the polling station on the polling day. It is also inadmissible to gather people or register voters within 100 meters of the polling station on polling day. "[3]

On June 14, 2021, we proposed a legislative proposal to the Parliament (N 1-7964 / 21/10), according to which we request an amendment to Article 61, Part 1, Paragraph 1 of the Organic Law of Georgia, according to which a new function was added to the member of the flow regulation commission. In this case, electronically verify the polling station and the number of voters in the voter list. The flow regulator is a member of the commission that regulates the flow of voters to the polling station. It asks the voter to present a Georgian citizen ID card or a Georgian citizen's passport; It then checks with an ultraviolet lantern whether the voter is marked, and after making sure that the voter is not marked, gives the right to participate in the voting. Also, the flow regulator monitors how many voters stand at the voter registration desk. If more than two voters are standing at the registration table, the next voter enters the polling station temporarily. In addition, Article 58 (4) (b) of the law requires a change, according to which special places for election observers and party representatives will be allocated at the polling station on polling day, from where they will be able to freely observe the election process at the polling station.

As you know, until 2013, voter cards were issued only once, 2-3 days before the elections. And then, for more voter awareness, its distribution was defined in two stages before the election. Voters arriving at the polling station in some cases do not remember which polling station they have the opportunity to vote at, and most often they do not know their number on the voter list. They may not have received this information for some reason. This makes it difficult for all voter registrars, as they spend most of their time searching for voters on voter lists. And finding voters by numbering makes their job much easier. In practice, voter registrars interfere with voter lists when searching by name and surname, and in addition to improper time management, this makes it even more difficult for them. The election process is flawed and a large number of voters are gathered at the polling station. In order for the registrars to simplify the work process

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

and save time, it is necessary for the voter to present his / her number to the registrar. Given the pandemic environment, the delay of voters at the polling station, especially inside the polling station, endangers the health of those inside the building.

Observers and party representatives often interfere with the election process and escalate the election. In practice, we encounter cases where observers or party representatives sit close to voter registrars and are not allowed to work in a quiet environment. This inconvenience will be caused not only by the registrars, but also by other members of the commission, who have a significant responsibility on polling day. Accordingly, specially designated polling stations will reduce ongoing controversy at polling stations. Also, a certain distance will be maintained, which, in the context of today's pandemic environment, is completely acceptable and necessary.

The bill may have a positive impact on children's rights, as voters who go to the polls with their children will not have to spend much time in the polling station, and the improved voting environment proposed by the bill will have a positive impact on children. The UK is positive about voters coming to the polls with their children, as it believes that with this move, children are becoming accustomed to respecting the democratic process.

During the election process, attention should be paid to the social distance of voters and the observance of appropriate hygienic norms. The election environment should be regulated so that the voter feels protected; Otherwise it will lead to a decrease in voter turnout.

France held local elections in 2020. Voters were instructed to bring their own pens and keep a one-meter distance in the rows. Despite security measures, turnout fell by about 20% compared to previous elections.

In the US, voters who wished to run in the election and had symptoms were able to cast their ballots by mail. Consequently, to reduce the risks posed by the development of coronavirus, many states have begun to popularize the mail voting system so that more voters can vote[4].

South Korea has increased its staff in connection with the election. To what extent can Georgia do the same? Given that we are talking about the protection of social distance, and often elections in Georgia are held in a small room, the increase in the number of employees in election commissions can not have a positive impact on the pandemic situation in Georgia. The role of the flow regulator (one of the members of the election commission), which controls the number of voters in the territory of the polling station, will be important in the protection of social distance.

CONCLUSION

With these changes, the Election Code of Georgia will be able to better regulate the problems existing at the polling station on the polling day; It serves to create a safe, comfortable electoral environment for both the voter and the other persons involved in the election process in the line of duty. Amendments to this law will regulate hitherto incompletely regulated election legal issues. Legislative changes provide:

- ✓ Simplify the work process for voter registrars,
- ✓ Reducing the number of voters at the polling station,
- ✓ Improving time management,
- ✓ To neutralize a politically difficult background,
- ✓ Adherence to safety rules.

REFERENCES

1. Demetrashvili A., Kvachadze M., Kublashvili K. Etc., "Handbook of Constitutional Law", Tbilisi, 2005, p. 155 (In Georgian)

2. Paragraph 2 of Article 2 of the Election Code of Georgia, N5636-rs, Legislative Herald of Georgia, 10.01.2012 (last verification 17. 07. 2021) (In Georgian)

3. Paragraph 12 of Article 45 of the Election Code of Georgia, N5636-rs, Legislative Herald of Georgia, 10.01.2012, (last verification 17. 07. 2021) (In Georgian)

4.https://sector3.ge/Libraries/Download/391?fbclid=IwAR3yl6Kjzzb7BkhdvnlIk3BPcM1NCtyueOrBNiTeYT_5Lzrq32mz4ttx0N8, (last verification 22. 07. 2021)

5..https://cesko.ge/geo/list/show/13745-27-seqtembridan-saarchevno-administracia-amomrchevlebistvis-sainformacio-baratebis-darigebas-iwyebs-16716(last verification 22. 07. 2021)

6.https://www.bbc.com/news/explainers-56849080 , (last verification 22. 07. 2021).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინსტიტუციონალური ეკონომიკის ძირითადი პარადიგმები

„ინსტიტუციონალური განვითარება მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ფენომენია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ინსტიტუციონალიზმის მთავარ პრინციპს წარმოადგენს ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების განმსაზღვრელი გავლენის აღიარება ეკონომიკის განვითარებაზე. ეკონომიკის წარმატება კი დაკავშირებულია არა მხოლოდ ბუნებრივ, სანედლეულო და საწარმოო რესურსებთან, არამედ წეს-ჩვეულებებთან, ხალხთა ტრადიციებთან, კულტურულ ღირებულებებთან, რელიგიურ აღმსარებლობასთან, სამართალთან, ეკონომიკური საქმიანობის წარმოების სამართლებრივ კულტურასთან“, ვკითხულბთ ეკონომიკის დოქტორის გია ზოიძის ახალ წიგნში „ინსტიტუციონალური ეკონომიკის ძირითადი პარადიგმები“.

წიგნის რედაქტორია ბატონი თეიმურაზ შენგელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის გამგე. ხოლო რეცენზენტები: ქალბატონი ხათუნა ბერიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ქალბატონი დალი სეხნიაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; ბატონი შოთა ვეშაპიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ავტორს აქვს საუნივერსიტეტო მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება: არის მოწვეული სპეციალისტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ეკონომიკური პოლიტიკის დარგობრივ დეპარტამენტში. პარალელურად, არის მოწვეული სპეციალისტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ამჟამად გამოქვეყნებული აქვს 1 მონოგრაფია და 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საერთაშორისო დონეზე (პოლონეთში, რუმინეთში, ლიეტუვაში...). გარდა ამისა, მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში.

წიგნში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი კულტურის არსს და კულტურული სხვადასხვაობის მნიშვნელობას გლობალურ ეკონომიკაში - კულტურის არსს, კულტურული დეტერმინანტების როლს გლობალური ეკონომიკის განვითარებაში; რელიგიას, როგორც ზნეობრიობის პირველსაწყისს და ეკონომიკური ზრდის სტიმულატორს; ენას, როგორც კულტურის ერთ-ერთ მთავარ, გადამწყვეტ ფაქტორს.

წიგნი 6 თავისგან შედგება:

წიგნის პირველ თავში საუბარია ინსტიტუციონალური ეკონომიკის ფორმირების ახალ სტრატეგიებზე და წინააღმდეგობებზე. გაანალიზებულია, რომ თანამედროვე გლობალიზაციის კვალდაკვალ სამყარო უფრო და უფრო მეტად ერთიანი ხდება. ქვეყნები სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, ქმნიან საერთო კულტურას, განათლების სტანდარტებს, ქცევის ნორმებს, ბიზნესის წესებს. ამასთანავე, სხვადასხვა ქვეყნების ხალხები ინარჩუნებენ საკუთარი კულტურის ტრადიციებს. ისინი, ამავდროულად, უფრო მეტ იდენტიფიცირებას ახდენენ კროსკულტურულ ქცევის წესებზე. აღნიშნული იძლევა საშუალებას ადამიანებმა თავდაჯერებულად იმოქმედონ მსოფლიოს ნებისმიერ დიდ ქალაქში.

მეორე თავში დასაბუთებულია, რომ რელიგიური ფაქტორი, როგორც ადამიანის ე. წ. ზნეობრივ-მრწამსითი სინდრომი, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მთლიან პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, სხვა შემთხვევაში კი - რელიგიური ნიჰილიზმის, ან/და ნაკლებად ღვთისმოშიშეობის დროს - ეკონომიკის ვარდნის მიზეზთა მაპროვოცირებელიც კი ხდება. აგრეთვე, ზოგადი თვალსაზრისით გაანალიზებულია, რომ თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკურ სუბიექტთა წარმოებით-ეკონომიკური აქტივობის ფონზე საქონლის (მომსახურების) უკეთ წარმოების მიზნით ძირითადი რესურსების - მატერიალური და არამატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისაკენ არის მიმართული. ამასთან, წიგნში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ვერ იტანს და მისთვის უბრალოდ უცხო სხეულია საქმიანი ურთიერთობების დამაკნინებელი მოცემულობები, რაც საბოლოო ჯამში, თავის მხრივ, ძირეული რელიგიური მოთხოვნებიდან გადახვევის ტოლფასია. მაგალითად, ბიუჯეტის შემოსულობების კლება და ხარჯვითი ნაწილის დაუსაბუთებელი ზრდა, სახელფასო ან საპენსიო ხასიათის საკითხების დაურეგულირებლობა, მონოპოლიზმი წარმოებისა და მომსახურების სფეროში და ფასებით მანიპულირება, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით თაღლითობა და ფინანსური მაქინაციები, არაკეთილსინდისიერი რეკლამა და სხვ.

მესამე თავში გაანალიზებულია საქართველოში მიმდინარე ინსტიტუციონალური და მმართველობითი გარდაქმნა-განახლების მნიშვნელოვანი მიმართულებები - როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები; შეფასებულია რეგიონის მასშტაბით არსებული საშუალებები (რესურსები), როგორც ინსტიტუციონალური, ცივილიზაციური და ეკონომიკური ფენომენი; განსაზღვრულია ინსტიტუციონალური განვითარების პრიორიტეტები, შესწავლილია ეკონომიკის ინსტიტუციონალური ჭრილი; გამოვლენილია საერთაშორისო, გლობალური პროცესისა და სახელმწიფოს ეროვნული მისწრაფებების თანხვდომაში შესაბამისობის გზები და მეთოდები; წიგნის ამ თავში განხილულია, რომ ინსტიტუციონალურ სივრცეს ახასიათებს მუდმივი ცვალებადობა. ინსტიტუტები იცვლიან სტრუქტურას ან ნაცვლდებიან ახალი ინსტიტუტებით. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გარკვეული ინსტიტუტების გაქრობა არის არა ვაკუუმის შემქმნელი, არამედ შედეგი საზოგადოების ღირებულებების და მიზნების გრძელვადიანი ცვლილების. შედეგად, ხდება გადაჯგუფება ინსტიტუციონალურ სივრცეში. ნაშრომში მოცემულია, რომ ვინაიდან საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ინსტიტუტები ბოლომდე

სრულყოფილად ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ არის, ამიტომ მნიშვნელოვანია მსოფლიოს მოწინავე ინსტიტუტების რეკომენდაციების საქართველოში გადმოტანა ადგილობრივი თავისებურებების უეჭველი გათვალისწინებით. ისინი უზრუნველყოფენ, სტიმულს მისცემენ ქვეყნის მდგრად, სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას.

წიგნის მეოთხე თავში ჩამოყალიბებულია ინსტიტუციონალური რეფორმები, როგორც ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულება; განსაზღვრულია საქართველოს ახალ ინსტიტუციონალურ მოდელზე მოწყობის აუცილებლობა; შესწავლილია ინსტიტუციონალურ-მმართველობითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია და განვითარება.

მეხუთე თავში ავტორიტეტულ საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციათა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ფუნდამენტურადაა გამოკვლეული საქართველოს ადგილი და როლი საერთაშორისო ინსტიტუციონალურ ურთიერთობათა ქსელში.

წიგნის მეექვსე თავში ჩამოყალიბებულია ინსტიტუციონალური განვითარების ძირითადი გამოწვევები, შესაძლებლობები და პერსპექტივები; გაანალიზებულია და შემუშავებულია ინსტიტუციონალური რეფორმების პერსპექტიული ხედვა საქართველოში.

ნაშრომში შეჯამების სახით გაანალიზებულია ბოლო პერიოდის ეკონომიკური პროცესები და აღნიშნულის საფუძველზე ჩამოყალიბებულია, რომ სრულყოფილ ინსტიტუტებზე დაყრდნობით შესაძლებელია უთანასწორობის, პოლარიზაციის, სიღარიბის, უმუშევრობის დაძლევა, განათლების ამაღლება, ჯანდაცვის გაუმჯობესება, მთლიანობაში კი, საზოგადოების ინკლუზიური განვითარება.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობების სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ლოიდ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორი, პროფესორი,
ჟურნალ „The New Economist"-ის
მთავარი რედაქტორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

REVIEW OF IRAKLI JANGAVADZE'S TEXTBOOK: "FUNDAMENTALS OF INNOVATIVE ECONOMY"

World trends in the education system clearly point to the fact that innovative development and a successful state are intellectually synonymous, while innovative activity (entrepreneurship) is a constant search for opportunities beyond the resources currently controlled.

Both theoretically and practically, the research of the innovative sector of the economy is a priority in the modern world. Moreover, the innovative development of countries is recognized as a non-alternative factor of global economic progress.

The world is progressing at a rapid pace, as evidenced by the rapid "moral depreciation" of scientific and technical achievements. Developing countries are making significant strides in shaping and modernizing national innovation systems. They develop state innovation policies, create appropriate legal bases and innovative infrastructure, strengthen the propaganda of small innovative entrepreneurship and science-based production, colossally increase investments in scientific research and development and etc.

In this regard, the textbook of **Irakli Jangavadze**, a young researcher, Doctor of Economics and lecturer at the Georgian Technical University, entitled **"Fundamentals of Innovative Economics"** is noteworthy.

It should be noted that the paper fully meets the basic standards of the textbook and is intended for the target audience - predominantly undergraduate students. Namely: the book consists of 16 chapters, at the end of which we find thematic questions. There are used numerous briefcases, tables, diagrams, saturated with modern information and up to 200 sources.

As for the content of the textbook, the main focus is on the stages of development of the society, the theoretical aspects of innovative development, the concept of innovation, the essence and prehistory, also, on the peculiarities of innovations, indicators and opportunities for innovative development of Georgia.

Besides, it analyzes the role and importance of innovation policy in modern conditions, worldproven national innovation systems and strategic models, features of eco-innovation, intellectual capital and innovative infrastructure, etc.

Based on the above, as a reviewer, **I strongly support the use of Irakli Jangavadze's intellectual work - "Fundamentals of Innovative Economy" as a guide by higher education universities in the study of economics and business students.**

Revaz Shengelia
Doctor of Economics,
Professor of Georgian Technical University,
Editor-in-Chief of the scientific
journal "Economics".

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

რეცენზია ირაკლი ჯანგავაძის სახელმძღვანელოზე: „ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები“

განათლების სისტემის მსოფლიო ტენდენციები აშკარად მიგვანიშნებენ იმ ფაქტზე, რომ ინოვაციური განვითარება და წარმატებული სახელმწიფო აზრობრივად სინონიმებია, ხოლო ინოვაციური საქმიანობა (მეწარმეობა) არის მოცემულ მომენტში კონტროლირებად რესურსებს მიღმა არსებული შესაძლებლობების მუდმივი ძიება.

როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, ეკონომიკის ინოვაციური სექტორის კვლევა თანამედროვე სამყაროს პრიორიტეტული მიმართულებაა. უფრო მეტიც - ქვეყანათა ინოვაციური განვითარება გლობალური ეკონომიკური პროგრესის უალტერნატივო ფაქტორადაა აღიარებული.

მსოფლიო უსწრაფესი ტემპით პროგრესირებს, რაზეც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების სწრაფი „მორალური ცვეთაც“ მეტყველებს. განვითარებადი ქვეყნები მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირებისა და მოდერნიზაციის თვალსაზრისით. შეიმუშავებენ სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას, ქმნიან შესაბამის საკანონმდებლო ბაზებსა და ინოვაციურ ინფრასტრუქტურას, აძლიერებენ მცირე ინოვაციური მეწარმეობისა და მეცნიერებატევადი წარმოების პროპაგანდას, კოლოსალურად ზრდიან მეცნიერულ კვლევა-განვითარებაში დაბანდებულ ინვესტიციებს და სხვ.

ამ მხრივ საყურადღებოა ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარის, ეკონომიკის დოქტორის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორის, **ირაკლი ჯანგავაძის სახელმძღვანელო, სახელწოდებით „ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები“.**

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი სრულად აკმაყოფილებს სახელმძღვანელოს ძირითად სტანდარტებს და განსაზღვრულია მიზნობრივ აუდიტორიაზე - უპირატესად ბაკალავრიატის სტუდენტებზე. კერძოდ: წიგნი შედგება 16 თავისგან, რომელთა ბოლოს ვხვდებით თემატური ხასიათის შეკითხვებს. აქვე წარმოდგენილია თანამედროვე ინფორმაციით გაჯერებული არაერთი ქეისი, ცხრილი, დიაგრამა, ნახაზი და გამოყენებულია 200-მდე წყარო.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს შინაარს, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების განვითარების ეტაპებზე, ინოვაციური განვითარების თეორიულ ასპექტებზე, ინოვაციების ცნებაზე, არსსა და პრეისტორიაზე. ასევე, ინოვაციების თავისებურებებზე, ინდიკატორებზე, საქართველოს ინოვაციური განვითარების შესაძლებლობებზე.

აქვე, გაანალიზებულია ინოვაციური პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში, მსოფლიოში აპრობირებული ეროვნული ინოვაციური სისტემები და სტრატეგიული მოდელები, ეკოინოვაციების, ინტელექტუალური კაპიტალისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის თავისებურებები და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **როგორც რეცენზენტი, მტკიცედ ვუჭერ მხარს ირაკლი ჯანგავაძის ინტელექტუალური ნაშრომის - „ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები“-ს სახელმძღვანელოდ გამოყენებას უმაღლესი სასწავლებლების მიერ ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობის სტუდენტების სასწავლო პროცესში.**

რევაზ შენგელია
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი,
ჟურნალ „ეკონომიკა“-ს
მთავარი რედაქტორი,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მრავალმხრივი უნარისა და ნიჭის მფლობელი, პროფესორი - ალექსანდრე კვაშილავა 91 წლისაა!

უპირველეს ყოვლისა უნდა ვაღიაროთ, რომ შარშანდელი საიუბილეო (90) წელი გამორჩა ჩვენს რედაქციას, რათა მიგველოცა ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის უხუცესი წევრისათვის, ბატონ **ალექსანდრე კვაშილავასთვის,** მაგრამ ახლა ვცდილობთ, გამოვასწოროთ.

არიან წარმატებული ადამიანები თავიანთ პროფესიაში ერთი მიმართულებით, რაც ერთობ დასაფასებელი და პატივსაცემია, მაგრამ როცა ადამიანი მრავალმხრივი უნარით არის დაჯილდოებული, ეს მრავალჯერ უფრო დასაფასებელია. სამწუხაროა, რომ ასეთ ადამიანებს დღევანდელი დრო და გარემოება არასათანადო ყურადღებას უთმობს. უფრო მეტად თვითრეკლამაზე არიან გადასულნი, რასაც სოციალური ქსელის საშუალებით ახორციელებენ უმეტესწილად, ხოლო ვისაც ფინანსური შესაძლებლობაც აქვს, ყველანაირ მედიასაშუალებას იყენებს, ხშირად გადაჭარბებულ და მოსაბეზრებელ დონემდეც კი.

ბატონი ალექსანდრე კვაშილავა იმ თაობას მიეკუთვნება, რომელნიც საქმეს მეტ დროს უთმობენ, ვიდრე თვითრეკლამას. ჩვენ შევეცდებით, რომ მკითხველის წინაშე წარმოვადგინოთ ბატონი ალექსანდრეს მიერ განვლილი ღირსებით აღსავსე გრძელი გზა, რომელმაც ცხრა ათეული წელიწადი მოიტოვა უკან.

მოკლედ გაგაცნობთ მის ბიოგრაფიას: დაიბადა 1930 წლის 10 ივნისს მარტვილის რაიონის კურზუს თემის სოფელ გოდოგანში. ზოგადი საშუალო განათლება მიიღო კურზუს საშუალო სკოლაში 1937-1948 წლებში. 1949 წელს ქუთაისში დაამთავრა საბუღალტრო კურსები, და 2 წელი იმუშავა ბუღალტრად მარტვილის რაიონში. 1951-1953 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში (გერმანიაში), საიდანაც ოფიცრის წოდებით დაბრუნდა. შემდეგ ისევ ბუღალტრად იმუშავა ერთ წელზე მეტხანს, ხოლო 1955 წლის პირველი ნახევრიდან, როგორც ოფიცერმა, მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სადაც 2004 წლამდე (49 წელი) იმუშავა. აქედან პრაქტიკულ სამუშაოზე ძირითადად გამოძიებაში, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოებზე. არცერთ ამ სამუშაოს შესრულებაში ან შემსრულებლების ხელმძღვანელობაში ხარვეზი არ ჰქონია.

ბატონი ალექსანდრე გახლავთ სპეცსამსახურის პოლკოვნიკი, ომისა და შრომის ვეტერანი, 11 მედლისა და ღირსების ორდენის კავალერი, მრავალი ქების სიგელისა და სხვა ჯილდოების მფლობელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარჩინებული მუშაკი, რეფერირებადი და რეცენზირებადი, მათ შორის, საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, პოეტი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეასა“ და სხვადასხვა 5 დარგობრივი აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამართალში 18 წიგნის, 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 700-ზე მეტი სამეცნიერო რეკომენდაციის ავტორი. მისი რეკომენდაციების დანერგვით მიღებულია დიდი ეკონომიკური ეფექტი და სხვა მრავალი სოციალური სარგებელი, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ. გამოქვეყნებული აქვს ლექსთა ორი კრებული.

სადაც კი მუშაობდა ბატონი ალექსანდრე, ყველაგან იყო ინიციატივიანი და ყოველთვის ზედმიწევნით ასრულებდა მასზე დაკისრებულ

მოვალეობებს. ხობის რაიონში მუშაობის პერიოდში ა. კვაშილავა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაჯილდოვებულ იქნა **სსრკ შსს მილიციის ფრიადოსნის სამკერდე ნიშნით.** რის შემდეგაც იგი გაიგზავნა სასწავლებლად მოსკოვში ხელმძღვანელი მუშაკების მოსამზადებელ უმაღლეს სკოლაში, სადაც კონკურსის წესით ჩაირიცხა. ამავე სკოლაში, როგორც სწავლაში მოწინავე, იგი ჩარიცხეს სამეცნიერო წრეში სისხლის სამართლის სპეციალობით.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ ამ წრეში მეორე კურსზე სამეცნიერო მოხსენება გააკეთა სისხლის სამართალში, რომელშიც გააბათილა წრეში თავისი ხელმძღვანელისა და სხვა პროფესორის აზრები, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგოდ იყვნენ მიმართულნი. **აღმოაჩინა და დაასაბუთა ხარვეზის არსებობა სსრკ სისხლისსამართლებრივ ნორმაში,** რისთვისაც საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ წინასწარ, მეორე კურსზე სწავლის დროს, ადიუნქტურაში (გასამხედროებული სასწავლებლების ასპირანტურის სახელწოდება) მიღებასთან დაკავშირებული ყოველგვარი დავალებებისაგან გათავისუფლებით, იგი სსრკ შსს უმაღლესი სკოლის დამთავრებისთანავე ამავე სკოლის ადიუნქტურაში უგამოცდოდ ჩარიცხა და მასვე სადისერტაციოდ მის მიერ გამოკვლეული თემა დაუმტკიცა.

მოსკოვიდან დაბრუნებული ადიუნკტი (ასპირანტი) ა. კვაშილავა საქართველოს შსსში თანამდებობაზე დაინიშნა მისი შესაძლებლობების, ცენზისა და პრაქტიკული გამოცდილების გაფართოების მიზნით, რაც ადიუნქტს სჭირდებოდა. აქვე, სწავლის პერიოდში მის მიერ მე-2 კურსზე შემუშავებული რეკომენდაციები განხორციელდა.

სსრკ შს სამინისტრომ ეკონომიკურ-სამართლებრივი კვლევის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია შექმნა და მისი ზონალური პუნქტი საქართველოში გახსნა. ამ ლაბორატორიის უფროს მეცნიერთანამშრომლად და კვლევის ძირითადი თემის: „ეკონომიკურ-სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს ჩაის დამზადება-გადამუშავების სისტემებში“ ხელმძღვანელად ა. კვაშილავა დანიშნა. ეს უკანასკნელი ყოველგვარ გამოკვლევებს ატარებდა საკუთარი გეგმის მიხედვით, მის მიერ მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით და მისი მონაწილეობით. კვლევის პირველსავე წელს (1975 წ.), ა. კვაშილავას მიერ შემუშავებული ღონისძიებების განხორციელებამ მოსპო ზარალი ჩაის ფაბრიკებში, რომელიც 900 მილიონ მანეთამდე აღწევდა და წაგების ნაცვლად, საქართველოს ჩაის ფაბრიკებმა 38 მილიონი მანეთის მოგება მიიღეს.

ბატონ ალექსანდრეს ბაქოში, მოსკოვში, ლენინგრადსა (სანქტ-პეტერბურგი) და თბილისში მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული, სპეციალური და პოლიტიკური განათლება. იყო საქართველოს შსს უმაღლესი სკოლის, შემდგომ აკადემიის უფროსის პირველი მოადგილე და თვითონვე ახორციელებდა ამ დაწესებულებებში სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ხელმძღვანელობას. ამავე დროს, სრული დატვირთვით ასრულებდა პროფესორისა და ამავე დაწესებულების გამომცემლობის, - „იურიდიული აზრი“, რედაქტორის მოვალეობებსაც.

ა. კვაშილავას განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული საქართველოსა და მთელი სსრ კავშირის შსს ორგანოების ოფიცრების უმაღლესი განათლებით იურისტების მომზადების საქმეში. **მან პირველმა გამოამჟღავნა დიდი მორალური და მატერიალური ზარალის არსებობა** ამ სისტემაში. **მანვე სსრკ შსს ორგანოებთან წინასწარი შეთანხმებით შეიმუშავა შსს ორწლიანი და სამწლიანი იურიდიული სკოლადამთავრებულების გადამზადების ორ და სამ წლიანი სასწავლო პროგრამები,** რომელთა მიხედვითაც სამწლიანი და ორწლიანი სკოლა დამთავრებულები შესაბამისად ორ და სამ წელიწადში აბარებდნენ შსს უმაღლესი სკოლის სრული კურსის (დასწრ. 4 წ. დაუსწრ. 5წ.) პროგრამებით სახელმწიფო გამოცდებს.

სსრკ შსს სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებმა და ამავე სამინისტრომ მოიწონეს პროგრამები, შუამდგომლობით შევიდნენ საბჭოთა ხელისუფლებაში, მიიღეს თანხმობა და გააფრთხილეს ა. კვაშილავა, რომ ეს პროექტი თუ იქნებოდა მიღებული, იგი პირველად ექსპერიმენტის სახით უნდა განეხორციელებინა სსრკ შსს უმაღლესი სკოლის თბილისის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

იურიდიულ ფაკულტეტს, რომლის უფროსის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში იყო ბატონი ალექსანდრე. ფაკულტეტი ემსახურებოდა საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს.

ეს პროგრამა აღნიშნულ ფაკულტეტზე განხორციელდა. შსს მოსკოვის უმაღლესი სკოლის უშუალო მონაწილეობითა და კონტროლის ქვეშ, რუსულ ენაზე ჩატარდა უმაღლესი განათლებით იურისტი ოფიცრების გამოსაშვები პირველი სახელმწიფო გამოცდა. **ოფიცრების მომზადება მოსკოვის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებს ძალიან მოეწონათ.** ისინი კმაყოფილი დარჩნენ გამოსაშვები კონტინგენტის პრაქტიკული გამოცდილებით, გამდიდრებული თეორიული მომზადების მაღალი დონითა და გამოსაცდელთა მიერ კითხვებზე პასუხის სრულყოფილად გაცემის უნარით. **შემდეგ გაგრძელდა მომდევნო ანალოგიური გამოშვებები და სსრკ ხელისუფლება რომ დარწმუნდა ექსპერიმენტის მიზნის გამართლებაში, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაავრცელა თბილისის ექსპერიმენტის მსგავსად ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ოფიცერთა გადამზადება.**

არც ადრე და არც ახლა, პოლიცია თუ მილიცია ხალხში დიდი სიმპათიით არ გამოირჩევა, მაგრამ ამ სისტემაში ნამდვილად იყვნენ და არიან კეთილსინდისიერი მუშაკები, რომელთა თავდადებული (ხშირად სიცოცხლის ფასად) შრომის შედეგად გვაქვს ის წესრიგი, რაც საშუალებას გვაძლევს თავი დაცულად ვიგრძნოთ.

ბატონი ალექსანდრეს შმთხვევაში კი, რომელიც არა მარტო სპეცსამსახურის წარმატებული პოლკოვნიკი, პროდუქტიული მეცნიერი და პროფესორია, არამედ შესანიშნავი პოეტიც. მის შემოქმედებაში ყურადსაღებია არა მხოლოდ ლირიკა და ლამაზი სიტყვები, არამედ 400-ზე მეტი გარითმული სენტენციები.

ვულოცავთ ბატონ ალექსანდრე კვაშილავას საიუბილეო თარიღს, კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ სამეცნიერო და შემოქმედებით მოღვაწეობას ვუსურვებთ თავისი ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სარედაქციო კოლეგიის სახელით
ლოიდ ქარჩავა
The New Economist-ის
მთავარი რედაქტორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ახალი ეკონომისტი The New ECONOMIST

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge